## თანამშრომლობა

# „საქართველოში „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა წარმატებით ხორციელდება, იგი გაგრძელდება და კიდევ უფრო გაფართოვდება“



— საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სამხედრო თანამშრომლობას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, განსაკუთრებით კი ანტიტერორისტული კოალიციის ფარგლებში, — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალთა გაერთიანებული შტაბების მეთაურთა გაერთიანებული კომიტეტის უფროსმა, ოთხვარსკვლავიანმა გენერალმა რიჩარდ მაიერსმა 24 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან გამართული შეხვედრის შემდეგ.

იხ. მე-2 გვ.

## პრეზიდენტის ფოსტიდან

# მადლობა მხარდაჭერისა და სოლიდარობისათვის

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს გამოუგზავნა დეპეშა, რომელშიც იგი მადლობას უხდის საქართველოს ლიდერს იმ მხარდაჭერისა და სოლიდარობისათვის, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა გამოხატა მოსკოვში მომხდარ ბარბაროსულ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით.

**„ამ ტრაგიკულმა მოვლენებმა დაგვანახეს, რომ საერთაშორისო ტერორიზმი კაცობრიობისათვის რჩება ერთ-ერთ ყველაზე საშიშ გამოწვევად და ითხოვს, კერძოდ, რუსეთისა და საქართველოს აქტიურ და კოორდინირებულ მოქმედებას“,** — სწერს ვლადიმერ პუტინი ედუარდ შევარდნაძეს.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი უსურვებს ედუარდ შევარდნაძეს ჯანმრთელობას, ბედნიერებას და წარმატებებს სახელმწიფო მოღვაწეობაში.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

## ღირსეული

# „თქვენს გვერდით გატარებული ყოველი წუთი ჩემთვის ჯილდოა“

— ამ სიტყვებით გადაუხადა მადლობა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ გიორგი ციციშვილმა, რომელსაც 24 ნოემბერს ედუარდ შევარდნაძემ ქვეყნის აღმშენებლობაში, ომის ვეტერანთა მოძრაობის განვითარებასა და ახალგაზრდა თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაში შეტანილი

იხ. მე-2 გვ.



ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელში და სხვა ქვეყნებში.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“


# საქართველოს რესპუბლიკა

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №286 (4345) სამშაბათი, 26 ნოემბერი, 2002 წელი. ფასი 50 თეთრი.


# „პრაღის სამიტი საქართველოსთვის, ისევე, როგორც მრავალი სხვა ქვეყნისთვის, ისტორიულ მიჯნად იქცა, რის შემდეგაც დიდი ევროპის განვითარებაში სრულიად ახალი ეპოქა იწყება“

### საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 25 ნოემბრის რადიოინტერვიუ

— გასულ კვირას მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა გახდა ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს სამიტი პრაღაში, რომლის დროსაც შვიდი ქვეყანა (მათ შორის ბალტიის სახელმწიფოები) მიიწვიეს ნატოში.

სხდომაზე თქვენ ოფიციალურად განაცხადეთ, რომ საქართველოს სურს ნატოში გაწევრება.

გარდა ამისა, საქართველოს პრეზიდენტი იმ ლიდერთა მცირერიცხოვან რიგს განეკუთვნება, რომელთან შეხვედრის სურვილიც გამოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა სამიტის მსვლელობისას.

როგორია თქვენი შთაბეჭდილებები და რა შეფასებას მისცემთ მთლიანად პრაღის სამიტს? გარდა ამისა, როგორ შეხვდა რუსეთი თქვენს განაცხადს?— ჟურნალისტ ნატო ონიანის ამ შეკითხვის პასუხად საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თავის ტრადიციულ ორშაბათის რადიოინტერვიუში განაცხადა:

იხ. მე-2 გვ.

## სხვისი ექსკლუზივი

# ჯორჯ ბუში: „მოხარული ვარ, რომ ვლადიმერ პუტინმა დაიწყო დიალოგი ბატონ შევარდნაძესთან“

20 ნოემბერს, ვაშინგტონში, ნატოს სამიტზე გამგზავრების წინ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა რუსეთის „ნტვ“ ტელეკომპანიის კორესპონდენტს სავიკ შუსტერს, რომელშიც ამერიკის ლიდერმა ილაპარაკა რუსეთთან ურთიერთობასა და საქართველოსთან დამოკიდებულების შესახებ. გთავაზობთ ინტერვიუს სრულ ტექსტს:

ნტვ: „ბატონო პრეზიდენტო, შეიცვალა თუ არა შეერთებული შტატების პოზიცია ჩეჩნეთის მიმართ 23 ოქტომბერს მოსკოვში მძევალთა აყვანის შემდეგ?

ჯ. ბუში: არა, ჩვენი პოზიცია ჩეჩნეთის მიმართ ისევ ისეთია. იმედი გვაქვს, პრობლემა მშვიდობიანად გადაიჭრება, მხედველობაში მაქვს ის, რომ ეს არის რუსეთის საშინაო პრობლემა. მე ვიმუშავებ ვლადიმერ პუტინთან და ყოველნაირად შევეცდები დავარწმუნო, რომ აუცილებელია ჩეჩნეთის საკითხი გადაიჭრას ფართო თვალსაზრისით.

მეორე მხრივ, ვაღიარებ, რომ, როცა ტერორისტთა მიზეზით იღუპებიან ადამიანები, ნამდვილი ლიდერი, უბრალოდ, ვალდებულია გამოიჩინოს სისასტიკე. ჩემი მეგობარი ვლადიმერ პუტინი უაღრესად რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა. ტერორისტები 800 მოქალაქის დახოცვით იმუქრებოდნენ. მან ყველაფერი იღონა, რისი გაკეთებაც შეეძლო. და ეს ყოველივე იმისათვის მოიმოქმედა, რომ გადაერჩინა ხალხის სიცოცხლე, ეხსნა ისინი.

იხ. მე-3 გვ.



## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2002 წლის 25 ნოემბერი ქ. თბილისი

**რევაზ ყიფიანის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის, მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი კანონშემოქმედებითი საქმიანობისათვის საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს დამსახურებული იურისტი **რევაზ (სოსო) ყიფიანი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.



## პროკურატურა

# მილიონებს ჭამენ და მეისრეებს იჭერენ

**სამწუხაროდ, მოგვიმრავლდა ცხელი თემებიც და ცხელი წერტილებიც. აფხაზეთი, სამაჩაბლო, პანკისი, კოდორი, შიდა ქართლი, სამეგრელო, თბილისი... ფაქტები საგანგაშოა, სიტუაცია დაუყოვნებლივ უნდა მოწესრიგდეს, თორემ კატასტროფა არ აგვცდება.**

სამართალდამცავებს ახალ-ახალი თავსატეხი უჩნდებათ. პანკისი ჩააცხრეს, შიდა ქართლში გადაინაცვლეს. შიდა ქართლი მოარჯულეს და ახლა სამეგრელოსკენ გასწიეს. წლევანდელ 9 თვეში იქ მოიმატა საერთო დანაშაულმა, მათ შორის მძიმე კატეგორიის ბოროტმოქმედებამ 16 პროცენტით, გაუპატიურებამ 25 პროცენტით. ზოგ რაიონში სიტუაცია უარესია. მაგალითად, მარტვილის რაიონში საერთო დანაშაული გაზრდილია 54,8, ხოლო სენაკის რაიონში — 57,8 პროცენტით. რაც ყველაზე სამწუხაროა, ბოლო არ უჩანს ყაჩაღობას, შეიარაღებული ჯგუფების მიერ მოსახლეობის დატერორებას.

იხ. მე-8 გვ.

**ეროვნული ბანკის ზუგდიდის ფილიალში 3,5 მილიონი ლარის დატაცების ფაქტზე საქმე დაუყვანიათ საწყალ მოლარეზე და მისთვისაც მიუსჯიათ 2 წელი... პირობით. ახლა საფოსტო ბანკის ზუგდიდის ფილიალში დატაცებულია 3 მილიონამდე, ხოლო „საქართველოს ფოსტის“ ჩხოროწყუს ფილიალში — 300 ათასამდე ლარი. ვარაუდობენ, რომ აქაც ჯოხი საბოლოოდ მეისრეებზე გადატყდება!**

## სამკურნალო კალცლექსები

### პრაღის სამიტი და სიტყვათა თამაში

„სამიტ“ ნოლი, ჭკუა გიჭრის,
შევარდენი თავს ლაღად გრძნობს
შენს მხრებზე,
„პრაღა“ გიჭირს,
„პრაღა“ გიჭირს,
უველა „ნაცისტს“ დაიკიდებ
„ჩეხებზე“.

### არჩევანი

ვეუბნები, „სუკის“ პირისფარეშებს,
ერი მალე გადიქცევა დენთად,
„საქართველო —
შევარდნაძის გარეშე“?
სამტრედია — მიმიგურთან ერთად?

### ვის ირჩევთ

ჩვენსას მოვსპობთ,
გავახარებთ სხვის მიწას,
იმას ვირჩევთ,
ხალხნო, ვისი ღირსიც ვართ.

### თინეიჯერ ქაჯუნებს

გეუბნებით, —
თინეიჯერ ქაჯუნებს,
ჩემს ქალაქში
გლახად დაალაჯუნებთ,
ნაზები ხართ,
დახვალთ, მაინც ამაყად,
მამა არ გყავთ,
მაგრამ დედაც არა გყავთ?

ჯ. ჩ.
2002 წ.

## წინასაარჩევნო სიურპრიზი

# „ისტორიის სანაგვედან“ — მოკავშირეობამდე

უკვე კარგა ხანია ხმები დადის სოციალისტთა ლიდერის ვახტანგ რჩეულიშვილის ავთანდილ ჯორბენაძესთან დაახლოების შესახებ. „ნომერ პირველი“ სოციალისტი, ბოლო დროს სახელმწიფო კანცელარიასაც ხშირად სტუმრობს. ამიტომაც მისი ცნობილი ფრაზა „მოქალაქეთა კავშირი — ისტორიის სანაგვეზე“ უკვე დავიწყებასაც მიეცა.

გუშინ კი, ვახტანგ რჩეულიშვილმა უფრო აქტუალური ლოზუნგი წამოაყენა: „პარტნიორობა — მშვიდობისათვის“!. ამთავითვე ვიტყვი, ნატო აქ არაფერ შუაში არის, უბრალოდ სოციალისტურმა პარტიამ გუშინ გადაწყვიტა, რომ გაუმხელელ „სიყვარულს“ გამხელილი სჯობია, და მოქალაქეთა კავშირთან ახალი ალიანსის შექმნის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა.

იხ. მე-3 გვ.

## მილოცვა

# აკადემიკოს გიორგი ციციშვილს დაბადების დღესთან დაკავშირებით

**ბატონო გიორგი,**

**თქვენ ცხოვრების ის დრო დაგიდგათ, როცა პირუთვნელად უნდა შეჯამდეს და შეფასდეს განვლილი და გაუვლელი, ნაფიქრი და გაკეთებული.**

**პირნათელი ხვდებით ამ ასაკს, დაბადების ოთხმოც წელს. მაშინ, როდესაც თავადიშვილს საქართველოში არათუ მამულიშვილური საქმის კეთება, არამედ სიცოცხლეც უჭირდა, თქვენ აჯობეთ დროს და ღვთითბოძებული ნიჭის, გარჯისა და ძლიერი ხასიათის წყალობით ბევრი რამ მნიშვნელოვანი მოახერხეთ — იყავით გაბედული ოფიცერი, ლენინგრადის გმირული დაცვის მონაწილე, კარგი პროზაიკოსი, კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე და თქვენი ტაქტიანი და გონივრული ხელმძღვანელობით შესამჩნევი კვალი დაამჩნიეთ საქართველოს მწერალთა კავშირს, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს, ჟურნალს „ლიტერატურნაია გრუზია“, მეცნიერებათა აკადემიას, ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტს. ბევრი რამ გაქვთ სასიკეთო გაკეთებული თქვენი ერისთვის, ბევრი რამ გასახსენებელი.**

**მე კმაყოფილი ვარ, რომ წლების მანძილზე ერთად ვიყავით და ერთად ვართ.**

**დიდი მადლობა ყოველივე ამისათვის.**

**გილოცავთ დაბადების დღეს და ყოველივე კარგს გისურვებთ.**

პატივისცემით,
ედუარდ შევარდნაძე.

## ინფორმაცია

### სოხუმის პროტესტის მიუხედავად

საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი, სოხუმის პროტესტის მიუხედავად, აშშ ფინანსური მხარდაჭერით, მომავალ წელს კოდორის ზემო ხეობაში ასაფრენ-დასაჯდომი ზოლის გახსნას აპირებს, — განაცხადა სასაზღვრო უწყების შტაბის უფროსმა კორნელი სალიამ.

„სოხუმის პროტესტი უსაფუძლოა, რამდენადაც, უპირველეს ყოვლისა, კოდორის ხეობა საქართველოს ტერიტორიაა, ასევე, ამ რეგიონიდან აფხაზურ მხარეს არაფერი ემუქრება“, — თქვა მან და დასძინა, რომ ასაფრენ-დასაჯდომი ზოლები აშშ მხარდაჭერით მესტიასა და ლაგოდეხშიც გაიხსნება.

### აპროექტებენ ახალ ნავმისადგომს

ფოთის საზღვაო ნავსადგურის გამტარუნარიანობის გადიდებას უნდა შეუწყოს ხელი ახალმა ნავმისადგომმა, რომლის დაპროექტებასაც ამთავრებენ ოდესის „ჩერნომორნიაპროექტის“ ინსტიტუტის სპეციალისტები. 250 მეტრი სიგრძის ნავმისადგომი შეძლებს დაახლოებით 60 ათასი ტონა ტვირთამწეობის საოკეანო ტანკერების მიღებას.

ნავმისადგომის მშენებლობა დაიწყება 2003 წლის პირველ ნახევარში, მისი ღირებულება 8 მილიონი ამერიკული დოლარი იქნება. ამჟამად ოდესიდან ჩამოსული სპეციალური საბურღი გემის მეშვეობით მომავალი ნავმისადგომის ადგილზე, 40 მეტრ სიღრმეზე იღებენ გრუნტის სინჯებს.

### როტაცია თვის ბოლოს დამთავრდება

გალის რაიონში, უსაფრთხოების ზონის ჩრდილოეთ სექტორში დისლოცირებულ რუს სამშვიდობოთა ბატალიონის როტაცია გუშინ დაიწყო და 30 ნოემბრამდე გასტანს.

როტაცია დაახლოებით 500 სამხედროს შეეხება, ამასთან, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში „ცისფერ ჩაფხუტიანთა“ რაოდენობის გაზრდა, რომელიც დღეისათვის თითქმის 2000 კაცს შეადგენს, არ იგეგმება.

როტაციის მონიტორინგს გაეროს სამხედრო დამკვირვებლები განახორციელებენ.

### ქართული ღვინის მორიგი წარმატება

მოსკოვის მეექვსე საერთაშორისო პროფესიულ კონკურსზე — „წლის საუკეთესო შამპანური, ღვინო და კონიაკი“, კომპანია GWS-ის ღვინომ „თამადამ“ სპეციალური ჯილდო — „წლის საუკეთესო ბრენდი“ მიიღო, GWS-ის „ჭაჭამ“ კი ვერცხლის მედალი მოიპოვა.

კონკურსზე, ასევე, წარმოდგენილი იყო რუსეთის, მოლდოვას, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, ყაზახეთის, ბელორუსიის, საფრანგეთისა და გერმანიის ფირმათა პროდუქციები.

ბრენდ „თამადასა“ და „ძველ თბილისს“, სხვადასხვა ნომინაციებში, სულ 14 ოქროსა და 10 ვერცხლის მედალი აქვს მიღებული.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა.

## დღეს

ჩვენი გაზეთის მე-3 გვერდზე ვამთავრებთ სენსაციური მასალების გამოქვეყნებას იოსებ სტალინის შესახებ. წაიკითხეთ ინტერვიუ „სტალინის საფრთხობელა“

## უკანასკნელ საათს

<u>ბაღდადში</u> ჩავიდა გაეროს ინსპექტორთა პირველი სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უნდა გაარკვიოს, არის თუ არა ერაყში მასობრივი განადგურების იარაღი. ხვალ ინსპექტორები დაიწყებენ ერაყის სამხედრო ობიექტების შემოწმების პირველი ეტაპის მზადებას.



<u>თურქმენეთის</u> პრეზიდენტს, რომელიც კორტეჟის თანხლებით დილით სამსახურში მიდიოდა, ქალაქის ცენტრში, გზაჯვარედინზე გამოსული სატვირთო ავტომანქანიდან ავტომატური იარაღის ცეცხლი გაუხსნეს. საფარმურატ ნიაზოვმა უკვე დაასახელა დანაშაულის ორგანიზატორები.



## ამინდი დღეს

**დასავლეთ საქართველოში**

| | | |
|---|---|---|
| დაბლობში: | ღამით +11; | დღისით +15; |
| მთაში: | ღამით +9; | დღისით +10; |

**აღმოსავლეთ საქართველოში**

| | | |
|---|---|---|
| ბარში: | ღამით +6; | დღისით +10; |
| მთაში: | ღამით +2; | დღისით +7; |

**თბილისში**

ღრუბლიანი ამინდი, მცირე წვიმა, დროგამოშვებით ნისლი. ღამით +6; დღისით +10.

საქართველოს ჰიდრომეტდეპარტამენტი.

## ლარის კურსი

12 ნოემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 3.4669 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1800 ლარი |
| ევრო | 1 | 2.2073 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0686 ლარი. |

## ინტერპანორამა



დღეს იწურება დაკავების ვადა ახმედ ზაკაევისა, რომელიც დანიის ხელისუფლებამ რუსული მხარის მოთხოვნით დააპატიმრა. გადასცემენ თუ არა მას რუსეთს, ჯერჯერობით უცნობია. მისი დაკავების ვადა ფორმალურად კიდევ 4 დღით შეიძლება გაგრძელდეს.

პენტაგონმა განსაზღვრა ერაყზე თავდასხმის ვადები. ზოგიერთი მონაცემით, აშშ არმიის მხედართმთავრობა, გაეროს ინსპექციის შედეგებისგან დამოუკიდებლად, მზად არის ერაყზე დასარტყმელად. სამხედრო ოპერაციის დაწყება ნავარაუდევია წლევანდელი 16 დეკემბრიდან 2003 წლის იანვრის მიწურულამდე.






საქართველო XX საუკუნე

101 სერია

(1900 – 2000 წ.წ.)

დაგვიკავშირდით:

92 05 72, 98 9186

92 22 18


„საქართველოს რესპუბლიკა“ — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

# „პრაღის სამიტი საქართველოსთვის, ისევე, როგორც მრავალი სხვა ქვეყნისთვის, ისტორიულ მიჯნად იქცა, რის შემდეგაც დიდი ევროპის განვითარებაში სრულიად ახალი ეპოქა იწყება“

(პირველი გვერდიდან)

[illegible]

ამრიგად, პრაღის სამიტი საქართველოსათვის, ისევე როგორც მრავალი სხვა ქვეყნისთვის, ისტორიულ მიჯნად იქცა, რის შემდეგაც დიდი ევროპის განვითარებაში სრულიად ახალი ეპოქა იწყება.

[illegible]

**— საქართველოში სამდღიან ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალთა შტაბების მეთაურთა გაერთიანებული კომიტეტის უფროსი რიჩარდ მაიერსი.**

[illegible]

## პრეზიდენტი



# სამართალდამცველებს საგანგებო ზომების განხორციელება მართებთ

**23 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ საგანგებო თათბირი მოიწვია, რომელსაც სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე, გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე, შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი და უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია ესწრებოდნენ.**

თათბირის მონაწილეებმა აღშფოთება გამოხატეს ცნობილი ფეხბურთელისა და საზოგადო მოღვაწის კახი ასათიანის მკვლელობასთან დაკავშირებით.

ედუარდ შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ საზარელი დანაშაულის გახსნა — მკვლელობის მიზეზების გარკვევა და დამნაშავეთა დადგენა სამართალდაცვის ორგანოების ღირსების საკითხია.

მოსმენილი ინფორმაციის გაანალიზების შემდეგ პრეზიდენტი დარწმუნდა, რომ სამართალდამცველები ძალისხმევას არ იშურებენ. ოპერატიულად მუშავდება რამდენიმე ვერსია როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ქვეყნის პრეზიდენტმა სამართალდაცვის ორგანოების ხელმძღვანელებს დედაქალაქში კრიმინოგენული სიტუაციის გამოსწორება მოსთხოვა. თუმცა, საგანგებო თათბირზე ისიც აღნიშნა, რომ ვითარების გამწვავების ერთ-ერთი მიზეზია ძალოვანი სტრუქტურების ყურადღების გადატანა პანკისის ხეობასა და შიდა ქართლში, სადაც საგანგებო ღონისძიებები ხორციელდება.

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.**

## ღირსეული

# „თქვენს გვერდით გატარებული ყოველი წუთი ჩემთვის ჯილდოა“

(პირველი გვერდიდან)

განსაკუთრებული პირადი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობისათვის ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი გადასცა.

გიორგი ციციშვილის დაჯილდოების საზეიმო ცერემონიაზე საქართველოს პრეზიდენტმა მიულოცა მას ეს დიდი აღიარება და განაცხადა: „ბატონი გიორგი ახალგაზრდობიდანვე გამორჩეულია. მას მრავალი დამსახურება მიუძღვის საქართველოს წინაშე. მიმაჩნია, რომ დიდ სამამულო ომში დამსახურება საქართველოს წინაშე დამსახურებაც არის. ჩვენი ქვეყნის ათასობით წარმომადგენელი იბრძოდა ამ ომში თავისი სამშობლოს — საქართველოს დასაცავად და ასევე სხვა ხალხების დასაცავადაც, რაც ასევე კეთილშობილი და დიდი საქმეა.

ომიდან დაბრუნების შემდეგ კი მან დიდი წვლილი შეიტანა ქართული ლიტერატურის, მეცნიერების განვითარებაში. აკადემიკოსის წოდებაც მისი დიდი სამეცნიერო შრომის დამსახურებას ნიშნავს“.

ედუარდ შევარდნაძემ ასევე მადლობა გადაუხადა საქართველოს ვეტერანებს, რომლებიც არსებული პრობლემების მიუხედავად, სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან ყველა საკითხში მხარს უჭერენ ხელისუფლებას. „ერთგულების ასეთი განწყობილების დანერგვას ხომ ბატონი გიორგი თავისი პირადი მაგალითით განაპირობებს“, — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.**

## თანამშრომლობა

# „საქართველოში „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა წარმატებით ხორციელდება, იგი გაგრძელდება და კიდევ უფრო გაფართოვდება“

(პირველი გვერდიდან)

გენერალმა რიჩარდ მაიერსმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ჩვენს ქვეყანაში შეერთებული შტატების ეგიდით მიმდინარე „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა წარმატებით ხორციელდება, რომელიც 2004 წლამდე გაგრძელდება და კიდევ უფრო გაფართოვდება.

ერაყის შესაძლო ოპერაციაში ქართველი სამხედროებისა და საქართველოს სამხედრო ბაზების სავარაუდოდ გამოყენების ალბათობის შესახებ, გენერალმა რიჩარდ მაიერსმა აღნიშნა, რომ შეერთებულ შტატებს ჯერ არ მიუღია არანაირი გადაწყვეტილება ერაყის კონფლიქტის გადასაწყვეტად. იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი ოპერაცია განხორციელდება, საქართველოს მხარემ თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ამ ოპერაციაში მონაწილეობის შესახებ. მისი თქმით, შესაბამისად საქართველოს მთავრობამ უნდა განსაზღვროს, თუ რა დანიშნულება ექნებათ რეფორმირებულ ქართულ სამხედრო ნაწილებს.

რაც შეეხება ნატოში საქართველოს გაწევრების უახლოეს პერსპექტივას, ამერიკელი გენერლის თქმით, ეს პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხია.

— საქართველოს შეიარაღებული ძალების რეფორმა უნდა გაგრძელდეს, სამხედრო ნაწილები კი სრულად შეესაბამებოდეს ნატოს შეიარაღებულ ძალებს. ამ პროცესში ამერიკის მთავრობა საქართველოს დაეხმარება, — განაცხადა გენერალმა რიჩარდ მაიერსმა.

**საქინფორმი.**





# ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითები უხელმძღვანელებენ

[illegible]

**საქინფორმი.**

## თანადგომა

# მიწისძვრით დაზარალებულებს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური გადაუხადეს

**25 ნოემბერს თბილისის მერიამ და „ეი-ი-ეს თელასმა“ დაასრულეს მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების პირველი ეტაპი, რაც გამრიცხველიანებას გულისხმობდა. ამასთანავე, ფონდმა „იუსაიდმა“ ქვეკონტრაქტორ „ფიაისთან“ ერთად, მიწისძვრით დაზარალებულების მიერ ბოლო 6 თვის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური გადაიხადა და სამომავლოდ დახმარების გაგრძელებას გეგმავს.**

25 აპრილს, მიწისძვრის შედეგად, 400 ოჯახი დაზარალდა. მათ დროებით საცხოვრებელი ფართი — ნევროლოგიის ინსტიტუტში, სამღერეთის, ჯიქიასა და გაფრინდაულის ქუჩებზე გამოუყვეს თბილისის მერიამ „ეი-ი-ეს თელასთან“ ერთად. დაზარალებულთათვის შეიქმნა ელექტროენერგიით მომარაგების ერთობლივი პროექტი. იგი თითოეული ოჯახისათვის ახალი ელექტროქსელისა და მრიცხველების დამონტაჟებას ითვალისწინებს.

მერიის ენერგეტიკული სამსახურის ინფორმაციით, „ეი-ი-ეს თელასმა“ ქალაქის მერიას 400 ცალი მრიცხველი უსასყიდლოდ გადასცა, რომელმაც ისინი დაზარალებულებს ასევე უფასოდ დაუმონტაჟა. „თელასმა“ ძაბვის საიმედო მიწოდების მიზნით ელექტროგაყვანილობა შეცვალა და სატრანსფორმატორო სადგურებში პროფილაქტიკური სამუშაოები განახორციელა.

ნევროლოგიის ცენტრში და სამღერეთის ქუჩაზე 6 თვის განმავლობაში მიწისძვრით დაზარალებულების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის დავალიანებამ 40 ათასი ლარი შეადგინა, რომელიც მერიის ინიციატივით ფონდმა „იუსაიდმა“ და მისმა ქვეკონტრაქტორმა „ფიაისმა“ დაფარეს. „იუსაიდისა“ და „ფიაის“ მხრიდან ასევე მოსალოდნელია ზამთრის გათბობის პროგრამის დაფინანსება. პროგრამა დეკემბრიდან დაიწყება და მარტამდე გასტანს. უცხოელები დაზარალებულების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ნაწილს დაფარავენ. მათს მიერ დასაფარი კილოვატების ოდენობა დეკემბრის დამდეგს დადგინდება.

**საქინფორმი.**

## ნავთობსადენი

# „ეკოლოგიურად უსაფრთხო იქნება“



**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და სახელმწიფო მდივნის სპეციალური მრჩეველი კასპიის აუზის ენერგეტიკული დიპლომატიის საკითხებში სტივენ მანი კმაყოფილია საქართველოში ვიზიტით. როგორც მან 25 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, ნაყოფიერი შეხვედრები გაიმართა ქვეყნის მეთაურთან, სახელმწიფო მინისტრთან, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანთან, საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაციისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელებთან. განხილვის მთავარი თემა „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენის პროექტის სოციალური დაცვისა და გარემოზე ზემოქმედების საკითხი იყო.**

„ყველა საფუძველი არსებობს, რომ განვაცხადოთ: „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენის პროექტი მაღალი საერთაშორისო სტანდარტებით განხორციელდება. დიდი მოცულობის სამუშაო შესრულდა პროექტის სოციალური და გარემოსდაცვითი ზემოქმედების შესასწავლად, რომლის შედეგად შემუშავებულ დოკუმენტს ანალოგი ძნელად თუ მოეძებნება,“ — აღნიშნა სტივენ მანმა, რომელიც საქართველოში სწორედ აღნიშნული საკითხების ადგილზე შესასწავლად ჩამოვიდა. როგორც მან თქვა, მისი ვიზიტის ერთ-ერთი მიზანი არის „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენის [illegible] ტანს და მისი წარმატება ქვეყანაში დიდი მოცულობის ინვესტიციების მოზიდვის წინაპირობა გახდება. გარდა ამისა, „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენის პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოს სუვერენიტეტის დაცვასა და სტაბილურობას,“— განაცხადა სტივენ მანმა.

ხოლო რაც შეეხება პროექტის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას, სა[illegible] ობასთან და მთლიანად პროექტის გარემოსდაცვითი ზემოქმედების საკითხებზე ამ დღეებში თბილისში ერთობლივად იმსჯელებენ ნავთობის კომპანია „ბი–პის,“ მსოფლიო ბანკის, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების უმაღლესი რანგის ექსპერტები და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები.

**საქინფორმი.**

## კანონმდებლები

# „მე ყოველგვარი იმუნიტეტის წინააღმდეგი ვარ“

**გვესაუბრება პარლამენტარი, ფრაქცია „ალიანსი – ახალი საქართველოსათვის“ წევრი ვან ბაიბურთი**

**— ბატონო ვან, „სოციალისტებმა“ საქართველოს პარლამენტის წევრისთვის იმუნიტეტის შეზღუდვის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს. მათ პარლამენტს დეპუტატების იმუნიტეტის შეზღუდვის მიმართულებით საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი წარმოადგინეს...**

— მე საერთოდ ყოველგვარი იმუნიტეტის წინააღმდეგი ვარ. დეპუტატს იმუნიტეტი არ სჭირდება. რაკი ხალხმა აგირჩია, ხალხზე მეტი უფლებები არ უნდა გქონდეს. ვთვლი, რომ ეს არაკორექტულია. კარგი იქნება, თუ პარლამენტი დეპუტატის იმუნიტეტზე უარს იტყვის. ვფიქრობ, ამაზე უკეთესს ჩვენი პარლამენტი ვერაფერს გააკეთებს. ჩვენ, ფაქტობრივად, ხალხზე მაღლა ვდგავართ, რასაც გამართლება არა აქვს.

**— საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი „არაპოლიტიკური უმრავლესობის“ შექმნაზე საუბრობს. მისი განმარტებით, „არაპოლიტიკური უმრავლესობა“ იმ დეპუტატებისგან უნდა ჩამოყალიბდეს, ვისაც, პოლიტიკური მიზნებისა და შეხედულებების მიუხედავად, ნამდვილად საქმის კეთება სურს. მან მზადყოფნა გამოთქვა „არაპოლიტიკური უმრავლესობის“ ჩამოყალიბებისთვის ყველა ფრაქციასთან ითანამშრომლოს. რას იტყოდით?**

— ასეთი რამ არსად არ ხდება. ყველა გაერთიანებაში პარტიული ინტერესებია ჩადებული. პარლამენტში უნდა იყოს უმრავლესობა, რომელიც სახელმწიფოს მიმართ არის დადებითად განწყობილი. ეს სხვა საკითხია, მაგრამ სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების არაპოლიტიკური ცნების ქვეშ გაერთიანება მართებულად არ მიმაჩნია.

გუშინ პარლამენტში ფრაქცია „სოციალისტი“ ახალი ინიციატივით გამოვიდა: მან გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ მომავალ კვირას საპარლამენტო არჩევნებზე საბურთალოს რაიონში სოციალისტებს და მოქალაქეთა კავშირს ერთი კანდიდატი ეყოლებათ.

ეს არც არის გასაკვირია, რადგან უკვე დაწყებულ წინასაარჩევნო კამპანიაში გუნდის გარეშე დარჩენილი „სოციალისტები“ მოკავშირედ ავთანდილ ჯორბენაძეს ირჩევენ.

**მზია გელენავა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

სხვისი ექსკლუზივი

# ჯორჯ ბუში: „მოხარული ვარ, რომ ვლადიმერ პუტინმა დაიწყო დიალოგი ბატონ შევარდნაძესთან“

(პირველი გვერდიდან)

გავიგე, რომ ზოგიერთები ამტყუნებენ იმის გამო, რაც რუსეთში მოხდა. არა, ბრალი ტერორისტებს უნდა დასდონ, მათ უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა. მიმაჩნია, რომ ერთი მეორეს არ გამორიცხავს. ასევე მიმაჩნია, რომ შეიძლება პასუხისგებაში მივცეთ ტერორისტები, მკვლელები, და, იმავდროულად, მთლიანად მოვაწესრიგოთ სიტუაცია მშვიდობიანი საშუალებებით.

**ნტვ: ბატონო პრეზიდენტო, თქვენ ამბობთ, რომ ნამდვილი ლიდერი სისასტიკეს უნდა იხერხდეს. პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა, რომ კაცი, რომელიც მოსკოვში ტერორისტთა ჯგუფს მეთაურობდა, დაკავშირებული იყო ჩეჩნეთის ყოფილ პრეზიდენტ მასხადოვთან.**

X. ბუში: დიახ.

**ნტვ: უფრო მეტიც, ოპერაცია მისი ნებართვით ტარდებოდა. ამრიგად, რუსეთის თვალსაზრისით, მასხადოვი საერთაშორისო ტერორისტია. ეს ლოგიკურია?**

X. ბუში: არა მქონია შესაძლებლობა ვლადიმერ პუტინთან კონკრეტულად განმეხილა ეს კავშირურთიერთობა. მაგრამ ის, რომ მსოფლიოში საკმაოდ ბევრია ბოროტმოქმედი, რომლებსაც განზრახული აქვთ მძევლად აიყვანონ უდანაშაულო ადამიანები და თვით მთელი მთავრობები, მშვენივრად ვუწყით. ამიტომაც ესოდენ საჭიროა ვიმოქმედოთ ერთად, რათა ეს ადამიანები მართლმსაჯულების წინაშე წარსდგნენ. ეს არის იმის ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ასე მჭიდროდ ვთანამშრომლობ ახლა საქართველოსთან. და მოხარული ვარ, რომ ვლადიმერ პუტინმა დაიწყო დიალოგი ბატონ შევარდნაძესთან. ჩვენ უნდა გამოვიმუშაოთ საერთო სტრატეგია, რათა ვიპოვოთ მკვლელები, „ალ-ყაიდას“ ხელშემწყობნი, რომლებიც, შესაძლოა, პანკისის ხეობაშიც იმალებოდნენ მხოლოდ ერთი მიზნით — არასტაბილური ვითარება შეუქმნან რუსეთს.

**ნტვ: მაგრამ დასავლეთში, კერძოდ, ამერიკაში ზოგიერთი მასხადოვს მიიჩნევს ვითარების მომავალი მშვიდობიანი მოწესრიგების სრულუფლებიან მონაწილედ. თქვენი თვალსაზრისით, 23 ოქტომბრის შემდეგ ასეთი პოზიცია გამართლებულია?**

X. ბუში: არა მქონია შესაძლებლობა მოლაპარაკება მეწარმოებინა ვლადიმერ პუტინთან. მას, უდავოდ, აქვს ინფორმაცია, რომლის დაწვრილებით განხილვასაც შევძლებთ სანქტ-პეტერბურგში ჩვენი შეხვედრის დროს.

**ნტვ: ბატონო პრეზიდენტო, თქვენ საქართველო ახსენეთ. მძევალთა აყვანის ოპერაციის დამთავრებისთანავე პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი დარტყმებს აგემებს ტერორისტებს, სადაც უნდა იყვნენ ისინი. ეს ნიშნავს, რომ დარტყმა საზღვარგარეთაც შეიძლება მოხდეს. სწორია თუ არა ეს?**

X. ბუში: ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გავიგებთ ამ განცხადებას, რას ნიშნავს „სადაც უნდა იყვნენ ისინი?“ ვფიქრობ, აქ მხედველობაშია ჩვენი განზრახვა ერთიორად მეტ ძალისხმევას მივმართოთ, რათა ეს ადამიანები მართლმსაჯულების წინაშე წარსდგნენ. ეს სწორედ ის არის, რასაც ახლა საქართველოში ვაკეთებთ. მე ვუთხარი ბატონ შევარდნაძეს, რომ მისი თანამშრომლობა ამ საკითხში აბსოლუტურად აუცილებელია.

თუ საქმე ეხება მკვლელებს, რომლებმაც თავშესაფარი ჰპოვეს პანკისის ხეობაში, თუ მათი მიზანი რუსეთში ვითარების დესტაბილიზაციაა ან, თუ საქმე ამაზე მიდგა, ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, მათ აუცილებლად უნდა ვაგებინოთ პასუხი. ნელ-ნელა, მაგრამ გულმოდგინედ ვეძებთ მათ მთელ მსოფლიოში, ეს ახალი სახეობის ომია, რომელსაც ისტორიაში პრეცედენტი არა აქვს.

წინათ ჩვენ ვიბრძოდით არმიის წინააღმდეგ, მათს განკარგულებაში იყო ტანკები, თვითმფრინავები, ხომალდები. ჩვენი ახლანდელი მტრები თავს აფარებენ მღვიმეებს და სასიკვდილოდ გზავნიან ტერორისტ-კამიკაძეებს. ამიტომაც იძულებულნი ვართ სხვა საშუალებებით ვაწარმოოთ ეს ომი. საჭიროა ერთმანეთს გავუცვალოთ დაზვერვის მონაცემები, მოვუსპოთ ტერორისტებს ფულის შემოდინების არხები, გავგზავნოთ სპეციალურად გაწვრთნილი ქვედანაყოფები ბნელ მღვიმეებში, მსოფლიოს მიმობნეულ კუთხეებში, რათა ამ ხალხმა თავი ვერ დააღწიოს სასჯელს.

თქვენ ლაპარაკობთ წარსული ომების ენაზე. ამ ომში კი აუცილებლად ზუსტად უნდა ვიცოდეთ, სად იმალებიან ეს ადამიანები. ერთმანეთს გავუზიაროთ სადაზვერვო მონაცემები ისეთი მოცულობით, რომელიც წინათ, უბრალოდ, წარმოუდგენელი იყო. სწორედ ასე ვიქცევით რუსეთთან ერთად. წინათ ჩვენი სადაზვერვო სამსახურების თანამშრომლობა არასოდეს ყოფილა ესოდენ პროდუქტიული. და ეს ჩვენი ხალხებისათვის სასარგებლოა. ამიტომ კვლავ და კვლავ ვეუბნები ამერიკელებს, რომ რუსეთი ჩვენი მეგობარია და რომ ჩვენ ერთად ვნადირობთ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეს თავშეფარებულ ტერორისტებზე, რათა მათ პასუხი ვაგებინოთ.

**ნტვ: ბატონო პრეზიდენტო, თუ ნებას დამრთავთ, ერთ შეკითხვას დაგისვამთ ერაყის შესახებ?**

X. ბუში: ბრძანეთ.

**ნტვ: ახლა ეს ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხია. თუ მაინც შეტაკება გარდაუვალი გახდება, ვთქვათ, თუ სადამ ჰუსეინის რეჟიმი დაემხობა ომის გზით, ერაყის ახალი მთავრობის დროს გათვალისწინებული იქნება თუ არა რუსეთის ეკონომიკური ინტერესები?**

X. ბუში: ჯერ ერთი, იმედი მაქვს, რომ საქმე „თუზე“ იქით არ წავა. და ვიმედოვნებ, რომ სადამ ჰუსეინი დანაპირებს შეასრულებს და განიარაღდება. პრობლემა მხოლოდ ის არის, რომ იგი უკვე 11 წელიწადია დაპირებებით გვკვებავს და თერთმეტი წელია განიარაღება არ დაუწყია. მშვიდობის გულისათვის იგი უნდა დაეთანხმოს განიარაღებას.

ამიტომ რუსეთთან და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხვა წევრ ქვეყნებთან ერთად ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა ჩვენი მოთხოვნები ორაზროვნად არ გაისმოდეს. ველით, რომ ბატონი ჰუსეინი განიარაღდება. თუ იგი არ განიარაღდა თვითონ, მაშინ ჩვენ განვაიარაღებთ მშვიდობისათვის. და, ბუნებრივია, გვინდა დაცული იყოს ყველა მხარის ინტერესები.

არ ვაპირებთ ვინმეს რაიმე თავს მოვახვიოთ. ჩვენ ვიკისროთ ქვეყნის ხელმძღვანელობა. თუ რეჟიმი შეიცვალა, ვიმუშავებთ იმაზე, რათა ჩამოყალიბდეს ქვეყანაში ახალი ხელმძღვანელობა, რომელიც აღიარებს ყველა მოქალაქის უფლებებს და ერაყის ერთიანობას შეინარჩუნებს. ჩვენ კარგად ვუწყით ის, რომ რუსეთს ერაყში აქვს ეკონომიკური ინტერესები, როგორც, უნდა ითქვას, აქვს სხვა ქვეყნებსაც. და, რა თქმა უნდა, ეს ინტერესები გათვალისწინებული იქნება.

**ნტვ: დიდი მადლობა, ბატონო პრეზიდენტო.“**

საქინფორმი.

მისი ფენომენის ამოხსნისათვის

# სტალინის საფრთხობელა

ვამთავრებთ ჟურნალისტ ალექსანდრე საბოვის საუბრის პუბლიკაციას ისტორიკოს იური ჟუკოვთან იოსებ სტალინის როლის შესახებ ისტორიაში



**— თუ „გულაგი“ სტალინს არ შეუქმნია, თუ „ტროიკები“ დაშალა, ტერორის [illegible] იძია, რატომ არ მოსპო მათი საზიზღარი ნახელავი? გადაწყვიტა დაეცადა, იქნებ კვლავ გამოდგომოდა? კიდევ კარგი, რომ ალტერნატიული არჩევნების იდეას არ დაუბრუნდა: აი, ეს კი ცინიზმის მწვერვალი იქნებოდა.**

[illegible]



„პოლიტიკურ ოპოზიციად“ ყველას, ვინც თავისი ქვეყნის წინააღმდეგ სხვისი დროშის ქვეშ იბრძოდა: ვლასოველები, უკრაინელები ესესელთა დივიზიიდან „გალიჩინა“, ლატვიელები, ესტონელები, ლიტველები, რომლებიც ესესელთა ლეგიონებში იყვნენ, იგივე ყირიმის თათრები და იგივე ჩეჩნები, რომლებიც გერმანული ფორმირებების მუნდირებს იცვამდნენ. მთელს მსოფლიოში ისინი კოლაბორაციონელებად არიან მიჩნეული, სისხლის სამართლის დამნაშავეებად განსაკუთრებული მუხლით, რომლებიც იმსახურებენ საღრჩობელას, ან მინიმუმ — ზიზღს. გათავისუფლების შემდეგ საფრანგეთში მსახიობ ქალებსა და კაცებს, რომლებიც გერმანელი ოკუპანტების წინაშე ცეკვავდნენ და მღეროდნენ, ქალებს, რომლებიც მათ უწევებოდნენ, თმა გადაპარსეს და კისერზე ფირფიტაჩამოკიდებულები ქუჩა-ქუჩა დაჰყავდათ, ნებისმიერ მსურველს სახეში რომ შეეფურთხა მათთვის. მარშალი პატენი, რომელსაც მუდმივი პატიმრობა მიუსაჯეს, ციხეში გარდაიცვალა. კნუტ ჰამსუნი, დიდი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი გაასამართლეს ერთადერთი კოლაბორაციონისტული სტატიის გამო და ყველა ნორვეგიელი აფურთხებდა მას, ხოლო კვისლინგი (აქედან — კვისლინგელები, ნორვეგიელი კოლაბორაციონისტები) სასამართლოს განაჩენით ჩამოაღრჩვეს. და მხოლოდ ჩვენი პოლიტოლოგები კოლაბორაციონისტებს პოლიტიკურ ოპოზიციას მიაკუთვნებენ, მაშასადამე, — სტალინური რეპრესიების მსხვერპლთ.

## კულტის მხილება

**— გადავახტეთ ეპოქას. თქვენი აზრით, რა მოხდა სკკპ XX ყრილობაზე?**

— ეს იყო ევოლუცია... უკან. პარტოკრატიის კონსერვატიული ნაწილი იმდენად გაძლიერდა, რომ თავს უფლება მისცა, გარდაცვლილი დიქტატორის კულტისთვის გადაებრალებინა საკუთარი ბოროტმოქმედების მთელი პასუხისმგებლობა და თავისი თავი მსხვერპლად წარმოეჩინა.

პირველი მდივანი ლამის მუხლმოყრილი შეევედრა ხრუშჩოვს, შეენარჩუნებიათ მათთვის ძველი პრივილეგიები.

**— რატომ მიმართავდნენ ხრუშჩოვს, რა პარტიული პოსტი ეკავა მას იმ დროს?**

— მხოლოდ ცკ-ს ერთ-ერთი მდივნისა „თანასწორთა“ შორის, რასაც ითვალისწინებდა გადაწყვეტილება კოლექტიური ხელმძღვანელობის შესახებ. მას კი იმიტომ მიმართავდნენ, რომ „თავისიანი“ იყო 37 წლიდან. ამან გადაწყვიტა საქმე. 1953 წლის სექტემბრის პლენუმის წინ ხრუშჩოვმა, რომელიც პარტიის სახსრებს განაგებდა, ცკ სალაროდან ფუნქციონერებს გადაუხადა მთელი ის თანხა, რომელიც მალენკოვმა წაართვა. მადლიერმა ფუნქციონერებმა ნიკიტა სერგეევიჩი ერთხმად აირჩიეს თავის პირველ მდივნად. ამის შემდეგ ხრუშჩოვი მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეც ხდება. მალენკოვი ვარაუდობდა, რომ თუ სკპპ ცკ პირველ მდივანს თავის ერთ-ერთ მოადგილედ დანიშნავდა, პარტიას მთავრობის კონტროლს დაუქვემდებარებდა, და ჩააბარა მას ყველაზე მძიმე უბანი — სოფლის მეურნეობა. მოერევა, ქვეყნისთვისაც კარგი იქნება, ვერ მოერევა, მთავრობა განმტკიცდება, პარტია კი მართვის სტრუქტურებში საბოლოოდ დაიკავებს იმ ადგილს, რომელიც მისთვის ჯერ კიდევ სტალინს ჰქონდა გამიზნული. მაგრამ აქ მალენკოვმა მწარედ წააგო. თვეც არ იყო გასული, რომ ხრუშჩოვმა წამოაყენა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების საკითხი, როგორც ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების მკვეთრად ამაღლების მთავარი საშუალება.

მალენკოვის მთავრობის ახალი ეკონომიკური კურსი გულისხმობდა აქცენტის გადატანას მძიმე ინდუსტრიიდან მსუბუქ მრეწველობაზე, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციაზე, ადამიანების საარსებო მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე. მაგრამ სკკპ ცკ პრეზიდიუმმა 1954 წლის 4 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება ყამირის ათვისების შესახებ, რაც, საუკეთესო შემთხვევაში, სოფლის მეურნეობის სექტორის „გაფართოებას“ ნიშნავდა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — მის ინტენსიფიკაციას. ყველაფერი საწყის მდგომარეობას დაუბრუნდა: პარტიამ კვლავ ხელთ იგდო მართვის სადავეები და საჭესთან წარსულის იგივე პარტიული ბი[illegible] მინიშნებებს აკეთებდა ჩვენი წარსულის გადასახედად, შემდეგ კვლავ რესტავრაცია — ჩერნენკო...

გულახდილად გეტყვით: მე სტალინის რეაბილიტაციის წინააღმდეგი ვარ, რადგან საერთოდ რეაბილიტაციების წინააღმდეგი ვარ. არავისი და არაფრის რეაბილიტაცია ისტორიას არ სჭირდება, მაგრამ ჭეშმარიტების, სიმართლის თქმა აუცილებელია. ხრუშჩოვის შემდეგ გამუდმებით ლაპარაკობენ სტალინური რეპრესიების იმ მსხვერპლთა შესახებ, რომლებიც თვითონ მონაწილეობდნენ ამ რეპრესიებში, ან ხელს უწყობდნენ მათ, ან — წინააღმდეგობას არ უწევდნენ. აი, მაგალითად, სტალინის ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე პირსისხლიანი ჯალათი პოსტიშევი: იგი იმიტომ კი არ დახვრიტეს, რომ მან თავის კუიბიშევის ოლქში გამოძიებისა და გასამართლების გარეშე სიკვდილით დასაჯა ათობით ათასი ადამიანი, არამედ მოგონილი ბრალდებით „კონტრრევოლუციურ ანტისაბჭოთა ორგანიზაციებში მონაწილეობის გამო“. და ეს მისი რეაბილიტაციის საფუძველია დღეს! მხოლოდ ამგვარ ფიგურებზეა კონცენტრირებული სტალინური რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაციის კომისიის მთელი ყურადღება. ამასთან, განა ბევრი უსამართლოდ რეპრესირებული ადამიანია დღეს იურიდიულად რეაბილიტირებული? ვინმე არის ამ საქმით რეგულარულად დაკავებული?

სასამართლოები? თუ ვისამე შთამომავალი შეძლებს ჩაიხედოს ჯერ არქივებში, რაც ფრიად ძნელი საქმეა, შემდეგ კი ხმა მიაწვდინოს სასამართლოებს, რაც არანაკლებ რთულია, მხოლოდ მან შეიძლება მიაღწიოს სასურველ შედეგს: ასობით ათასი გლეხი, მუშა, მასწავლებელი, ფოსტალიონი, მღვდელი, ანუ, თუ განვაზოგადებთ, — 1937 წლის რიგითი ამომრჩეველი არავის, ისტორიკოსების გარდა არ აინტერესებს. ისტორიკოსებს კი მათი გვარების გაგებაც კი არ შეუძლიათ! აი, აქ კი მე სერიოზულად მეეჭვება, რომ ეს არის ისტორიული მეცნიერების ხელოვნურად შექმნილი კრიზისი, დახშული წრე. სანამ საფრთხე არსებობს, ვერ შევიტყობთ მთელს ისტორიულ სიმართლეს, ხოლო სანამ ვერ გავიგებთ სიმართლეს, საფრთხობელა იარსებებს.

ალექსანდრე საბოვი.

„კომსომოლსკაია პრავდა“. 5-21 ნოემბერი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 276-282.

კანონმდებლები

## პარლამენტის ბიუროს სხდომა გადაიდო

**პარლამენტის ბიუროს სხდომა, რომელიც 25 ნოემბერს იყო დაგეგმილი, ჩაიშალა. მიზეზი კვორუმის უქონლობა გახდა, რის გამოც, პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ სხდომა გადადო.** ბიუროს მომავალი, 3-6 დეკემბრის პლენარული სხდომების დღის წესრიგი უნდა განეხილა, აგრეთვე მოესმინა შესაბამის აღმასრულებელ უწყებათა ინფორმაციები „რუსეთის ფედერაციის მიერ ეუთოს 1999 წლის სტამბოლის ერთობლივი განცხადების შეუსრულებლობის თაობაზე“ და „საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნული ვალუტის — ლარის ერთ-ერთ საგადამხდელო საშუალებად გამოყენების შესახებ“ პარლამენტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე“.

საქინფორმი.

კადრები

## დაეკისრათ რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 852 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად საჩხერის, გურჯაანის, ყვარლის, წალკის, დმანისის, თიანეთის რაიონული სასამართლოების თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება დაეკისრათ: **გივი ფანჩვიძეს** — საჩხერის რაიონული სასამართლოს მოსამართლეს; **მაგული ღვალაძეს** — გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლეს; **ვაჟა ტურაშვილს** — ყვარლის რაიონული სასამართლოს მოსამართლეს; **ირაკლი გიგინეიშვილს** — წალკის რაიონული სასამართლოს მოსამართლეს; **დავით ლონგურაშვილს** — დმანისის რაიონული სასამართლოს მოსამართლეს; **მარო დანიშაშვილს** — თიანეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლეს.

საქინფორმი.

წინასაარჩევნო სიურპრიზი

# „ისტორიის სანაგვედან“ — მოკავშირეობამდე

(პირველი გვერდიდან)

ამ განცხადების ოფიციალური საფუძველი, ბოლო ხანს ქვეყანაში წინასაარჩევნოდ შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარება გახდა. ვახტანგ რჩეულიშვილი მიიჩნევს, რომ პარტიებს შორის დაპირისპირებამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, ამიტომაც ქვეყანაში მშვიდობის შესანარჩუნებლად სხვადასხვა ორგანიზაციების გაერთიანებაა აუცილებელი.

პირველი ნაბიჯი მათ მოქკავშირთან ერთად გუშინ გადადგეს, თუმცა, ამით საფუძველი შეურყიეს თანამშრომლობას „აღორძინებასთან“, რომელთან ერთადაც სოციალისტები საერთო ბლოკით თავის დროზე პარლამენტში მოვიდნენ.

ძნელია, იმის დაჯერება, რომ ასლან აბაშიძე ვახტანგ რჩეულიშვილს ამ ნაბიჯს მოუწონებს, თუმცა თავად სოციალისტთა ლიდერი იმედიანად არის განწყობილი და, უფრო მეტიც, დარწმუნებულია, რომ ბათუმს, ცენტრთან კონსტრუქციულ თანამშრომლობაზე დაითანხმებს. მით უმეტეს, რომ ახალი პოლიტიკური გაერთიანება (რომელსაც არც სახელი აქვს და არც ალიანსის შეკვრის ოფიციალური დოკუმენტით არ გაფორმებულა) იდეაში ახალი საპარლამენტო უმრავლესობის შექმნასაც შეეცდება, თუმცა, თავად ამ ახალი ალიანსის ლიდერები ასეთ პერსპექტივაზე წინასწარმეტყველებისაგან ჯერჯერობით თავს იკავებენ.

„საქართველოს რესპუბლიკის“ შეკითხვაზე: ახალი საპარლამენტო უმრავლესობის შექმნა გამოიწვევს თუ არა საკანონმდებლო ორგანოს სპიკერატის გადახალისებას? — ავთანდილ ჯორბენაძემ ასე უპასუხა: „ჯერ თავად არც უმრავლესობის შექმნის საკითხი არ არის გადაწყვეტილი“.

და შეიძლება, სწორედ იმიტომაც უჭირთ წინასწარ რამის განცხადება, რომ დღეს პარლამენტში ყველაზე მრავალრიცხოვანი დაჯგუფება „აღორძინებაა“ და მათთან საერთო ენის გამონახვის გარეშე შეუძლებელი იქნება ახალი უმრავლესობის შექმნა.

ამ ახალი გაერთიანებისთვის მეორე დიდი პრობლემაა ის ურთიერთობები, რომლებიც აქვთ სოციალისტებს „მოქკავშირის“ საპარლამენტო ხელმძღვანელობასთან. კერძოდ, ვიტალი ხაზარაძე არცთუ კარგ ურთიერთობაშია ვახტანგ რჩეულიშვილთან. არადა, ახლა ისინი სტრატეგიული მოკავშირეები გახდნენ და ეს ჯორბენაძემ და რჩეულიშვილმა ხელის ჩამორთმევით გუშინ, ოფიციალურად დაადასტურეს.

დიახ, მართლაც საყურადღებო ფაქტია, ორი პარტიის ეს ახალი ალიანსი მხოლოდ ლიდერთა ზეპირ შეთანხმებას ეფუძნება, ეს „საქართველოს რესპუბლიკასთან“ საუბარში სახელმწიფო მინისტრმაც დაადასტურა, რომელმაც განაცხადა, რომ ახალი ალიანსის შესაკვრელად რაიმე დოკუმენტი ან ხელშეკრულება არ გაფორმებულა.

ამ ზეპირი შეთანხმების „პუნქტები“ საკმაოდ მრავალფეროვანია, და ეხება, როგორც 30 ნოემბერს საბურთალოზე დანიშნულ მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნებს (ეს რაიონი ნებისმიერი პარტიისათვის ძალზე მნიშვნელოვანია), ასევე, მომავალ 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებსაც.

რაც შეეხება კონკრეტულად 30 ნოემბრის არჩევნებს, ორი პარტიის შეთანხმების საფუძველზე სოციალისტები მაჟორიტარი დეპუტატის ადგილზე თავიანთ კანდიდატურას (ზურაბ გუდავაძეს) მოხსნიან და „მოქკავშირის“ კანდიდატს თემო გოცაძეს დაუთმობენ ადგილს (უფრო სწორად, — თავიანთ ხმებს). რის სანაცვლოდ გადადგა სოციალისტურმა პარტიამ ეს ნაბიჯი ჯერჯერობით არ კონკრეტდება. ოფიციალური ვერსიით — ამით სოციალისტებს „მოქკავშირისათვის“ ერთგულების დამტკიცება სურთ, (ეს უფრო სოციალისტების ვერსიაა), თუმცა კულუარული ინფორმაციით, პროფესიით ინჟინერ ზურაბ გუდავაძეს, ალბათ, უახლოეს ხანებში, აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერთ თანამდებობაზე ვიხილავთ. სხვათა შორის, ეს გარკვეულწილად არც სახელმწიფო მინისტრმა გამორიცხა, „საქართველოს რესპუბლიკის“ შეკითხვას: ამ ალიანსის ფარგლებში მიიღებენ თუ არა სოციალისტები ადგილებს აღმასრულებელ ხელისუფლებაში? — ავთანდილ ჯორბენაძემ ასე უპასუხა: „სხვათა შორის, ხშირად ამბობენ, რომ მოქალაქეთა კავშირი ძალდატანებით აწევრიანებს ხელისუფლების, საზოგადოების ან სხვა რომელიმე სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებს თავის რიგებში, ეს გამორიცხულია. ჩვენ არანაირად არ გვჭირდება ვინმე ძალით შემოვიყვანოთ პარტიაში. აღმასრულებელ ხელისუფლებაში ძალიან ბევრი ისეთი ადამიანი მუშაობს, რომლებიც „მოქკავშირის“ წევრები სულაც არ არიან. და ასეთ ადამიანებს მუშაობაში არანაირი პრობლემა არ ექმნებათ. რაც შეეხება სოციალისტებს, მათ პარტიაში ძალზე ბევრი საინტერესო ადამიანია, რომელთაგან ზოგიერთი შესაძლებელია აღმასრულებელი ხელისუფლების რომელიმე სტრუქტურაში ვიხილოთ“.

როგორც გუშინ, ახალი ალიანსის შეკვრის დეკლარირებისას სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ განაცხადა, „მოქალაქეთა კავშირი“ არა მხოლოდ, სოციალისტებთან, არამედ სხვა პარტიებთან თუ მოძრაობებთანაც ითანამშრომლებს, მათ შორის, ოპოზიციასთან. თუმცა სტრატეგიული თანამშრომლობა, როგორც ჩანს, მხოლოდ რამდენიმე პარტიასთან აქვს ჩაფიქრებული. ამ პარტიების ვინაობა ჯერ გასაიდუმლოებულია. როგორც თავად ავთანდილ ჯორბენაძემ გუშინ განაცხადა, ამ პარტიებთან ჯერ კონსულტაციები მიმდინარეობს.

ყველაზე ნიშანდობლივი კი ის არის, რომ „მოქკავშირის“ ლიდერმა და სახელმწიფო მინისტრმა გუშინ, პირველად გააკეთა ერთობ მოულოდნელი განცხადება 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადების შესახებ. მისი თქმით, ახლა მიმდინარეობს სხვადასხვა ჯგუფთან კონსულტაციები იმაზეც, რომ 2003 წელს ისინი საერთო საარჩევნო ბლოკით წარსდგნენ ამომრჩეველთა წინაშე. პრაქტიკულად სოციალისტებთან ერთად ბლოკის შექმნა თითქმის უკვე გადაწყვეტილია. სხვა პარტიების ნუსხა კი, როგორც უკვე ვთქვი, სულ მალე გაირკვევა. თავად სახელმწიფო მინისტრი საკმაოდ იმედიანად არის და ეს მას კარგ განწყობილებაზე ყოფნით გუშინაც ეტყობოდა, როცა სოციალისტთა ახალგაზრდული ორგანიზაციის ოფისში რჩეულიშვილთან ერთად საზოგადოებას ახალი გაერთიანების დაბადებას აცნობდა.

როგორც ჩანს, იმ ფონზე, როცა მოქალაქეთა კავშირმა ადგილობრივ არჩევნებზე 0,2 პროცენტი აიღო, იგივე ბედის გაზიარების თავიდან ასაცილებლად მოკავშირეების ძიება დაიწყო. მით უმეტეს, რომ სოციალისტები იმავე ადგილობრივ არჩევნებში, მართალია, თბილისში დამარცხდნენ, სამაგიეროდ, საერთო მაჩვენებლით საქართველოს მასშტაბით, მე-4 ადგილზე გავიდნენ.

სოციალისტების ლიდერის ვახტანგ რჩეულიშვილის კარგა ხნის წადილი — ქვანიას გუნდს ჩანაცვლებოდა, მგონი უკვე რეალობა ხდება. ასე რომ ლოზუნგი „ისტორიის სანაგვეზე“ უკვე ისტორიას ჩაბარდა, და უფრო აქტუალური ლოზუნგი „პარტნიორობა — ხელისუფლებისათვის“! გახდა. როგორც ახლა თავად სოციალისტები ხუმრობენ, სოციალისტური პარტია ამჯერად წყლით სავსე აუზში ჩახტა!

ბექა ჭედია.

პიროვნება

# კაცი, რომელსაც აფასებს ყველა

**საქართველოში ბევრზე არ ამბობენ კოლორიტული ფიგურაა, იდეალური პიროვნებააო. ამას უდიდესი დამსახურება, უდიდესი მამულიშვილობა სჭირდება. ჩემი აზრით, ამ პატარა ქვეყანაზე არ მოიძებნება ადამიანი, რომელიც ბატონ სოსო ყიფიანზე საქებარ სიტყვებს დაიშურებს.** ეს აურა თავად შეიქმნა საქმით, რომელშიც ერთიანად ჩაქსოვილია პატრიოტიზმიც და პროფესიონალიზმიც, გამოცდილებაც და უბრალოდ, კაცური ღირსებაც...

თითქმის წარმოუდგენელი ამბავია, — 47 წელიწადი საქართველოს პროკურატურის სისტემაში იღვაწა, გენერალური პროკურორის პირველი მოადგილეც გახდა, არ დაიღალა, ზოგ-ზოგივით ქანცი არ გამოელია და საქართველოს პარლამენტს ტყიბულიდან მაჟორიტარ დეპუტატად მოევლინა. პროკურატურაშიც სამართლიანობას ემსახურებოდა და პარლამენტშიც მისი გვირგვინი დაიდგა: სულ ახლახან, 9 თვის ბიუჯეტის განხილვისას კი, მთელი მთავრობა იმპიჩმენტს გადაარჩინა თავისი იურისტობით, კანონების ზუსტი ცოდნით.

ერთ-ერთი დაბადების დღის მილოცვისას საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ დღევანდელ იუბილარს ასე მიმართა: „ბატონო რევაზ, თქვენი შრომითი ბიოგრაფია ღირსეული მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს ადამიანი სამშობლოსა და ხალხს“.

მეტი შეფასება რაღა გინდა! რაც მთავარია, ასეთ შეფასებას ბატონი სოსო ყიფიანი იმსახურებს ღირსეული მაგალითისთვის, დიახ, ღირსეული მაგალითისთვის, რაც დღეს ესოდენ გვაკლია ნაშიერთა საწვრთნელად. ცოტა ადრე კი სულ სხვაგვარად იყო: „თითოეულ ჩვენგანს საკუთარი იდეალი ჰყავს. სწორედ ასეთი იდეალი, ასეთი გამორჩეული ადამიანია ჩემი თაობისათვის ბატონი რევაზ ყიფიანი. საბოლოო ჯამში, ღვაწლი და ამაგი, მამულიშვილობა და კაცურკაცობა ამქვეყნად უკვალოდ არ იკარგება. ამიტომაც ბატონ რევაზს მუდამ თან სდევს დიდი სიყვარული და საყოველთაო აღიარება“, — ამბობს საქართველოს გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე.

ჩვენდა სასიამოვნოდ, ბატონი სოსო ყიფიანი ჩვენი გაზეთის დიდი გულშემატკივარია. რაც მთავარია, ყველაზე მეტად მას ენდობა. „ჩემთვის „საქართველოს რესპუბლიკა“ ყოველდღიური საკითხავი გაზეთია, ყოველდღიური მოთხოვნილების საგანია. „ალიასაც“ ვეცნობი, „რეზონანსსაც“, „ახალ თაობასაც“, მაგარმ ჩემში გამჯდარია რწმენა, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული ინფორმაცია ყოველთვის ეყრდნობა ობიექტურ მასალას“, — ამბობს იგი.

2000 წელს „ალიას“ კორესპონდენტმა ბატონ რევაზ ჰკითხა, როდის დაიბადეთო... პასუხი არ გაინტერესებთ? — „რა შენი საქმეა, ვინ გკითხავს, როდის დავიბადე, რას ითვლი ჩემს წლებს? მთავარია, კარგად ვიყო და კარგად გამოვიყურებოდე. წლები მომეცით ჩემი ენერგიის, განწყობის, ხასიათის მიხედვით“.

ბატონო სოსო (ვიცით, ეს სახელი უფრო მოგწონთ) წლებს არ გითვლით, უბრალოდ, მთელი ჩვენი რედაქციის სახელით დაბადების დღეს გილოცავთ, სულ ასე, მარადიული ახალგაზრდა გვენახეთ!



ბონდო გულიაშვილი.



**რამდენ შემოსავალს ვიღებთ თითო კაცზე?**

ერთ სულ მოსახლეზე გერფილი შემოსავლების (როგორც საგადასახადო, ისე არასაგადასახადო) მიხედვით, ქვეყნის მხარეებს შორის, საკმაოდ მნიშვნელოვანი განსხვავებაა. კერძოდ, ფოთსა და თბილისში ეს მაჩვენებელი, შესაბამისად, 163 და 124 ლარს უდრის, საშუალო ეროვნული მაჩვენებელი 25 ლარია. თბილისის და ფოთის შემდეგ იგი უდიდესია ბოლნისის რაიონში - 96 ლარი, ხოლო მინიმალური – ჩხოროწყუში (6 ლარი).

**იხვეწება სადაზღვევო სისტემა**

ქვეყნის მთავრობამ განიხილა და მოიწონა კანონპროექტი, რომელიც განსაზღვრავს მოსახლეობის სავალდებულო სოციალური დაზღვევის სამართლებრივ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საფუძვლებს.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს სახელმწიფო სამედიცინო ფონდში, კანონის მიღება დადებით გავლენას მოახდენს საქართველოში ფისკალურ პოლიტიკაზე, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტიდან [illegible] დაფინანსება ეტაპობრივად [illegible] სადაზღვევო [illegible] ჯდება სადაზღვევო და სახელმწიფო ვალდებულებანი, რაც სადაზღვევო სისტემის ქმედუნარიანობის გარანტიაა.

**ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.**

ოფიციალური ინფორმაცია

# პირველი „ინეკოსპექტრანსი–2002"

I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ევროპა-კავკასია-აზიის ქვეყნების მთავარი რეგიონების აღორძინებისათვის ეკოლოგიურად სუფთა [illegible] ტრანსპორტის (საბაგირო, საბაგირო-რელსური, მონორელსური) სისტემების და [illegible] ინფრასტრუქტურის [illegible] („ინეკოსპექტრანსი-2002"), რომელიც [illegible] 2002 წლის [illegible] 20-22 [illegible] ქ. თბილისში, [illegible] ქ. ბორჯომში და ბაკურიანში.

„ინეკოსპექტრანსი-2002"-ის მაღალ სამეცნიერო-ტექნიკურ და ორგანიზაციულ დონეზე მომზადებისა და გამართვისათვის [illegible] ვალებები მიიღეს საგარეო საქმეთა, მინაგან საქმეთა, [illegible] სამინისტროებმა, ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტმა [illegible] და შპს „საქართველოს რკინიგზამ", [illegible].

საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებს [illegible] „ინეკოსპექტრანსი-2002"-ის [illegible].

„ინეკოსპექტრანსი-2002"-ის მაღალ სამეცნიერო-ტექნიკურ და ორგანიზაციულ დონეზე [illegible] „ინეკოსპექტრანსი-2002" 10 დღით [illegible].

[illegible] ნული კონფერენციის მომზადების გადაუდებელ ღონისძიებათა დროული და ხარისხიანი შესრულება.

ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ფორუმის მაღალ დონეზე გამართვის მიზნით შესაბამისი და[illegible] „სვობოდნაია გრუზია", აგრეთვე ინფორმაციის სხვა საშუალებებს ეთხოვათ სათანადოდ გააშუქონ „ინეკოსპექტრანსი-2002"-ის მომზადებისა და გამართვის მიმდინარეობა.

**საქინფორმი.**

საქვეყნო საქმე

# საქართველოს რკინიგზა დარგის ენერგეტიკული მომარაგების პრობლემას წყვეტს

**მსოფლიოში ძნელად თუ მოიძებნება ქვეყანა, რომელსაც ისეთი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი გააჩნია როგორც საქართველოს. თუმცა, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, მას ამ რესურსების მხოლოდ 8-10 პროცენტი თუ აქვს ათვისებული.** არადა, არსებული ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის 30-40 პროცენტის ათვისების შემთხვევაშიც კი [illegible] განხორციელება მხოლოდ დარგის შეღავათიანი დაბეგვრის დაწესების შემთხვევაშია შესაძლებელი, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებასა და ინვესტიციების მოზიდვას შეუწყობს ხელს. ამის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, პარლამენტში თავისი მოხსენების დროს საგანგებოდ ისაუბრა.

დღეს კი, ქვეყანაში არსებული ელექტროენერგიის მწვავე დეფიციტის პირობებში, ეროვნული მეურნეობის დარგების არათუ განვითარება, არამედ სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებაც ძნელდება. ამ მხრივ გამონაკლისს არც წარმატებული საწარმო შპს „საქართველოს რკინიგზა" წარმოადგენს. ელექტროენერგიის ხშირი გამორთვების გამო გამოწვეულ ზარალზე და გადაზიდვების უსაფრთხოებაზე რომ არაფერი ვთქვათ, საქმე ეხება მეზობელი ქვეყნების საერთო სატრანსპორტო სისტემაში საქართველოს რკინიგზის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას.

წინასწარი გათვლებით ახლო მომავალში, საქართველოს რკინიგზის ტვირთბრუნვის გაზრდა წელიწადში 15-30 მილიონ ტონამდეა გათვალისწინებული. ამისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება რკინიგზის შეუფერხებელ ელექტრომომარაგებას, რაც დეფიციტურ ენერგოსისტემის პირობებში, განსაკუთრებით კი შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, შეუძლებელია. დარგში შექმნილი სადღეისო და სამომავლო პრობლემების გაანალიზების შედეგად შპს „საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა აკაკი ჩხაიძემ [illegible] მდებარე რეგიონში, რომელიც „საქართველოს რკინიგზის" ყველაზე ენერგოდეფიციტურ უბანს წარმოადგენს.

შპს „ჰიდროენერგეტიკის" საპროექტო ჯგუფმა, რომელშიც ძირითადად მოღვაწეობენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, თბილჰიდროპროექტის, საქწყალპროექტის, თბილსახავტოგზაპროექტის და შპს „საქტრანსპროექტის" წამყვანი სპეციალისტები. ჯგუფმა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა შპს „ჰიდროენერგეტიკის" ტექნიკური დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ გედენიძე, მდინარე ბახვისწყალზე სამი ელექტროსადგურისგან შემდგარი კასკადის მოსაწყობად, საინვესტიციო პროექტი მოამზადა, რომელთა დადგმული სიმძლავრე დაახლოებით 24 მეგავატს შეადგენს, ხოლო წლიური გამომუშავება – 140 მილიონ კილოვატსაათს.

ამ ჰესების ამუშავება ენერგოსისტემის სრული გათიშვის პირობებშიც კი, აღნიშნულ რეგიონში რკინიგზის წევის ქვესადგურებისთვის ენერგიის შეუზღუდავ მიწოდებას უზრუნველყოფს.

შპს „საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორის აკა[illegible] წყო. რთულ ადგილობრივ ბუნებრივ პირობებში ჩატარდა ხანგრძლივი და შრომატევადი ტოპოგრაფიული, ჰიდროლოგიური და გეოლოგიური გამოკვლევები.

პროექტირების პერიოდში, შპს „საქართველოს რკინიგზის" მოთხოვნით, საპროექტო ჯგუფი დაუკავშირდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მაღალი ხარისხის ჰიდროაგრეგატების და ჰესის სხვა აღჭურვილობის დამამზადებელ ქარხნებს. საბოლოოდ არჩევანი შეჩერდა ჩინურ მხარეზე, რომელთაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში ამ საქმეში დიდი გამოცდილება დაუგროვდათ. მათ მიერ იაპონელ, კანადელ და ავსტრიელ პარტნიორებთან ერთობლივად, თანამედროვე დონეზე შესრულებული პროდუქცია მნიშვნელოვნად უფრო იაფია ევროპის ქვეყნებში წარმოებულ პროდუქციასთან შედარებით და მოწოდების პირობები მნიშვნელოვან შეღავათებს ითვალისწინებს. ჩინურ მხარეს წარმოადგენს გაეროს სისტემაში ჩამოყალიბებული „მცირე ჰიდროსადგურების საერთაშორისო ქსელი", [illegible] ექტის ძირითადი მონაცემები გააცნო გაეროს ეგიდით ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციას, რომელმაც სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა. აქვე „ჰიდროენერგეტიკის" გენერალური დირექტორი შამილ ბირკაძე აირჩიეს „მცირე ჰიდროსადგურების საერთაშორისო ქსელის" საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობაში.

დღეს უკვე საპროექტო სამუშაოების მნიშვნელოვანი ნაწილი დამთავრებულია, მიღებულია შეთანხმებები სხვადასხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და „საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელის სახელმწიფოებრივი მიდგომა საქართველოს რკინიგზაში წამოჭრილი პრობლემების მოგვარებისა და ზოგადად დარგის სამომავლო განვითარების მიმართ.

ენერგეტიკა ქვეყნის ხერხემალია და ის, ვინც დღეს ამ დარგის აღორძინებას უწყობს ხელს, მომავალ საქართველოს აშენებს. ამას თაობები სათანადოდ დააფასებენ.



„ჰიდროენერგეტიკის" გენერალური დირექტორი შამილ ბირკაძე და ტექნიკური დირექტორი, პროფესორი ზურაბ გედენიძე მდინარე ბახვისწყლის ერთ-ერთ ჩანჩქერთან.

**შოთა მაჭარაშვილი.**

გვწერენ

# წესრიგი პარლამენტიდან დავიწყოთ



მოსახლეობა, ხალხი იმედით შეჰყურებს საქართველოს პარლამენტს, მიაჩნიათ, რომ აქ დამტკიცებული კანონები მათ დაეხმარებათ უკეთ ცხოვრებაში, უკეთ მუშაობაში და საერთოდ იმაში, რომ აზრი ჰქონდეს ჩვენს არსებობას. მაგრამ ეს იმედი თანდათანობით ნავლდება. ის, რაც ამ ბოლო დროს პარლამენტის სხდომებზე ხდება, გაუგებარი და ხალხისთვის ყოვლად მიუღებელია. მე პირადად, ძალიან განვიცდი იმ აურზაურსა და ცემა-ტყეპას, რასაც დღესდღეობით ვუყურებ და ვისმენ კანონმდებელთა სხდომებზე. მაინტერესებს, სად დაიკარგა ის კდემამოსილება და პატივისცემა, რაც ოდითგანვე ჰქონდა ქართველ კაცს ქალისადმი. მით უმეტეს, პარლამენტის წევრებს ეს ღირსება, ხომ უფრო მეტად მოეთხოვებათ ქალისადმი და ამ სიტუაციაში განსაკუთრებით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძისადმი.

ვუყურებ ტელევიზორს და კარგად ვხედავ, პარლამენტის წევრები, განსაკუთრებით მამაკაცები, თავიანთი უხეშობით, აყალმაყალით როგორ უხერხულ მდგომარეობაში აყენებენ ქალბატონ ნინოს. ნუთუ ეს არ უნდა აღელვებდეთ იქ მყოფთ? პირდაპირ, აღარ იცის ქალბატონმა ნინომ როგორ დააწყნაროს აბობოქრებული მამაკაცები. შეიძლება ითქვას, რომ ბევრმა პარლამენტარმა ნამდვილად დაკარგა პატივისცემა, პასუხისმგებლობის გრძნობა, როგორც ერთმანეთის, ისე ხალხისა და ქვეყნისადმი. ჩვენ, ვეტერანები მაღალ შეფასებას ვაძლევთ ქალბატონ ნინოს მოღვაწეობას. შესანიშნავი იყო მისი გამოსვლები გაეროში, რუსეთის სათათბიროში, სანკტ-პეტერბურგში, უკრაინაში და სხვაგან. ყოველივე ამას ჩვენი პარლამენტარებიც უნდა ხედავდნენ და აფასებდნენ.

ასეთი გათიშულობა, შეუწყნარებლობა კი მტრის წისქვილზე უშვებს წყალს. ამას რომ ვხედავ ხშირად მახსენდება ცნობილი მწერლის ჩეხოვის ერთი პატარა მოთხრობა „ჭილყვავი". ადამიანი საყვედურობს ჭილყვავს: სამას წელიწადს ცოცხლობ და ამ სამასი წლის მანძილზე ჭამა-სმის, ძილისა და გამრავლების გარდა არაფერი გაგიკეთებიაო, რაზეც ფრინველი უპასუხებს: „დიახ, ბატონო ადამიანო, მე ვიცოცხლე 376 წელიწადი, მაგრამ არც ერთხელ არ მინახავს, რომ ჭილყვავებს ეომათ ერთმანეთთან და ერთმანეთი დაეხოცათ. თქვენ კი არ გახსოვთ წლები, ომები რომ არ ყოფილიყო... ჩვენ არ ვყვლეფთ ერთმანეთს... ცილს არ ვწამებთ, შანტაჟს არ ვუწყობთ... არ გამოვცემთ სალანძღავ გაზეთებს... ჩვენს შორის არ არიან მლიქვნელები, ქვემძრომები, ქლესები, ქრისტეს მოღალატენი".

სამწუხარო სიტყვებია, მაგრამ მწერალმა ასე დაახასიათა თავისი ეპოქის საზოგადოება. სავალალოა, რომ დღესაც აქტუალურია ეს თემა და ვერსად გავექცევით ყოველივე იმას, რაზეც ზემოთ აღნიშნულ მოთხრობაშია საუბარი.

და მაინც, იქნებ დროა, გონს მოვეგოთ, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს. მიმაჩია, რომ წესრიგის დამყარება პარლამენტიდან უნდა დავიწყოთ.

**ბორის ყურაშვილი,**
საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

# ინგლისში კი წესრიგის მაგალითს სწორედ პარლამენტი იძლევა

**ჩვენი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი და დამსახურებული პიროვნება, ბატონი ბორის ყურაშვილი, მართლაც, ძალიან საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს.**

**ვნახოთ, როგორაა მოწესრიგებული ეს საკითხი პარლამენტის სამშობლოში – დიდ ბრიტანეთში. (თუმცა არა მგონია, მისი გამოცდილება, თუნდაც ჩვენი ხასიათის გათვალისწინებით, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე მაინც გამოგვადგეს).**

ბრიტანეთის პარლამენტური სისტემა დიდ ძალაუფლებას ანიჭებს სპიკერს. ამ პრაქტიკას მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება. მხოლოდ სპიკერი წყვეტს, ვინ გამოვა დებატებში. ვერც მთავრობა და ვერც ოპოზიცია მასზე იურიდიულ ზემოქმედებას ვერ ახდენენ. როგორც წესი, ყველა სპიკერი ხელმძღვანელობს თემთა პალატის მდივნის ერსკინ მეის მიერ 1871-1886 წლებში შედგენილი გამოცემით – ნორმატიული ცნობარით, რომელშიც შედის აკრძალული გამოთქმების ნუსხა. დროთა განმავლობაში მათი უმრავლესობა, მაგალითად, ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: „თავხედი", „ლაწირაკი", „დაბადებიდან იდიოტი" და ასე შემდეგ, სიიდან ამოიღეს.

მართალია, ამ სახის დარღვევებისათვის დეპუტატებს დისციპლინური სანქციები არ ემუქრებათ, მაგრამ სხვა საქმეა, როდესაც ისინი სპიკერს არ ემორჩილებიან.

ასეთ შემთხვევაში სპიკერი წარმოთქვამს დეპუტატის სახელს, რაც დარბაზიდან ავტომატურ გაძევებას ნიშნავს, პირველი დარღვევის შემთხვევაში პარლამენტარი ხუთი დღის განმავლობაში ვერ მიიღებს სხდომებში მონაწილეობას, განმეორებითი დარღვევის შემდეგ კი სანქციის ვადა ათ დღემდე იზრდება.

პარლამენტის წევრებს შორის პირდაპირ კამათი აკრძალულია. დებატების ეტიკეტის დარღვევა დაუშვებელია. ერთმანეთის მოხსენიებისას პარლამენტის წევრები ვალდებულნი არიან სახელის წინ იხმარონ განსაკუთრებული ფორმულა: „ფრიად პატივცემულო მეგობარო" (თუ თავიანთი პარტიის წევრი ჰყავთ მხედველობაში), „ფრიად პატივცემულო ჯენტლმენო ან ლედი" (როცა სხვა პარტიის წევრი იგულისხმება). მინისტრებს ყოველთვის ოფიციალური ტიტულებით იხსენიებენ. უხეში, შეურაცხმყოფელი სიტყვები და ცრუ ბრალდება უკან უნდა წაიღონ.

საპარლამენტო დებატების ტელე-რადიოტრანსლაციის შედეგად დიდი ბრიტანელი მაყურებელი მდიდარ ინფორმაციას იღებს დეპუტატებისა და, მთლიანად პარლამენტის შესახებ.

**სულიკო ნუცუბიძე.**

დღეს — ხვალისათვის

# ორლიანდაგიანი ხიდი

[illegible]მერეთში გვიანი შემოდგომის მ[illegible] საზეიმო განწ[illegible] მდინარე რიონი მოდიდებული[illegible] და ამღვრეული. გულგრილი ვერ დარჩება ვერავინ, ვინც ხიდიდან გადახედავს მას, ხიდი კი სარკინიგზოა – ყოფილი ამიერკავკასიის რკინიგზის ერთ-ერთი მშვენება, იგი ორლიანდაგიანია და ამ დიდი მნიშვნელობის მოვლენას სიხარულით ხვდებიან რკინიგზელები.

მდინარე რიონის ორლიანდაგიანი სარკინიგზო ხიდი „ხიდმშენის" ნახელავია. სწორედ მან შეასრულა საქართველოს რკინიგზის დაკვეთა. ახალი ხიდი კონსტრუქციულად ევროპული სტანდარტების დონეზეა შესრულებული.

სტუმრებს შორის, რომლებიც რკინიგზელებს ეწვივნენ, იყვნენ პრეზიდენტის რწმუნებული იმერეთის მხარეში თემურ შაშიაშვილი, მხარის ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლები.

– საქართველოს რკინიგზა გამუდმებით მშენებლობაში და ახლის შექმნაშია, – თქვა თემურ შაშიაშვილმა, – ჩვენი მხარე განებივრებულია ახალი ობიექტებით, მაგრამ ამ ხიდს მდინარე რიონზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მეფისდროინდელი რუსეთის შემდეგ ჩვენს მხარეში ამ მასშტაბის ხიდი არ აშენებულა, თუმცა, მცდელობა მრავალჯერ იყო, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს. ეს შესაძლებელი გახდა საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორის აკაკი ჩხაიძის ძალისხმევითა და მოწადინებით, რისთვისაც უღრმესი მადლობა უნდა ვუთხრათ მას...

ხიდიც არის და ხიდიც, რიონზე სარკინიგზო ხიდს უდიდესი მისია ეკისრება, რადგანაც საქართველოს რკინიგზამ უახლოეს მომავალში დღევანდელზე ბევრად მეტი რაოდენობის ტვირთი უნდა გაატაროს. საამისო თადარიგი დაჭერილია.

საზეიმო გახსნა მხოლოდ მას შემდეგ შედგა, როცა მატარებელმა ლაღად გაიარა ხიდზე. წითელი ლენტიც გაიჭრა, შამპანურით სავსე ბოთლებიც დაიცალა და კეთილი სურვილებიც ითქვა.

– ჩვენ ამაზე არ შევჩერდებით, – თქვა შპს საქართველოს რკინიგზის გენერალურმა დირექტორმა აკაკი ჩხაიძემ, – გაკეთებულზე ბევრი გასაკეთებელია. ორლიანდაგიანი უნდა გახდეს მთლიანად ცენტრალური მაგისტრალი, საამისოდ ყველა ღონე ვიხმარეთ და სამუშაოს, ალბათ, უმოკლეს ვადებში დავამთავრებთ კიდეც. რაც შეეხება სამტრედია-ბათუმის მონაკვეთის ორლიანდაგიანად გადაკეთებას, ესეც უახლოეს მომავალში გვაქვს დაგეგმილი.

ეს ერთი და სხვა მრავალი!

**ქეთევან ჩემია,**
„სრ" კორ.



**სურათზე:** ახალი ორლიანდაგიანი ხიდი მდინარე რიონზე.
**ნოდარ მიუკაშვილის ფოტო.**

მონიტორინგი

# საწარმოების მართვის

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ, რომელიც, სავარაუდოდ, 2003 წლიდან ჰოლდინგურ კომპანიად გარდაიქმნება, მიმდინარე წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა. ქონების მართვის სრულყოფისა და პრივატიზების დაჩქარების მხრივ გაწეულმა მუშაობამ გარკვეული პოზიტიური ნაყოფიც გამოიღო.

2002 წლის სამი კვარტალის განმავლობაში სახელმწიფო ქონების პრივატიზების შედეგად ქვეყნის კონსოლიდებულ ბიუჯეტში (ჯანმრთელობის დაცვისა და თავდაცვის ფონდების ჩათვლით) ჩარიცხულმა თანხამ 13 მილიონ 460 ათასი ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავალმა სახელმწიფო ქონების პრივატიზების მეოხებით თითქმის 7 მილიონ ლარს მიაღწია, ანუ გეგმის საპროგნოზო პარამეტრი 104,7 პროცენტით შესრულდა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: წლეულს მნიშვნელოვნად დაჩქარდა სახელმწიფო ქონების პრივატიზების ტემპი. მიუხედავად არსებული სირთულეებისა, მოხერხდა ისეთი მსხვილი საწარმოების პრივატიზება, როგორიცაა სს „საქტრაქტორი", სს „ქუთაისის საავტომობილო ქარხანა", სს „მედეა", სს „ელმავალმშენებელი", სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა" და სხვა.

უკვე დაიწყო და ახლაც მიმდინარეობს მთელი რიგი საწარმოების ლიკვიდაციისა და გაკოტრების პროცესები, დაწესდა მონიტორინგი მსოფლიო ბანკის მიერ შერჩეულ 11 საწარმოს ფინანსურ საქმიანობაზე, ამჟამად კი მონიტორინგის შედეგებს იხილავენ. ამის შედეგად, მთლიანად შესრულდა მსოფლიო ბანკის სტრუქტურული გარდაქმნის კრედიტის SAC-iii ტრანშის პირობები, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ის, რომ საქართველომ უკვე მიიღო ამ კრედიტით გათვალისწინებული თანხის ნაწილი.

მოკლე დროის განმავლობაში მოხერხდა საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ჩამოყალიბება, რომელშიც შევიდა სს „რელასიც". ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია ის შედეგიც, რომ ხელი მოაწერეს შპს „ელექტროდისპეტჩერიზაცია–2000" და სს „ელექტროგადაცემის" ქვესასესხო ხელშეკრულებებს. ამავე დროს, ამ საწარმოთა საგადასახადო ვალდებულებათა დასაფარად, სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშებზე ჩარიცხულია 2,5 მილიონი ლარი, შესრულებულია იმის ყველა წინაპირობა შპს „ელექტროდისპეტჩერიზაცია–2000" -სა და სს „ელექტროგადაცემის" მართვასთან დაკავშირებით კომპანია „esbi-georgia"-სთან გაფორმებული მართვის ხელშეკრულების ძალაში შესვლის დეკლარირებისათვის.

ამის შედეგად, მსოფლიო ბანკის 27,4 მილიონი დოლარის ის კრედიტი, რომელიც ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მხარდაჭერისთვისაა გამიზნული, ბანკის მიერ „ეფექტიანადაა" გამოცხადებული.

მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ამჟამად პარტნიორთა და საერთო კრებებზე იხილავს მსხვილი საწარმოების მიმდინარე წლის 9 თვის მუშაობის შედეგებს. აღსანიშნავია, რომ მრავალმა საწარმომ, რომლებისთვისაც გასული სამეურნეო წელი ზარალიანი გამოდგა, წინასწარი ოპერატიული მონაცემებით, შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება და 9 თვის შედეგების მიხედვით მოგებაც მიიღეს. ასეთებია: სს „აზოტი", სს „ელექტროკავშირი", შპს „ქუთაისის აეროპორტი", შპს „საქნავთობტრანსი", სს „შაორჰესი", შპს კომპანია „საქთხევადგაზი", შპს „კრწანისი–2000", შპს „ელექტრონული ტექნოლოგიები", შპს „საქსაშენგეოლოგი", შპს „თბილმეტრომშენი" და სხვები.

გარდა ამისა, გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ეკონომიკური მაჩვენებლები შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრმა", შპს „საქინტერავტოსერვისმა", შპს „საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ცენტრმა", შპს „მშენებლობის პროექტების ექსპერტიზის სამმართველომ", სს „ვარციხე-ჰესების კასკადმა", სს „თბილისის საერთაშორისო აეროპორტმა", შპს „საქართველოს რკინიგზამ", სხვებმა.

ბოლოს იმის თქმაღა შეიძლება, რომ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მართვის სფეროში გასაკეთებელი ჯერ კიდევ ძალზე ბევრია.

**ოთარ ტურაბელიძე,**
საქინფორმის კორ.



**დევნილებს რუსეთის პროვოკაციისა ეშინიათ**

საქართველოში ჩეჩნურ-კავკასიური კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორი სურხო იდიევი აცხადებს, რომ ჩეჩნეთიდან დევნილები პანკისის ხეობაში რუსეთის მხრიდან პროვოკაციების ორგანიზებას არ გამორიცხავენ, რაც საქართველოს ნატოში შესვლის სურვილის ფონზე ქვეყნის დისკრედიტაციას ითვალისწინებს.

როგორც პრაიმ-ნიუსს სურხო იდიევმა განუცხადა, ასეთი შიში ჩეჩნეთიდან ლტოლვილებს ყოველთვის ჰქონდათ, რამდენადაც რუსეთმა არაერთგზის განახორციელა პროვოკაციები არა მხოლოდ ჩეჩნეთში, არამედ საქართველოს ტერიტორიაზეც, სადაც დესტაბილიზაციის გამოწვევისთვის ფედერაციის აგენტები აქტიურად მოქმედებენ.

მისი თქმით, პანკისში არსებული შედარებითი სიმშვიდის მიუხედავად, საქართველოში ჩეჩნეთიდან დევნილებს დარჩენა არ სურთ, რამდენადაც რუსული აგრესიისადმი ქართული ხელისუფლების დაცვის იმედი არა აქვთ.

მისი აზრით, ხეობაში სიტუაციის ნებისმიერი სახით გამწვავება მოსკოვს „აწყობს" და ჩეჩნებმა არაერთი მაგალითი უწყიან, როდესაც მათი სახელით დანაშაული ხდებოდა.

სურხო იდიევის განცხადებით, ბანდიტურ დაჯგუფებათა შექმნასა და ჩეჩენი ხალხის სახელთან დაკავშირებას რუსეთის სპეცსამსახურები პანკისში უკვე ვერ შეძლებენ, თუმცა მცირე პროვოკაციათა ორგანიზება ძალუძთ.

ამასთან, დასავლეთის მხრიდან საქართველოს მხარდაჭერას, შეუძლია აიძულოს მოსკოვი, რათა „კარგად დაფიქრდეს", სანამ აგრესიულ ნაბიჯებს გადადგამს, – აღნიშნა მან.

**ტკივილით შესრულებული ტილოები**

სურათების ეროვნულ გალერეაში აფხაზეთის მხატვართა ნამუშევრების ექსპოზიცია მოეწყო. ჯგუფურ გამოფენაში თბილისში მცხოვრები მხატვრები მონაწილეობენ. საგამოფენო დარბაზში ასზე მეტი ფერწერული, გრაფიკული და მინიატიურული ქანდაკებაა წარმოდგენილი.

ექსპოზიციაზე ნამუშევრები ოცდაათმა მხატვარმა წარმოადგინა. ფერწერული ტილოები ძირითადად ომის თემატიკაზეა შესრულებული, რომლებშიც დამთვალიერებელი მხატვრის მიერ განცდილ ტკივილს აღიქვამს.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## ეს ისტორია

— ბაშუაძარი ისაა, რომ მოლდავეთში მოსკოვი უარს ეუბნება დნესტრისპირეთის აღიარებაზე, საქართველოში კი ცდილობს ოსეთის საზღვრების დამკვიდრებას, რაღაც უცნაური ლოგიკაა, — გავუსასხე უკმაყოფილო სახით.

— რა არის აქ გაუგებარი? პირველ შემთხვევაში ისე აშკარა ხელს, ხოლო საქართველოს შემთხვევაში — სხვანაირად. ცენტრი ხომ ყოველთვის ორმაგი სტანდარტით მოქმედებდა. ასეთი პოლიტიკა კი მის ავტორიტეტს ბლალავს. თქვენ უკვე იცით, მაგრამ მაინც მინდა შეგახსენოთ ჩვენი მეგად მნიშვნელოვანი საკითხი: იცით, რომ ჩვიდმეტ მარტს საყოველთაო რეფერენდუმში, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენლები, აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. ეს არის ხალხის ნება. 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო აქტი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ.

მე, ცხადია, მაინტერესებდა პუგოს და სხვების რეაქცია. დავინახე, თუ როგორ გადაუარა მას სახეზე სიწითლემ, მაგრამ თავი შეიკავა.

— ვფიქრობ, ეს ნაჩქარევი გადაწყვეტილებაა. ვინაიდან აფხა-

[…]

# მოსკოვი — პუგო, იანაევი, კრავჩენკო...

## ანუ ასე გამოვდიოდით სსრ კავშირიდან

[…]

ეს იყო ქართული მიწა-წყალი, უფრო მეტიც, დასავლეთ საქართველოში ქართული კულტურის აკვანი. იგივე ითქმის სამხრეთ ოსეთზეც, — ვთქვი და სკამზე შევსწორდი.

— თუკი ვინმეა აფხაზეთის ძირძველი მოსახლეობის წარმომადგენელი, ერთ-ერთი მათგანი მეცა ვარ. ჩემი გვარი უძველესია აფხაზეთში, მე აფხაზეთში მოსახლე ეთნიკური ქართველი ვარ, ამიტომ კარგად ვიცი, როგორია მოსახლეობის განწყობილება, თუ ჩაიხედავთ რეფერენდუმის შედეგებში, საქართველოს სუვერენიტეტს მხარი დაუჭირა აფხაზეთის მოსახლეობის 61,7 პროცენტმა. ეს რა, რუსეთთან შეერთებას ნიშნავს? — თქვა ზუხბაიამ.

— მინდა ინფორმაციის სახით განვაცხადო, რომ ხვალ საქართველოს წარმომადგენლობაში, რეფერენდუმთან დაკავშირებით გაიმართება პრესკონფერენცია, არ იქნებოდა ურიგო, თუ მას თქვენი პრესსამსახურიდანაც დაესწრებიან და შემდეგ მოგაწვდიან სრულყოფილ ინფორმაციას, — ჩაერია საუბარში ნოდარ მემმარიაშვილი.

პუგოს ეტყობოდა, რომ ჩვენთან საუბარი უჭირდა, იგი განათლებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა და ეუხერხულებოდა ჩიხურ მდგომარეობაში ყოფნა. ჩანდა, რომ მას დამოუკიდებლად ამ საკითხების გადაწყვეტა არ შეეძლო და, როგორც ირკვეოდა, ვერც თავის დაქვემდებარებულ უწყებაში ფლობდა სიტუაციას. იგი ფეხზე წამოდგა და განაცხადა:

[…]

რობით ჩვენს მხარეს იყო. ცენტრი, როგორც ჩანს, არ მოელოდა ჩვენს ასეთ მძაფრ შეტევებს, იგი ცოტათი დაბნეულიც კი ჩანდა.

წინ კიდევ იყო უმძიმესი შეხვედრები. 8 აპრილს დილით სახტელერადიოს ხელმძღვანელთან ლეონიდ კრავჩენკოსთან ვიზიტი გველოდა. ვიცოდით, რომ იგი მომზადებული, განათლებული ჟურნალისტი და თავგადადებული „ველიკოდერჟავნიკი“ იყო.

### მოულოდნელი ზარი

ნაშუაღამევს ვახშმის შემდეგ სასტუმროს ნომერში შევედი. ღამის 12 საათი იქნებოდა, როდესაც ტელეფონის ზარი გაისმა.

— საღამო მშვიდობისა, ნაპოლეონ ირაკლის ძევ, — გაისმა ყურმილში რუსულად.

— საღამო მშვიდობისა, — ვუპასუხე გაკვირვებულმა, რადგან ზარს არ ველოდი.

— ჩვენ სოხუმში ვართ შეხვედრილი, დღესაც მახსოვს თქვენი ბრწყინვალე თამადობა მდინარე კოდორის ხეობაში.

უმალ გამახსენდა ის შეხვედრა, რომელიც 1987 წლის აგვისტოში შედგა. აფხაზეთის სუკ-ის მაშინდელმა თავმჯდომარემ, აწ განსვენებულმა გრიგოლ ქამოშვილმა მე, ოთარ ზუხბაიას და რეზო სალუქვაძეს გვთხოვა, გავყოლოდით კოდორის სათავეებისკენ, სადაც მას მოსკოვიდან ჩამოსული სუკ-ის გენერლების მასპინძლობა ჰქონდა გადაწყვეტილი. უმალ გავიხსენე ტრუსებში გამოწყობილი ნაპატიები გენერლების სახეები, რომლებიც მდინარეში ნები-

[…]

ონ, — გაისმა ყურმილში ქართულად.

— გამარჯობათ!

— აქედანვე ვიტყვი, რომ ჩვენ ერთმანეთს არ შევხვედრივართ, თუმცა, აფხაზეთში ხშირად ვყოფილვარ...

— გასაგებია. მე რატომ გავხდი საჭირო?

— ბატონო ნაპოლეონ, ალბათ, ხვდებით, რომ სუკ-ის საქმეებში ჩახედული კაცი ვარ. ვიცი, რა იგეგმება მის კედლებში. მერწმუნეთ, სამხრეთ ოსეთი მონაგონი იქნება. ნუ გავიწყდებათ, რომ საქართველოში ძალიან ბევრი რეგიონია, რომლებშიც კონფლიქტის აგორებას რუსეთი ყოველთვის შეძლებს. პერიფერიებს რომ თავი დავანებოთ, თვით თბილისშიც არის ამის კერები. გარდა ამისა, რატომ არავინ ფიქრობს საქართველოს ეკონომიკაზე? თქვენ ხომ ერთ ნაბიჯს ვერ გადადგამთ რუსეთის გარეშე. ცხადია, თქვენ, როგორც ეკონომისტმა, იცით ის პოლიტიკა, რომელიც დღემდე ტარდებოდა. ეკონომიკა შეგნებულად არის გადახლართული ერთმანეთთან, რაც გარკვეულწილად ქვეყნის სტაბილურობის გარანტადაც გვევლინება. რუსეთი გადაკეტავს ყველა სასიცოცხლო არტერიას, რომლებითაც საქართველო იკვებება. მზადდება გეგმა, რომ საქართველომ, როგორც ქვეყანამ, დაკარგოს ფუნქცია, დღევანდელ მსოფლიოში კი ქვეყანას, რომელიც პარტნიორად არავის სჭირდება, არსებობა არ უწერია.

**ნაპოლეონ ძარძაშაძე.**

**(გაგრძელება იქნება).**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 283, 285.

- ალ. იაკოვლევი: „ჩვენში ქლესები უფრო მეტნი არიან, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობა“
- „ტაიმი“: რუსეთის უშიშროების სამსახური დემორალიზებული და კორუმპირებულია
- ტერორისტული ქსელი - გერმანიის ტოლერანტობის შედეგი



# hectsb5 flfvbfybc eakt,fsf 3obyflfwdtsf40



**ჩეჩნები რომ არ ყოფილიყვნენ, ჩვენ გამოვიგონებდითო, თქვა ერთმა რუსმა პოლიტოლოგმა. იგი დარწმუნებულია, რომ ბრუნდება ძველი დრო, რომლის ნიშნებიც დუბროვკის თეატრის იერიშის შემდეგ სულ უფრო ხშირად იჩენს თავს.** საყოველთაო „ტერორისტული საშიშროების“ საბაბით სასწრაფოდ იკვეცება თავისუფლებანი, ხოლო საზოგადოერივი აზრი უტოლდება საერთო მნიშვნელს — შიშს. უსაფრთხოების კანონიერ მოთხოვნილებას უმაქნის ბალასტად წირავენ მსხვერპლად ფუძემდებელ თავისუფლებებს, რომლებიც ამ ქვეყანაში ყოველთვის იხშობოდა.

მმართველი რეჟიმი თავისი ნებით ამკვიდრებს უმნიშვნელოვანეს საკითხთა ოფიციალურ განმარტებას და ხმამაღლა აცხადებს: „ვინც განსხვავებულ აზრს გამოთქვამს, ცრუობს!“ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები და სულიერი ელიტა — მცირედი გამონაკლისის გარდა — მონამორჩილად იდრეკენ ქედს. ამასობაში კი რუსეთის სამოქალაქო საზოგადოებას, რომელიც ხეირიანად ჯერ არც ჩამოყალიბებულა, მნიშვნელოვანწილად დაეპატრონნენ კრემლის ემისრები. გამკაცრებული პრესის კანონი — ეს არის პირველსახე ცენზურისა, და ახლა ჩრდილოეთ კავკასიიდან მოსული ცნობები შეიძლება, ნებისმიერ მომენტში გახდეს საბაბი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე გავლენის მოხდენის ან მათი ლიცენზიის გაუქმებისა. სათათბიროს შემდეგ თავიანთი მამულიშვილობა — ამ სიტყვის რუსული გაგებით — გამოიჩინეს, აგრეთვე, ფედერაციის საბჭოში შემავალმა სენატორებმა. შესწორებები შეუფერხებლად მიიღო ზედა პალატამ. რუსეთის პარლამენტი, როგორც ამ ბოლო დღეებში გამოჩნდა, თავს მიიჩნევს არა დამოუკიდებელ კანონმდებელ ორგანოდ და აღმასრულებელი ხელისუფლების მაკონტროლებელ ინსტანციად, არამედ კრემლის გადაწყვეტილებათა საშტამპავ გადამცემ რგოლად. როგორც „კურსკ“ ატომური წყალქვეშა ნავის ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ, ისე მძევალთა დრამის შემთხვევაშიც რუსი ხალხის რჩეულებმა უარი თქვეს, გამოეძიებინათ მოვლენათა ფაქტობრივი მიმდინარეობა საპარლამენტო კომისიის შექმნის გზით. წინათ ყოველთვის მართალი იყო პარტია, ახლა — სახელმწიფო.

ალექსანდრე იაკოვლევმა, მიხეილ გორბაჩოვის თანამებრძოლმა რეფორმატორმა, მწარე სინანულით აღნიშნა: „ჩვენ ათასი წლის მანძილზე უბრალოდ მივეჩვიეთ იმას, რომ გვმართავს არა კანონი, არამედ ვიღაც მთავარი. ჩვენ ეს სისხლში გვაქვს — თაყვანი ვცეთ მაღალ თანამდებობას, და არა — ადამიანს. მაამებლები ჩვენში ყოველთვის უფრო მეტნი იყვნენ, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობა“.

პუტინი, რომელსაც სულ უფრო მეტად აღიზიანებს როგორც ჩეჩნეთის პრობლემის გადასაჭრელად მიცემული დაპირება, ისე გაუთავებელი წარუმატებლობა ამ ფრონტზე, არაადეკვატურად რეაგირებს კრიტიკაზე, რომლის არსებობაც ქვეყანაში, ალბათ, არ სმენია. ამ სფეროში პროგრესი არ შეიმჩნევა. მისი ქარგონული გამოთქმა „ტერორისტებს ჩეჩმაში თავით ჩავაყუდებთო“, შინაური მოხმარებისათვის იყო განკუთვნილი. ხოლო რეკომენდაციამ ჟურნალისტისადმი, რომელმაც კრიტიკული კითხვის მიცემა გაუბედა, — მოსკოვში მამაკაცურ ღირსებას დაგატოვებინებო, გაიჟღერა ბრიუსელის საერთაშორისო ფორუმზე.

ეს იყო პასუხი კაცისა, რომელიც თვლის, რომ მის მხარეს არის სამართალი და — რაც მთავარია — ძალა.

ბირთვული იარაღის იმედით, ნავთობის ინექციით გამოცოცხლებული ეკონომიკის წარმატებით გაბრუებულ და დასავლეთევროპელი პოლიტიკოსების ლაქიური საქციელით დაბრმავებულ პოდპოლკოვნიკ პუტინს თავი კონტინენტის მთავარ მოძღვრად მოაქვს, კონტინენტისა, რომელსაც ურუსეთოდ ვერ წარმოიდგენ, წერს მანფრედ კვირინგი „დი ველტში“, და განაგრძობს: მაგრამ რა ღირებულებები უნდა შემატოს ამ ქვეყანამ მომავალ თანამშრომლობას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ეკონომიკურ კომპონენტს? მოსკოვის მძევალთა დრამა მხოლოდ ახალ კითხვებს ბადებს.

„ძლიერი სახელმწიფოს“ იდეას კვლავ აყენებენ უფრო მაღლა, ვიდრე ადამიანის სიცოცხლის ფასეულობას. სახელმწიფო ინსტიტუტების ძლიერება კვლავ ემყარება მხოლოდ და მხოლოდ ძალას. ალტერნატიულ ვარიანტებს სათვალავშიც არ აგდებენ. უბრალოდ, საჭირო გახდა დაკარგული „ღირსება“ დაებრუნებინათ უშიშროების სამსახურებისათვის, რომელთა დაუდევრობამ და გამყიდველობამ ხელი შეუწყო ტერაქტს, და ამ აუცილებლობას, უწინარესად, განაპირობებს მრავალი წლის წარუმატებელი ომი ჩეჩნეთში.

მისი მადლიერი „სამსახურები“, და ამ „სამსახურებთან“ ერთად — რუსების უმრავლესობა — ქებით იხსენიებენ ადამიანებს, უყოყმანოდ რომ მიმართავენ ძალას, მაშინაც კი, როდესაც ამას, ევროპული საზომების მიხედვით, შედეგად მოსდევს განუზომლად დიდი „თანამდევი დანაკარგები“.

თეატრის „განთავისუფლება“, ტერორისტების დახოცვა და 128 ყოვლად უდანაშაულო ადამიანის სიკვდილი რუსეთის ხელმძღვანელობამ „გამარჯვებად“ მონათლა. რუსების უმრავლესობა ამას ეთანხმება. მათთვის ადამიანის სიცოცხლე, თუ რა თქმა უნდა, იგი მათი საკუთარი ოჯახის წევრი არ არის, გაცილებით ნაკლებად ფასობს, ვიდრე დასავლეთ ევროპაში.

საწინააღმდეგო მოსაზრებებს პრეზიდენტი პუტინი მხოლოდ მაშინ უგდებს ყურს, როდესაც ეს ხელს აძლევს. ამიტომ უნდა ვაგრძნობინოთ, რომ იგი სცილდება თავისი კომპეტენციის ფარგლებს, როდესაც „წინადაცვეთას“ უპირებს ევროპაში მიღებულ ადამიანის უფლებებსა და იურიდიულ ტრადიციებს.

# ყველაფერს წყვეტს ფული

**ქრთამის მეშვეობით ჩეჩენ ტერორისტებს შეუძლიათ, თავისუფლად იარონ რუსეთის დედაქალაქში, შესაძლოა, ისინი უკვე ახალ დარტყმასაც ამზადებენ, წერს „ტაიმის“ მიმომხილველი პოლ კვინ-ჯაჯი, და განაგრძობს:**

რუსეთის უშიშროების სამსახური დემორალიზებული და კორუმპირებულია. ელიტური სახელმწიფო სამსახურების თანამშრომლები ძალზე დაბალ ხელფასს იღებენ. იმისათვის, რომ განახორციელონ ოპერაციები მოსკოვში, ტერორისტებს სჭირდებათ მხოლოდ ერთი რამ — ფული. მათ შეუძლიათ, იყიდონ დედაქალაქში ბინადრობის საბუთები, უხადონ ფული მილიციის თანამშრომლებს, რათა წინასწარ გააფრთხილონ ხოლმე მომავალი ჩხრეკა-დაპატიმრების შესახებ. ფული ტერორისტებს საშუალებას აძლევს, მოსკოვში ჩაიტანონ იარაღი და ასაფეთქებელი მასალები. ჩეჩენთა ერთ-ერთ წყაროს



თქმით, თეატრის ხელში ჩაგდება მეამბოხეებს სულ 100 000 დოლარი დაუჯდათ.

იმ საღამოს, როდესაც მეამბოხენი თეატრში შეიჭრნენ, მოსკოვის ცენტრში დააკავეს სამი ახალგაზრდა ჩეჩენი. მათ არ აღმოაჩნდათ საბუთები, რომლებიც მოსკოვში ცხოვრების უფლებას იძლეოდა, სამაგიეროდ, ჰქონდათ ფული. ჩეჩნებმა მილიციელებს მისცეს 1600 დოლარი და თავიანთი მობილური ტელეფონები. ამის შემდეგ ისინი უსიტყვოდ გაუშვეს. „პრობლემები მოსკოვში უჩნდებათ მხოლოდ იმ ჩეჩნებს, რომლებიც მეტისმეტად პატიოსანნი ან მეტისმეტად ხელმოკლენი არიან საიმისოდ, რომ ქრთამები არიგონ“, — თქვა ერთმა ჩეჩენმა, რომელიც უკანონოდ ცხოვრობს რუსეთის დედაქალაქში. მეორე წყაროს ცნობით, ჩეჩენ მოთარეშეთა ქვედანაყოფები თითქმის მუდამ არიან მოსკოვში. ისინი სწავლობენ ობიექტებს, ყიდულობენ იარაღს, ან, უბრალოდ, ისვენებენ.

იარაღი და ასაფეთქებელი მასალა, თეატრის ხელში ჩასაგდებად რომ გამოიყენეს, ჩეჩნეთიდან ჩამოიტანეს საგანგებოდ აღჭურვილი სატვირთო ავტომობილებით. ერთი მანქანის გატარების საფასური 5 ათასი დოლარი იყო. უფრო რთული იყო მანქანების გადმოცლა მოსკოვში და ტვირთის კონსპირაციულ ბინებში გადატანა. ამისთვის ჩეჩნები იძულებული გახდნენ, მილიციელებისა და სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თანამშრომლებისათვის ეძლიათ 1000-1000 დოლარი. როგორც წყაროები იუწყებიან, ამის გაკეთება არ იყო ძნელი საქმე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მოთარეშენი სამართალდამცველებს ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრებად ეცნობოდნენ. რუსეთის გაზეთები წერდნენ, რომ კრიზისის დროს თეატრის ალყაში მდგომი სულ ცოტა ერთი მილიციელი მობილური ტელეფონით აწვდიდა ტერორისტებს ინფორმაციას.

ტერორისტები მოსკოვში სათითაოდ ჩამოდიოდნენ, ზოგი ოპერაციის დაწყებამდე ორი თვით ადრე ჩამოფრინდა. მილიცია გამუდმებით უმოწმებს საბუთებს გამვლელ-გამოვლელს, განსაკუთრებით ხშირად უსინჯავენ დოკუმენტებს კავკასიიდან ჩამოსულებს. იმისათვის, რომ ქალაქში იცხოვრო, საბუთებში უნდა ჩაგირტყან სპეციალური შტამპი. მაგრამ მილიციელი რომ მოისყიდო, როგორც წესი, ათი დოლარიც საკმარისია. თუ მოთარეშეს სურს, ოფიციალურად გააფორმოს ქალაქში ყოფნა, შეუძლია, იყიდოს საჭირო ქაღალდები. დოკუმენტების სრული კომპლექტი, მათ შორის, რუსეთის პასპორტი, მძღოლის უფლებები და საზღვარგარეთის პასპორტი, 2500 დოლარი ღირს.

სპეციალისტები ამბობენ, რომ დიდი რეიდების დროსაც კი ქალაქში გადაადგილება არ არის დაკავშირებული განსაკუთრებულ პრობლემებთან. ზოგ ტერორისტს ეცვა სამხედრო ფორმა, რომელიც აშკარად მოსკოვში ჰქონდა ნაყიდი. ზოგიერთ მათგანს ჰქონდა მილიციის ან უშიშროების სამსახურის თანამშრომელთა მოწმობები. ასეთი საბუთები შეგიძლიათ, 300 დოლარად იყიდოთ. და როცა ეს დოკუმენტები გაქვთ, საგზაო ინსპექცია აღარ არის საშიში. ტერორისტებს არავინ არ აჩერებდა. და ის სიიოლე, რომლითაც შეიარაღებულ ფანატიკოსებს შეუძლიათ, იცხოვრონ მოსკოვში, ბევრს აგდებს საგონებელში, წერს დასასრულ „ტაიმის“ მიმომხილველი.



# „მისს მსოფლიომ“ 200 კაცი გადაიყოლა

**როგორც ნიგერიიდან იუწყებიან, 200-ზე მეტი კაცი დაიღუპა ქალაქ კადუნაში დაწყებული არეულობის შედეგად. საავადმყოფოებში კიდევ ასობით დაჭრილი იმყოფება.**

ახლა, როდესაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე მოჩანს მომხდარ შეტაკებათა კვალი, ძალზე მცირეა იმის იმედი, რომ მუსლიმთა და ქრისტიანთა ლიდერები შეძლებენ თავიანთი თემების დაშოშმინებას და მიაღწევენ მშვიდობიან თანაარსებობას.

ამასობაში კი „მისს მსოფლიოს“ კონკურსის მონაწილენი, სასტიკი განსაცდელის შემდეგ, უკვე დაბრუნდნენ ლონდონში. შეჯიბრების ორგანიზატორები დარწმუნებული არიან, რომ არეულობის მიზეზი იყო არა კონკურსი, არამედ პრესა.

ერთი რამ ცხადია: როგორც თვით ნიგერიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ იბადება კანონზომიერი კითხვა, რამდენად მიზანშეწონილია სილამაზის კონკურსის მოწყობა ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ ხდებოდა შეტაკებანი რელიგიურ ნიადაგზე.

„მისს მსოფლიოს“ ასპარეზობის კონკურსანტები დაახლოებით ორ კვირას იყვნენ ნიგერიაში — მსოფლიოს ულამაზესი გოგონები მონაწილეობდნენ სხვადასხვა შოუსა და საქველმოქმედო ღონისძიებებში, რომლებიც ქვეყნის ქრისტიანულ სამხრეთში მიმდინარეობდა.

უწესრიგობა დაიწყო ოთხშაბათს, მას შემდეგ, რაც ერთ-ერთმა ადგილობრივმა გაზეთმა გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნა: მაჰმად წინასწარმეტყველი სილამაზის კონკურსს რომ დასწრებოდა, აუცილებლად შეირთავდაო ცოლად მის ერთ-ერთ მონაწილეს.

რამდენიმე საათის შემდეგ ახალგაზრდა მუსლიმი ექსტრემისტები თავს დაესხნენ კადუნის გაზეთ „ზის დეის“ რედაქციას. ამ მომენტიდან ლოკალური უწესრიგობა მასობრივ სისხლიან რბევა-დაწიოკებად გადაიზარდა.



# კოლექტიური თანამოსარჩელე მუთასადეკის პროცესზე

**11 სექტემბრის მსხვერპლთა ახლო ნათესავების ორგანიზაცია, რომელიც ყველაზე დიდია შეერთებულ შტატებში, თანამოსარჩელედ გამოდის ჰამბურგის ანტიტერორისტულ პროცესზე.**

22 ოქტომბრიდან, მაროკოელი მუნირ ალ-მუთასადეკის პროცესის დაწყების შემდეგ, 11 სექტემბრის მსხვერპლთა ნათესავების ორგანიზაცია ელოდება მართლმსაჯულებას, აგრეთვე, მონაცემებს „ალ-ყაიდას“ დაფინანსების გზების შესახებ, განაცხადა ბერლინში ამ ორგანიზაციის დამფუძნებელმა, ვაშინგტონელმა სტივენ პუშმა.



ადვოკატები შულცი და იანსენი 1200-მდე ოჯახის ინტერესებს წარმოადგენენ. ტერაქტებში დაღუპულ გერმანელთა ოჯახები, როგორც დამატებითი სარჩელიდან ჩანს, მათ რიცხვში არ შედის. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც გერმანელი ადვოკატები აშშ-ში ამერიკელთა ოჯახების ინტერესებს წარმოადგენენ. შულცს დაღუპულ ამერიკელ მოქალაქეთა ახლო ნათესავების დავალებით უკვე მიუღია მონაწილეობა, როგორც ადვოკატს ბერლინის დისკოთეკაზე თავდასხმის გამო გამართულ პროცესში. იანსენმა ხაზი გაუსვა, რომ თანამოსარჩელეებს გერმანიაში აქვთ პროკურორთა უფლებების დაახლოებით 90 პროცენტი. მათ შეუძლიათ, შეისწავლონ დოკუმენტები, შეიტანონ საკუთარი შუამდგომლობანი მტკიცებულებათა განსახილველად მიზეზის შესახებ, გააკეთონ განცხადებები ან მოიწვიონ მოწმეები. ამერიკაში იურიდიული ნორმები ძირეულად განსხვავდება გერმანიისაგან, ამბობს პუში. მისმა ორგანიზაციამ მხოლოდ შემთხვევით შეიტყო, რომ შესაძლებელია დამატებითი სარჩელის შეტანა. ამის მეოხებით მათ მიიღეს ხმის უფლება, ხმისა, რომელსაც სხვაგვარად ვერავის გააგონებდნენ. 51 წლის პუშმა ტერაქტის შედეგად ცოლი დაკარგა. ქალი იჯდა თვითმფრინავში, რომელიც პენტაგონს შეენარცხა.

ფედერალური კრიმინალური პოლიციის ერთ-ერთი თანამშრომელი პროცესზე მოწმედ და ექსპერტად გამოვიდა. „ალ-ყაიდამ“ გერმანია ისლამისტური ტერაქტების მოსამზადებლად გამოიყენაო“, — თქვა მან. რამდენადაც გერმანია „ტოლერანტობას იჩენს განურჩევლად ყველა უცხოელის მიმართ, მან საკუთარ თავს უნდა დააბრალოს, რომ აქ ტერორისტული ქსელი ჩამოყალიბდა“, განაცხადა პოლიციის თანამშრომელმა.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა

**არჩილ მანჯგალაძემ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

რეპლიკა

## „თინეიჯერი" ...

## „თანამგზავრი"...

ეს ორი სიტყვა შინაარსობრივად არაფრით უკავშირდება ერთმანეთს და, თუ რატომ დავაწყვილე, ახლავე აგიხსნით.

[illegible]

ივანე შენგელაია,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი.

## სამშაბათი 26 ნოემბერი

07.30 ალიონი 09.45 საპარლამენტო არჩევნები 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 საპარლამენტო არჩევნები 13.00 ნაშუადღევს 14.05 "ლერერის შოუ" 15.15 მხ. ფილმი "ერთი ცამეტიდან" 16.55 თქვენი უფლებები 17.15 დოკ. ფილმი "მოგზაურობა მსოფლიოს ირგვლივ" 17.40 სერიალი "ქილის წინ" 18.00 ვესტნიკი 18.20 ბასტი-ბუბუ 18.40 "და არს მუსიკა" 19.05 "ვიდეოპატრული" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 სერიალი "რვაფეხა" 22.00 "დრო და ფული" 22.15 "სათავეებთან" 23.00 "დღის ბოლოს" 23.40 ტელესერიალი "ქილის წინ" 00.00 მხ. ფილმი "ქალის ვიზიტი"

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 ამბები ჩვენზე 21.00 დოკ. ფილმი 21.30 ასპარეზი 22.10 ჰიტ-პარადი 22.20 მხ. ფილმი "ვინ გაემგზავრება ტრუსკავეცში"

07.00 მუსიკა 07.30 ჯადოქარი 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 ქალთა ქვეყანა 10.40 გურმანთა მეგზური 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "მარადიული სიყვარული" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 ქალთა ქვეყანა 18.00, 21.00, 01.40 კურიერი 18.20 ჯადოქარი 18.45 სერიალი "ტალღის ქიმზე" 19.35 პერეკრესტოკი 20.05 სერიალი "მარადიული სიყვარული" 22.00 "ვის უნდა ოცი ათასი" 22.50 კურიერი 23.40 ჩემპიონთა ლიგა: "მილანი" - "რეალი" 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 02.40 კლასიკა.

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 08.15 ანონსი, მულტფილმი 08.20 აღსავალი 08.30 ბურთი და მოედანი 09.05 მხ. ფილმი "შვიდი მეგობარი ქალი" 10.25 დოკ. სერიალი 10.45, 14.10, 17.20, 19.30, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა 10.50 მხ.ფ. "[illegible] მოწმე" 13.10, 17.30 მულტფილმი 18.00 დოკუმენტური ფილმი 20.00 მხ.ფ. "იკითხეთ სინდი" 22.30 ძველი კინო "მოახლის დღიური" 00.50 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი "პერლ ჰარბორი" 15.00 მხ. ფილმი "[illegible]" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "მარტოხელა გმირი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "რაშია საქმე დოკ" 22.30 მხ. ფილმი "საქმის გარჩევა პატარა ტოკიოში"

ერიკა

11.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 11.20 მულტფილმი 12.00, 21.00 სალონი 15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი 20.00 მსოფლიო სპორტი 23.00 სტუდია "ეკონომისტი" 00.00 მხ.ფ. "თვითმარქვიები"

1ST

07.00 კლიპ-მიქსი 08.00 "ტოროლა" 11.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით 13.00 "ვიდეო-რადიო" განმეორებით 14.00 პაუზის გარეშე 17.00 "კომედია" მხ.ფ. "დეივი" 19.00 ქართული მუსიკა 19.30 "VJ" 21.00 ევროპული ათეული 22.00 ჩაძირობანა 23.00 მოკლე სეანსი 23.00 მუსიკა 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ადამიანი [illegible]" მთ. როლებში ტობი მაგუაიერი, კირსტენ დანსტი 01.40 "ღამურა" მხ.ფ. "ვამპირები" მთ. როლებში ჯეიმს ვუდსი, დენიელ ბოლდუინი 03.10 ნონ-სტოპი

10.00 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 10.45, 11.50, 13.15, 16.20, 17.30, 20.50, 21.45, 23.30 მუსიკა 11.00 მხ. სერიალი "მოჯადოვება" 12.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი" 12.30 მულტფილმი "ალადინი" 13.30 მხ. ფილმი "ლანცელოტი დროის მცველი" 15.00 დოკ. ფილმი "ჩვეულებრივი ბოლშევიზმი" 16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 35-ე სერია 17.40 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" მე-6 სერია 18.30 მულტფილმი "მეფის ასული შაჰრაზადი" მე-6 სერია 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოვება" 57-ე სერია 20.00 მხ. დეტექტიური სერიალი "ახალი პროფესიონალი" მე-9 სერია 21.00 დოკ. ფილმი "ეს სანახაობაა" 21.30 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "ტომარა, პორტუგალიის უდიდესი მონასტერი". 22.00 მხ.ფ. "პანთერი დღე" მთ. როლებში ედვარდ ჯონ სთეიზი, ჯონ სთენთონი 23.50 მხ.ფ. "ფარული საფრთხე" მთ. როლში ჯონ ტრავოლტა

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 ქართული მხატვრული ფილმი "ჩვენი [illegible] ბიჭები" 10.55 დოკუმენტური ფილმი 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება 12.15 მხატვრული ფილმი "ციმბირელი დალაქი" 1 სერია 13.35 კომედია "მონადირეებზე მონადირენი-2" 15.20 დოკუმენტური ფილმი 16.10, 19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 17.05 სათავგადასავლო ფილმი "გამტაცებელთა კლუბი" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.40 დოკუმენტური ფილმი 20.35 ქართული მხატვრული ფილმი "წარსული ზაფხული" 23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.10 "რა არ ხდება" 23.20 მხატვრული ფილმი "მაღალი საზოგადოების ქრონიკა" 2 სერია 01.10 მხატვრული ფილმი "ციმბირელი დალაქი" 2 სერია 03.30 კომედია "ვირთხების რბოლა" 04.50 დოკუმენტური ფილმი

VII არხი

09.00 ანონსი 09.05 ამინდის პროგნოზი 09.30 "აჩიკუდა" 09.55 "ბედნიერი ერი" 10.00 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 10.25 "ავტოტრეკინგი" 11.10 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) 11.45 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 12.25 ანიმაცია 12.50 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 13.20 "ბიორითმი" 13.40 დისნეი და მისი მეგობრები 14.00 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 14.25 სპორტი 18.15 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 18.30 მელოდია 19.00 "აჩიკუდა" 19.40 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 20.05 "ფაქტი, აზრი, კომენტარი" 20.15 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა 21.00 "ღამის კაპრიზი" 22.00 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 22.35 "კინოკლუბი" - "დოქტორი ჟივაგო" 1 სერია. ა.შ.შ. 1965 წელი. ცხოვრებისეული. რეჟ. დევიდ ლინი. როლებში: ომარ შარიფი, ჯერალდინა ჩაპლინი. 00.10 ამინდის პროგნოზი 00.15 სპორტი 00.20 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 00.55 "ბიორითმი"

## ოთხშაბათი 27 ნოემბერი

07.30 ალიონი 09.45 საპარლამენტო არჩევნები 12.00, 20.00 მოამბე 12.15 საპარლამენტო არჩევნები 13.00 ნაშუადღევს 14.05 "ქართული ენის გაკვეთილი" 14.35 "ზღვარი" 15.00 საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში "დინამო" (თბილისი) - "ტორპედო" (ქუთაისი) შესვენებისას მოამბე 16.50 დოკ. სერიალი "ყველა ორბიტაზე" 17.05 50-50 17.40 ტელესერიალი "ქილის წინ" 18.00 ვესტნიკი 18.20 ბასტი-ბუბუ 18.40 "ისტორიანი" 19.05 "ვიდეოპატრული" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 სერიალი "რვაფეხა" 22.00 "დრო და ფული" 22.10 "მიამბეთ თქვენზე" 23.00 "დღის ბოლოს" 23.40 სერიალი "ქილის წინ" 00.00 მხ. ფილმი "ჰოლივუდის ნიშნის ქვეშ"

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 და არს მუსიკა 21.00 დოკ. ფილმი 21.30 წარსულის ტერიტორია 22.10 ჰიტ-პარადი 22.20 მხ. ფილმი "საგანგებო მდგომარეობა"

07.00 მუსიკა 07.30 ჯადოქარი 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 ქალთა ქვეყანა 10.40 გურმანთა მეგზური 11.10 ვის უნდა ოცი ათასი 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "მარადიული სიყვარული" 13.30 მხ. ფილმი 15.20 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 17.05 ქალთა ქვეყანა 18.00, 21.00, 01.40 კურიერი 18.20 ჯადოქარი 18.45 ჰერაკლე 19.10 სერიალი "ტალღის ქიმზე" 20.05 სერიალი "მარადიული სიყვარული" 22.00 "ხალხის პირისპირ" 22.50 კურიერი 23.40 ჩემპიონთა ლიგა: "რომა" - "არსენალი" 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 02.40 კლასიკა.

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 08.15 ანონსი, მულტფილმი 08.20 აღსავალი. მუსიკა 08.30 მხ. ფილმი "იკითხეთ სინდი" 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა 10.20 ძველი კინო "მოახლის დღიური" 12.20 ლიტერატურული გადაცემა სილუეტი (განმეორებით) 13.10, 18.00 მულტფილმი 14.10 დოკ. ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 19.45 გადაცემა - მურადა 20.00 მხ.ფ. "ბოროტების სავანე" 22.15 მხ.ფ. "რუსი სამოთხეში" 00.30 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი "რაშია საქმე დოკ" 13.30 მხ. ფილმი "საქმის გარჩევა პატარა ტოკიოში" 15.00 მხ. ფილმი "მკვდარი პოეტების საზოგადოება" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "[illegible]" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "სულელები" 22.30 მხ. ფილმი "დათვი"

ერიკა

11.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 11.20, 22.30 მსოფლიო სპორტი 12.00 სალონი 15.00 მუსიკალური პაუზა 15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 მულტფილმი 20.15 მუსიკალური პაუზა 20.30 საოცარი პირამიდა 21.00 დოკ. ფილმი 21.30 თინეიჯერი 23.35 მხ.ფ. "სასტიკი თამაშები"

1ST

07.00 კლიპ-მიქსი 08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა" 12.00 "მუსიკალური ათეულის" განმეორებით 13.00 პაუზის გარეშე 17.00 "კომედია" მხ.ფ. "ფლეშ გორდონი" 19.00 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეო-რადიო 21.00 მიქს-ათეული 21.45 "მოკლე სეანსი" 22.00 "ინფორმატორი" 22.30 "არასარეკლამო ათეული" 22.45 "პა-სეანსი" 23.00 მუსიკა 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "იჩქარე, გიყვარდეს" მთ. როლებში შეინ უესტი, მენდი მური 01.50 "ღამურა" მხ.ფ. "ვამპირები 2" მთ. როლებში ჯონ ბონ ჯოვი, ტიმ გუინი 03.20 ნონ-სტოპი

10.00 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 10.45, 11.50, 13.40, 17.30, 20.50, 21.45, 23.30 მუსიკა 11.00 მხ. სერიალი "მოჯადოვება" 57-ე სერია 12.00 მხ. დეტექტიური სერიალი "ახალი პროფესიონალი" მე-9 სერია 12.50 მულტფილმი "ალისა საოცრებათა ქვეყანაში" 14.00 მხ. ფილმი "პანთერის დღე" 15.30 მულტფილმი "ფიფქია" 16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 36-ე სერია 17.45 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" მე-7 სერია 18.30 მულტფილმი "მეფის ასული შაჰრაზადი" მე-7 სერია 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოვება" 58-ე სერია 20.00 მხ. დეტექტიური სერიალი "ახალი პროფესიონალი" მე-10 სერია 21.00 დოკ. ფილმი "ეს სანახაობაა" 21.30 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "ბათი, მაღალი საზოგადოების ცხელი წყარო" 22.00 მხ.ფ. "შეუპოვარი რაზმი" მთ. როლებში მუიკლ რუქერი, რობერტ პატრიკი 23.50 მხ.ფ. "გაყინვის წერტილი - ნული" მთ. როლებში თრეით უილიამსი, პანის ჯენიკი

07.00, 08.00, 09.00, 03.30 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30"რა არ ხდება" 09.40 ქართული მხატვრული ფილმი "წარსული ზაფხული" 10.45 დოკუმენტური ფილმი 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება 12.15 მხატვრული ფილმი "ციმბირელი დალაქი" 2 სერია 13.45 კომედია "ძვირფასო, მე უცხოპლანეტელი დავაპატარავე" 16.10, 19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 16.20 მულტფილმი 17.10 კომედია "ვირთხების რბოლა" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.40 ქართული მხატვრული ფილმი "ჟიდაოზას რა უნდა" 23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.10 დოკუმენტური ფილმი 01.10 მელოდრამა "პრინცესა [illegible]" 03.30 ისტორიული ფილმი "ჟანა დ' არკი"

VII არხი

09.00 ანონსი 09.05 ამინდის პროგნოზი 09.15 მელოდია 09.25 "აჩიკუდა" 09.50 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 10.30 "ფაქტი, აზრი, კომენტარი" 10.40 "პაემანი" 11.35 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 12.05 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა - განმეორებით 12.45 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 13.20 ანიმაცია 13.35 "ბიორითმი" 14.00 დისნეი და მისი მეგობრები 14.20 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 14.55 სპორტი 18.15 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 18.50 მელოდია 19.00 "აჩიკუდა" 19.45 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 20.20 "ფაქტი, აზრი, კომენტარი" 20.30 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა 21.05 "ლა-ლა-ლა" 22.10 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 22.45 "კინოკლუბი " - "დოქტორი ჟივაგო" მე-2 სერია. 00.10 სპორტი 00.15 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 01.00 "ბიორითმი"

## ხუთშაბათი 28 ნოემბერი

07.30 ალიონი 09.45 საპარლამენტო არჩევნები 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 საპარლამენტო არჩევნები 13.00 ნაშუადღევს 14.05 "ინგლისური ენის გაკვეთილი" 14.30 "თბილისი და თბილისელები" 15.15 მხ. ფილმი "სახლი [illegible]" 16.30 სერიალი "რვაფეხა" 17.10 რამპა 17.15 დოკ. ფილმი "მოგზაურობა მსოფლიოს ირგვლივ" 17.40 ტელესერიალი "ქილის წინ" 18.00 ვესტნიკი 18.20 ბასტი-ბუბუ 18.40 "ჯანმრთელობა" 19.05 "ვიდეოპატრული" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 სერიალი "რვაფეხა" 21.55 "დრო და ფული" 22.05 "საქართველო არის ესე" 23.00 "დღის ბოლოს" 23.40 ტელესერიალი "ქილის წინ" 00.00 მხ. ფილმი "ცხრანახევარი კვირა" 02.00 ქართული ენის გაკვეთილი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 ისტორიანი 21.00 შვიდეული 22.10 ჰიტ-პარადი 22.20 მხ. ფილმი "საგანგებო მდგომარეობა 2"

07.00 მუსიკა 07.30 ჯადოქარი 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 ქალთა ქვეყანა 10.40 გურმანთა მეგზური 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "მარადიული სიყვარული" 13.30 მხ. ფილმი 15.20 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 17.05 ქალთა ქვეყანა 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 18.20 ჯადოქარი 18.45 ჰერაკლე 19.10 სერიალი "ტალღის ქიმზე" 20.05 სერიალი "მარადიული სიყვარული" 22.00 "ვის უნდა ოცი ათასი" 22.50 კურიერი 00.05 მხ.ფილმი "ჰარლემის დღეები" მთ.როლებში ედი მერფი, რიჩარდ პრაიორი 02.10 კლასიკა.

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 08.15 ანონსი, მულტფილმი 08.20 აღსავალი. მუსიკა 08.30 მხ. ფილმი "ბოროტების სავანე" 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა 10.20 მხ. ფილმი "რუსი სამოთხეში" 13.10, 18.00 მულტფილმი 14.10 დოკ. ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 20.00 მხ.ფ. "თამაში წესების გარეშე" 22.15 მხ.ფ. "მაღალი ქუსლები" 00.30 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი "სულელები" 13.30 მხ. ფილმი "დათვი" 15.00 მხ. ფილმი "სიჩქარე" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "ჩრდილოვანი შეთქმულება" 19.20 სპექტრი 21.00 მუსიკა 22.00 მხ. ფილმი "სახის გარეშე"

ერიკა

11.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 11.20, 20.00 მსოფლიო სპორტი 12.25, 21.00 სალონი 14.00 ექიმი გვირჩევს 15.00 მუსიკალური პაუზა 15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 "იდენ-ტვ" 23.00 ფსიქო-პორტრეტი 00.00 მხ.ფ. "ფლირტი ცხოველთან"

1ST

07.00 კლიპ-მიქსი 08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა" 11.30 "არასარეკლამო ათეული" გამეორებით 12.00 "ვიდეო-რადიო" გამეორებით 13.15 პაუზის გარეშე 17.00 "კომედია" მხ.ფ. "პატარა მონსტრები" 19.00 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეო-რადიო 21.00 ევრო-ქართული ათეული 21.45 მოკლე სეანსი 22.00 ჩაძირობანა 22.45 მოკლე სეანსი 23.00 მუსიკა 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "სამგზალითო მამრი". მთ. როლებში ბენ სტილერი, მილა იოვოვიჩი 01.50 "ღამურა" მხ.ფ. "ფლეშ ბექი". მთ. როლებში ვალერიი ნიჰაუსი, კასავიერ ჰეტერი 03.20 ნონ-სტოპი

10.00 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 10.45, 11.50, 13.35, 15.25, 17.30, 21.45, 23.50 მუსიკა 11.00 მხ. სერიალი "მოჯადოვება" 58-ე სერია 12.00 მხ. დეტექტიური სერიალი "ახალი პროფესიონალი" 12.50 მულტფილმი "გრაფი მონტე-კრისტო" 14.00 მხ. ფილმი "შეუპოვარი რაზმი" 15.40 მულტფილმი "უფლისწული და მათხოვარი" 16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 37-ე სერია 17.40 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" მე-8 სერია 18.30 მულტფილმი "მეფის ასული შაჰრაზადი" მე-8 სერია 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოვება" 59-ე სერია 20.00 მხ. დეტექტიური სერიალი "ახალი პროფესიონალი" მე-11 სერია 21.00 დოკ. სერიალი "ეს სანახაობაა" 21.30 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "კლდეში ნაკვეთი ტაძარი ანუ სიმბელი, ეგვიპტე" 22.00 მხ. ფილმი "დუელები" მთ. როლებში მარია ბელო, ანდრე ბრაუერი, გვინეთ პელტროუ 00.00 მხ.ფილმი "უკანასკნელი მოგზაურობა" მთ. როლებში დილან უოლში, აის თი, ერიკა ელინიაკი

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 ქართული მხატვრული ფილმი "ჟიდაოზას რა უნდა" 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება 12.15 ისტორიული ფილმი "ჟანა დ' არკი" 14.45 მხატვრული ფილმი "დაკარგული სამოთხე" 16.10, 19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 16.20 მულტფილმი 17.00 კომედია "კონტრაბანდისტები" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.40 დოკუმენტური ფილმი 20.30 ქართული მხატვრული ფილმი 23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.10 დოკუმენტური ფილმი 01.10 მხატვრული ფილმი "კურიერი" 03.30 ისტორიული ფილმი "ელ სიდი" 1 სერია 05.00 დოკუმენტური ფილმი

VII არხი

09.00 ანონსი 09.05 ამინდის პროგნოზი 09.10 მელოდია 09.40 "აჩიკუდა" 10.05 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 10.45 "ფაქტი, აზრი, კომენტარი" 10.55 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა - განმეორებით 11.30 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 11.55 "ბიორითმი" 12.15 ანიმაცია 12.35 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 13.05 დისნეი და მისი მეგობრები 13.25 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 13.50 სპორტი 18.15 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 19.00 "აჩიკუდა" 19.45 "პაემანი" 20.35 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 21.10 "ღამის კაპრიზი" 22.15 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 22.50 "კინოკლუბი " - "ადამიანი უსახოდ". ა.შ.შ. 1993 წელი. მძაფრსიუჟეტიანი. რეჟისორი - მელ გიბსონი. მთ. როლში: მელ გიბსონი. 00.40 სპორტი 00.45 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 01.00 "ბიორითმი"

## პარასკევი 29 ნოემბერი

07.30 ალიონი 09.45 საპარლამენტო არჩევნები 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 საპარლამენტო არჩევნები 13.00 ნაშუადღევს 14.05 "მხოლოდ კლასიკა" 15.15 მხ. ფილმი "სახლი [illegible]" 16.20 სერიალი "რვაფეხა" 17.05 50-50 17.40 სერიალი "ქილის წინ" 18.00 ვესტნიკი 18.20 ბასტი-ბუბუ 18.40 "ენა დედაა ერისა" 19.05 "ვიდეოპატრული" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 სერიალი "რვაფეხა" 22.00 "დრო და ფული" 22.15 "მრავალსახეობა" 23.00 "დღის ბოლოს" 23.40 ტელესერიალი "ქილის წინ" 00.00 მხ. ფილმი "სიჩუმის ზღვარს მიღმა"

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 საქართველო არის ესე 21.00 დოკ. ფილმი 21.20 აფხაზეთის ტელევიზია 22.10 ჰიტ-პარადი 22.20 მხ. ფილმი "მიყვარხარ"

07.00 მუსიკა 07.30 ჯადოქარი 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 ქალთა ქვეყანა 10.40 გურმანთა მეგზური 11.10 ვის უნდა ოცი ათასი 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "მარადიული სიყვარული" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 ქალთა ქვეყანა 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 18.20 ჯადოქარი 18.45 ჰერაკლე 19.10 სერიალი "ტალღის ქიმზე" 20.05 სერიალი "მარადიული სიყვარული" 22.00 "ხალხის პირისპირ" 22.50 კურიერი 00.05 მხ.ფილმი "ემმაის ხერხემალი" მთ.როლებში მარისა პარედისი, ედუარდო ნორიეგა 02.10 მხ.ფილმი "მკვლელობის ლიცენზია" მთ.როლებში ტიმოთი დალტონი, კერი ლოუელი 04.10 კლასიკა.

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 08.15 ანონსი, მულტფილმი 08.20 აღსავალი. მუსიკა 08.30 მხ. ფილმი "თამაში წესების გარეშე" 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა 10.20 მხ. ფილმი "მაღალი ქუსლები" 13.10, 18.00 მულტფილმი 14.10 დოკ. ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 20.00 მხ.ფ. "გასაჩივრებას არ ექვემდებარება" 22.15 მხ.ფ. "ფრანგი ლეიტენანტის საყვარელი" 00.30 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი "სახის გარეშე" 14.00 მხ. ფილმი "სიჩქარე 2" 16.00 დოკ. ფილმი 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "სისხლი და ღვინო" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "დიდი ბიზნესი" 22.20 მხ. ფილმი "მამბოს მეფეები"

ერიკა

11.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 11.20 პროგრამა "მსოფლიო სპორტი" 12.25 სალონი 14.00 ექიმი გვირჩევს 15.00 მუსიკალური პაუზა 15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 "მომავალი" 20.00 გადაცემა "ხვალ - საქართველოს პოლიტიკური ანატომია" 21.30 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება 22.30 "გამარჯობა" 23.15 ძველი კინოკლასიკა მხატვრული ფილმი "ორი მთვარი შერწყმა"

1ST

07.00 კლიპ-მიქსი 08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა" 11.30 "ვიდეო-რადიო" გამეორებით 13.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით 14.00 პაუზის გარეშე 17.00 "კომედია" მხ.ფ. "დაუჯერებელი ისტორია" 19.30 ვიდეო-რადიო 21.00 რუსული ათეული 21.45 მოკლე სეანსი 22.00 ჩაძირობანა 22.45 "პა-სეანსი" 23.00 მუსიკა 00.00 "ტელედისკოთეკა" 02.00 "ბრავო" მხ.ფ. "სარასთან სამსახურში" მთ. როლებში მეთიუ პერი, ელიზაბეტ ჰერლი 03.30 ნონ-სტოპი

10.00 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 10.45, 11.50, 12.50, 14.50, 17.30, 21.45, 23.40 მუსიკა 11.00 მხ. სერიალი "მოჯადოვება" 59-ე სერია 12.00 მხ. დეტექტიური სერიალი "ახალი პროფესიონალი" 13.00 მხ. ფილმი "დუელები" 15.00 მხ. ფილმი "უკანასკნელი მოგზაურობა" 16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 38-ე ნაწილი 17.40 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" მე-9 სერია 18.30 მულტფილმი "მეფის ასული შაჰრაზადი" მე-9 სერია 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოვება" მე-60 სერია 20.00 მხ. დეტექტიური სერიალი "ახალი პროფესიონალი" მე-12 სერია 21.00 დოკ. ფილმი "ეს სანახაობაა" 21.30 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "ზიმბაბვის ძველ ნანგრევთა საიდუმლო" 22.00 მხ. ფილმი "მარკო პოლო" მთ. როლებში დონალდ დაიმონდი, ოლივერ რიდი 00.00 მხ. ფილმი "ზვიგენის თავდასხმა 1" მთ. როლებში კასპერ ვან დინი, ერნი ჰადსონი.

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 ქართული მხატვრული ფილმი 10.55 მისტერ ბინის შოუ 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება 12.15 სათავგადასავლო ფილმი "ასტერიქსი და აბელიქსი კეისრის წინააღმდეგ" 14.00 კომედია "სამი [illegible]" 16.10, 19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 16.20 მულტფილმი "აბა, დამაცადე" 17.10 მიუზიკლი "ჩემი მშვენიერი ლედი" 1 სერია 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.40 თრილერი "ფრედი" 21.00 ქართული მხატვრული ფილმი 23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.10 დოკუმენტური ფილმი 01.10 მელოდრამა "ზამთრის ალუბალი" 1 სერია 03.30 ისტორიული ფილმი "ელ სიდი" 2 სერია 05.00 დოკუმენტური ფილმი

VII არხი

09.00 ანონსი 09.05 ამინდის პროგნოზი 09.10 მელოდია 09.35 "აჩიკუდა" 10.00 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 10.40 "ბიორითმი" 11.00 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 11.35 ანიმაცია 11.55 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 12.20 "მელოდია" 12.40 დისნეი და მისი მეგობრები 13.00 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 13.40 სპორტი 18.15 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 18.55 მელოდია 19.00 "აჩიკუდა" 19.45 "ობიექტივი" -სტუმარი 20.40 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 21.10 მელოდია 21.25 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 21.55 "კინოკლუბი " - "კრიმინალური საკითხავი" ა.შ.შ. 1994 წელი. მძაფრსიუჟეტიანი. რეჟ. კვენტინ ტარანტინო. როლებში: ბრუს ვილისი, ჯონ ტრავოლტა. 00.20 სპორტი 00.25 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 01.00 "ბიორითმი"

## შაბათი 30 ნოემბერი

08.00, 15.00, 01.15 მოამბე 08.15 მხ. ფილმი "სიჩუმის ზღვარს მიღმა" 10.10 დილის პაემანი 11.00 ლატარეა ყველასათვის 11.10 "მხიარული კარუსელი" 11.40 დოკ. სერიალი "კონტაქტი" 11.55 ვიცი 12.25 "მეტრო" 13.00 "კვალი" 13.30 დოკ. სერიალი "ლეგენდები მეცნიერებაზე" 14.25 "საქართველო დრო, მოვლენები" 15.15 მხ. ფილმი "სიჩუმის ზღვარზე" 16.35 საწინდარი 16.55 საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში. თსუ - ტექნიკური უნივერსიტეტი 18.00 ვესტნიკი 18.45 "თბილისის დროით" 19.05 "ენერგია" 19.35 "გინდ დაიჯერეთ, გინდ არა" 20.00 "რას ფიქრობს ხალხი" 21.15 "ფორტუნა" 21.50 სერიალი "ნაპოლეონი" 22.40 "მეალომანია" 23.15 მხ. ფილმი "დენიზ [illegible]" 00.25 მხ. ფილმი "სილამაზის სალონი "ვენერა" 02.10 ღამის ჯაზი

19.00 მულტფილმი 19.30 ორატორი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 "ახლო ხედი" 21.00 დოკ. ფილმი 21.30 ჯემი 22.00 მხ. ფილმი "ადამიანი სახის გარეშე"

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.20 მულტსერიალი 10.50 სერიალი "სამნი" 12.00, 15.00 კურიერი 12.20 კუსტოს წყალქვეშა ოდისეა 13.15 მხ.ფილმი 15.20 სიმფსონები 15.45 მხ. ფილმი 17.10 სერიალი "ჩინელი პოლიციელი" 18.00, 01.00 კურიერი 18.20 ველური ამბები 19.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 20.00 სუფთა ინგლისური მკვლელობა 21.00 კურიერი ზუმ 22.00 ფსიქო. მხ.ფ. "სიყვარული, ფული, სიყვარული" 01.15 მხ.ფ. "წითელი პლანეტა" მთ. როლებში ველ კილმერი, ქერი ენ მოსი 03.20 ღამის ჯაზი

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 08.15 ანონსი, მულტფილმი 08.20 აღსავალი. მუსიკა 08.30 მხ. ფილმი "გასაჩივრებას არ ექვემდებარება" 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.00, 23.55, 00.30 მუსიკა 10.20 მხ. ფილმი "ფრანგი ლეიტენანტის საყვარელი" 13.10, 18.00, 19.30 მულტფილმი 14.10 დოკ. ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 20.30 ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი 22.30 მხ.ფ. "მინდიხარ" 23.00 მხ.ფ. "მწვანე პაპაიას გემო" 00.40 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი "დიდი ბიზნესი" 13.30 მხ. ფილმი "შემოდგომის ლეგენდები" 15.45 მხ. ფილმი "ვარსკვლავური კარიბჭე" 17.45 მხ. ფილმი "ემმაის საკუთრება" 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 19.20 ფილმის გაგრძელება 21.00 მხ. ფილმი "ჯუმანჯი" 22.30 მხ. ფილმი "ბრილიანტის პოლიციელი" 00.20 მხ. ფილმი "ემმაისეული"

ერიკა

11.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 11.20 მხ. ფილმი "ოპერაცია "საიგო"" 12.00 პროგრამა "სალონი" 13.30 ექიმი გვირჩევს 14.30 მუსიკა 15.00 მუსიკალური პაუზა 15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 16.00 ლაბირინთი 17.00 დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში" 17.30 თქვენი ადვოკატი 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 ცეროდენა ვარსკვლავები 20.00 თინეიჯერი 21.00 დოკ. ფილმი 22.00 "და ღმერთმა შექმნა ქალი" 22.30 თეატრალური შეხვედრები 23.30 მსოფლიო სპორტი

1ST

07.00 კლიპ-მიქსი 09.00 "მუსიკალური ათეული" გამეორებით 10.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა" 12.00 "ვიდეო-რადიო" გამეორებით 17.00 "კომედია" მხ.ფ. "შეუბრალებელი ადამიანები" 19.00 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეო-რადიო 21.00 ქართული ათეული 23.00 მუსიკა 00.00 "ტელედისკოთეკა" 02.00 "ბრავო" მხ.ფ. "შიშის ფასი". მთ. როლებში ბენ აფლეკი, მორგან ფრიმენი 03.40 ნონ-სტოპი

10.00 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 10.45, 11.50, 14.30, 16.15, 17.30, 21.45, 23.45 მუსიკა 10.55 მხ. სერიალი "მოჯადოვება" მე-60 სერია 12.00 მხ. დეტექტიური სერიალი "ახალი პროფესიონალი" 12.50 მხ. ფილმი "მარკო პოლო" 14.40 მხ. ფილმი "ზვიგენის თავდასხმა 1" 16.30 დოკ. სერიალი "ველური ბუნება" 39-ე სერია 17.40 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" მე-10 სერია 18.30 მულტფილმი "მეფის ასული შაჰრაზადი" მე-10 სერია 19.00 მხ. ფილმი "თეთრი ვიკინგი" მთ. როლებში გოდსქალქ სიგურდასონი, მარია ბინევი 21.05 დოკ. ფილმი "ეს სანახაობაა" 21.30 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "ბერნის ძველი ქალაქი" 22.00 კინოკლუბი ყაზბეგი წარმოგიდგენთ მხ. ფილმებს: 1. "პოლონური მორჩილება" ტელ: 77-83-28 2. "[illegible]" ტელ: 77-83-29 3. "ცდუნება" ტელ: 77-83-30 00.00 მხ.ფ. "ზვიგენის თავდასხმა 2" მთ. როლებში თორსთენ ქეი, ნიკიტა ეიჯერი

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 ქართული მხატვრული ფილმი 10.30 კომედია "[illegible]" 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება 12.15 ფილმი-ზღაპარი "ჯადოსნური პრინცი" 13.40 თრილერი "გამოსასყიდი" 16.10 მულტფილმი "სასწაულმოქმედი" 17.35 მიუზიკლი "ჩემი მშვენიერი ლედი" 2 სერია 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 "ყველანი ვართ პატარები" 19.40 კომედია "არგენტინელი ნიუ-იორკში" 21.00 ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი 22.50 "ÑËÎ ÂÎ " 23.30 დოკუმენტური ფილმი 00.50 მელოდრამა "ზამთრის ალუბალი" 2 სერია 02.20 დოკუმენტური ფილმი 03.30 სათავგადასავლო ფილმი "მსუბუქი კავალერია" 05.15 დოკუმენტური ფილმი

VII არხი

18.00, 23.00,02.00 ანონსი 18.05,21.50 ამინდის პროგნოზი 18.20 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 18.50 მელოდია 19.00 "აჩიკუდა" 19.20 "ბედნიერი ერი" ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით 19.25 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 19.50 "ღამის კაპრიზი". 20.40 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 21.00 "კინოკლუბი " - "ადგილების გაცვლა" ა.შ.შ. 1983 წელი. კომედია. რეჟ. ჯონ ლენდისი. როლებში: ედი მერფი, დენ ეიკროიდი. 23.00 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 23.35 მელოდია 00.00 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" -ესპანეთის ჩემპიონატი.

## კვირა 1 დეკემბერი

08.00 "მოამბე" 08.15 მხ. ფილმი "სილამაზის სალონი "ვენერა" 10.00 დილის პაემანი 11.05 "ამბები ჩვენზე" 11.35 ლიტერატურული გადაცემა 12.05 "სპა" 12.35 "პრეს-სტუდია" 13.25 მოსკოვი-თბილისი 13.55 "ღამის ჯაზი" 14.25 "არათბილისური ამბები" 15.00 "საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე" 15.20 სპექტაკლი "მწყემსი და [illegible]" 15.50 "ოქროს იერუსალემი" 17.00 "საკვირაო გამოფენა" 17.15 მულტფილმი "პრინცესა ნერი" 17.40 "ეძიე ქალი" 18.00 "ტაიმ-აუტი" 18.20 "ჩემპიონი" 18.55 "ეკოდაიჯესტი" 19.25 "ჩვენი მისამართია" 20.00 ტაიმ-აუტი 20.55 "ამბობენ" 21.25 "რომან რურუა - 60" 22.25 სერიალი "ნაპოლეონი" 23.15 სატელევიზიო კინოდარბაზი "მთიელი" 01.10 "ტაიმ-აუტი" 00.40 მხ. ფილმი "შვილის ოთახი"

19.00 მხიარული კარუსელი 19.30 დიზაინი 19.50 "მრავალსახეობა" 20.30 ვიცი 21.00 მშვიდობით მე-20 საუკუნევ 21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ 22.00 შვიდეული 23.00 მხ. ფილმი "პროვინციალი ქალი"

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.20 მულტსერიალი 10.50 სერიალი "სამნი" 11.50 ველური ბუნება 12.50 მხ.ფილმი 14.35 სიმფსონები 15.05 მხ. ფილმი 17.00 სერიალი "ჩინელი პოლიციელი" 18.00, 21.00, 23.40 კურიერი 18.20 მხ. ფილმი 20.00 სუფთა ინგლისური მკვლელობა 21.25 ჩვენი ეზო 21.45 "ჯეოსელის კინოკლუბი" - "ამერიკული ნამცხვარი 2" 8 77 45-79-25 ჯეისონ ბიგზი, შენონ ელიზაბეტი, "ტურბულენტურობა" 8 77 45-79-26 ლორენ ჰოლი, რეი ლიოტა, "ჯონ ქიუ" 8 77 45-79-27 დენზელ ვაშინგტონი, რობერტ დიუვალი 23.50 მხ.ფ. "მულენ რუჟი" მთ. როლებში ნიკოლ კიდმანი, ევან მაკგრეგორი 02.00 კლასიკა.

08.00 ახალი ამბები 08.15 ანონსი, მულტფილმი 08.20 აღსავალი. მუსიკა 08.30 მხ. ფილმი "მინდიხარ" 10.15, 12.30, 21.55, 00.45 მუსიკა 10.20 მხ.ფ. "მწვანე პაპაიას გემო" 13.00 გადაცემა - მურადა (განმეორებით) 19.30 დიდი ბრიტანეთი დღეს 20.00 მხ.ფ. "დამნაშავე" 22.15 მხ.ფ. "თევზი სახელად ვანდა" 00.50 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი "ჯუმანჯი" 13.30 მხ. ფილმი "ბრილიანტის პოლიციელი" 15.10 მხ. ფილმი "დოქტორ მოროს კუნძული" 16.50 მხ. ფილმი "უკიდურესი ზომები" 19.00 ინდ. მხ. ფილმი "შესანიშნავი შვიდეული" 22.00 მხ. ფილმი "ზოროს ნიღაბი" 00.20 მხ. ფილმი "ცხრანახევარი კვირა"

ერიკა

11.00 ცისკრის ზარები 11.05 მუსიკალური კოლაჟი 12.00 თეატრალური შეხვედრები 13.25 თბილისური ოჯახები 14.10 მუსიკა 15.00 მულტფილმი 15.30 საოცარი პირამიდა 17.00 - 19.00 რელიგიის საათი 19.00 დოკ. ფილმი 20.00 შეხვედრა ვარსკვლავთან 20.20 მოგზაურობა ბავშვობაში 20.40 თავისუფალი მიკროფონი 20.50 თქვენი აზრით 21.00 დოკ. ფილმი 22.00 "იდენ-ტვ" 22.30 ოაზისი 23.30 მსოფლიო სპორტი

1ST

07.00 კლიპ-მიქსი 09.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით 10.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა" 13.00 "ვიდეო-რადიო" განმეორებით 14.00 "კომედია" მხ.ფ. "[illegible] თემა" 16.00 "უცნობი" 17.00 მუსიკა 19.00 ქართული მუსიკა 19.30 "ვიდეო-რადიო" 21.00 რომანტიკული მუსიკა 22.00 ინფორმატორი 23.00 "ცენტრი" 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ჯოზი და ფისუნები". მთ. როლებში რეიჩელ ლი კუკი, ტარა რიდი 01.40 ღამურა "მომკალი ნაზად". მთ. როლებში ჰოზეფ ფაინსი, ჰიტერ გრემი 03.10 ნონ-სტოპი

10.00 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 10.45, 15.30, 16.45, 21.40, 23.45 მუსიკა 11.00 მხ. ფილმი "პოლონური მორჩილება" 13.10 მულტფილმი "ზღაპარი მზეთუნახავსა და მხეცზე" 14.00 მხ. ფილმი "ზვიგენის თავდასხმა 2" 15.50 მულტფილმი "ქალთევზა" 16.55 მხ. ფილმი "თეთრი ვიკინგი" 18.00 დოკ. ფილმი "ეს სანახაობაა" 19.30 "მსოფლიო ფეხბურთი" 20.00 ქართ. მხ. ფილმი "ცისფერი მთები" 22.00 მხ. ფილმი "კარიერა" მთ. როლებში პატრიკ ვანჰორნი, ქერი ვურერი 00.00 მხ. ფილმი "მომაკვდინებელი მთვარე" მთ. როლებში ჯიმ ქოუთსი, დენიელ ბოლდუინი

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 ქართული მხატვრული ფილმი 10.30 "ყველანი ვართ პატარები" 10.40 "Ñëî âî " 11.20 დოკუმენტური ფილმი 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება 12.15 სათავგადასავლო ფილმი "მსუბუქი კავალერია" 14.00 კომედია "ქონდრი" 16.10 მულტფილმი "გუფი და მისი მეგობრები" 17.15 კომედია "ოპერაცია "ი" და შურიკის სხვა თავგადასავლები" 19.20 დოკუმენტური ფილმი 20.20 ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი 22.30 "Í î âî ñòè â âî ñêðåñåíüå" 23.00 დოკუმენტური ფილმი 00.30 "Í î âî ñòè â âî ñêðåñåíüå" 01.00 მხატვრული ფილმი "სამი ისტორია" 03.30 მელოდრამა "ზამთრის ალუბალი" 3 სერია

VII არხი

18.00,19.30,01.30 ანონსი 18.05,21.50 ამინდის პროგნოზი 18.20 "ლა-ლა-ლა" 19.00 "აჩიკუდა" 19.20 "ავტოტრეკინგი" 20.00 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 20.30 "კინოკლუბი " - "მუდამ ახალგაზრდა" ა.შ.შ. 1992 წელი. მელოდრამა. რეჟ. სტივ მინერი. მთ.როლში: მელ გიბსონი. 22.05 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 22.40 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" -იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა 23.00 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" -იტალიის ჩემპიონატი. 00.50 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 01.25 მელოდია 01.40 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა

## □ □ □□ □□ □□

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის**
[illegible] 98-65-66

30.11(18.00) ადოლფ ადანი "ჟიზელი". ბალეტი ორ მოქმედებად. დირიჟორი - რევაზ ტაკიძე.

**პანტომიმის თეატრი**
რუსთაველის გამზ. 37. ტ. 98-25-06

26.11(18.00) "[illegible]". 29.11 (18.00) "[illegible]". დამდგმელი რეჟისორი - ამირან შალიკაშვილი.

**თეატრალური სარდაფი**
რუსთაველის გამზ. 42. ტ. 99-95-00

26.11, 27.11 (20.00) რალფ კნიგი "ET SET-ERA". დამდგმელი რეჟისორი - ლევან წულაძე.
28.11, 29.11 (20.00) [illegible]
30.11 (20.00) [illegible]
01.12 (20.00) [illegible]

**ზღაპრის თეატრი**
□ღმაშენებლის 136 ტ. 95-01-23

30.11,01.12(12.00) "□□ □□□ □□□□□", "□□□□ □□", "□ □□ □ □□", "□□□□□ □", "□□□□ □□ □ □ □□- [illegible]

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
ვ. ანჯაფარიძის ქ. 16 ტ. 22-13-38

26.11 (18.00) გაბრიელ გარსია მარკესი [illegible]

**თეატრი "სახიობა"**
ტ. 61-84-26

26.11 (15.00) იაკობ ცურტაველი "შუშანიკის წამება". დამდგმელი რეჟისორე-[illegible]

"მარშალ დე პარდის დიდი ბრილიანტი". დამდგმელი რეჟისორი - თამარ ხიზანიშვილი.
□□□ 2-3 □□□□.

[illegible]







გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

# საქართველოში საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანიის „იტერას" წარმომადგენლობის განცხადება

ბოლო ხანებში საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ვრცელდება აშკარად ცრუ ინფორმაცია საერთაშორისო ჯგუფის „იტერას" შვილობილი კომპანიის „საქგაზის" შესახებ, რაც ზიანს აყენებს ამ ბიზნეს-სტრუქტურის საქმიან რეპუტაციას. კერძოდ, სააქციო საზოგადოება „საქგაზს" ბრალად ედება ის, რომ კომპანია განზრახ „ზრდის" საქართველოში რეალიზებული ბუნებრივი გაზის ფასს და საშუამავლო თანხას იჯიბავს.

ზემოთქმულთან დაკავშირებით საქართველოში „იტერას" წარმომადგენლობა უფლებამოსილია, განაცხადოს შემდეგი:

პრაქტიკულად დსთ-სა და ბალტიისპირეთის ყველა ქვეყანაში, რომლებსაც „იტერა" აწვდის „ცისფერ სათბობს", კომპანიათა ჯგუფი თავის კომერციულ საქმიანობას ახდენს შვილობილი სტრუქტურების მეშვეობით, რომლებიც კარგად იცნობენ ადგილობრივი გაზის ბაზარს და საშუალება აქვთ იმუშაონ უშუალოდ კონკრეტულ შემსყიდველებთან. „იტერას" ყველა კომპანია თავის ბიზნესს ახორციელებს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისობაში, სრული მოცულობით იხდის გადასახადებს, ახორციელებს საინვესტიციო, აგრეთვე, საქველმოქმედო საქმიანობას.

საქართველოს გაზის ბაზარზე „იტერა" მუშაობს სააქტო საზოგადოება „საქგაზის" მეშვეობით, რომელიც შუამავალი კი არა, არამედ კომპანიათა ჯგუფის ასპროცენტიანი შვილობილი საწარმოა. „საქგაზი" სათბობს ასაღებს ქართულ გაზგამანაწილებელ ორგანიზაციებსა და საწარმოებზე, რომელთა საერთო რაოდენობა 90-ს აღემატება. „საქგაზის" კომერციული საქმიანობით მიღებული მოგების მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდება საქართველოს გაზის მეურნეობის რეაბილიტაციას. კომპანიამ ამ პროექტების ინვესტირებაში საერთო ანგარიში 5 მილიონ ლარამდე ჩადო.

რაც შეეხება საბოლოო მომხმარებლისათვის გაზის მაღალ ფასებს, ის სათბობის შესყიდვისა და რეალიზაციის პროცესში „საქგაზის" მონაწილეობით კი არ აიხსნება, არამედ ადგილობრივი საბაჟო, საგადასახადო და სხვა გამოსაღებელების სიდიდით. სწორედ ამ გარემოების შედეგად მოსახლეობისათვის სამომხმარებლო ტარიფი ორჯერ აღემატება საზღარზე გაზის შესყიდვის ფასს.

„იტერას" მიერ გასაღებული გაზის ღირებულება რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ათას კუბმეტრში დაახლოებით 130 ლარია. ქართველი მომხმარებლები სათბობს 250-270 ლარად იძენენ, ამასთან, „საქგაზის" წილი ენერგომატარებლების ფასების მატებაში 10 პროცენტზე ნაკლებია.

„იტერას" შვილობილი კომპანია მუდამ პატიოსნად ასრულებდა თავის მოვალეობას საქართველოს დედაქალაქისა, და საერთოდ — მთელი ქვეყნის, ენერგოუზრუნველყოფისათვის.

სააქციო საზოგადოება „საქგაზი" მზადაა ქართველ მომხმარებელს მიჰყიდოს იმდენი გაზი, რამდენის გადახდაც მას ძალუძს. ამასთან ერთად, წარმოადგენს რა კომერციულ სტრუქტურას, სააქციო საზოგადოება „საქგაზი" იძულებულია, განახორციელოს ზომები კომპანიის მიერ რეალიზებული ბუნებრივი გაზის ფულადი სახსრების ამოსაღებად, განსაკუთრებით ბოროტი არაგადამხდელებისათვის ენერგომატარებლების მიწოდების შემცირების, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში შეწყვეტის საშუალებით.

კომპანიათა ჯგუფის „იტერას" მიმართ ქართველი მომხმარებლების ვალი, წლების განმავლობაში რომ დაგროვდა, ამჟამად 100 მილიონ დოლარს უახლოვდება, ძირითად მევალეებად ითვლებიან სახელმწიფო და საბიუჯეტო ორგანიზაციები, რომლებიც არ ასრულებენ „იტერასა" და სააქციო საზოგადოება „თბილგაზის" მიმართ თავიანთ საკონტრაქტო ვალდებულებებს. მარტო დედაქალაქის გაზგამანაწილებელი კომპანიის ვალი სააქციო საზოგადოება „საქგაზის" მიმართ 10 მილიონ დოლარს შეადგენს. ქართული მხარის არაერთგზის დაპირების მიუხედავად, დღემდე არ განხორციელებულა დაგროვილი დავალიანების რესტრუქტურიზაცია.

ფაქტობრივად მრავალი წლის მანძილზე „იტერა" ახდენს საქართველოს ეკონომიკის უპროცენტო დაკრედიტებას, ამასთან ერთად კი, თავად „იტერა", განიცდის რა ძალზე საგრძნობ ზარალს, იძულებულია, აიღოს მაღალპროცენტიანი საბანკო კრედიტები, რათა დროულად მოახდინოს საბაჟო და საგადასახადო ანაზღაურებანი. გაზის ტრანსპორტირების ანგარიშსწორება, აგრეთვე, გაუსწორდეს გამმომპოვებელ საწარმოებს.

განუხრელად იცავს რა საკონტრაქტო ვალდებულებებს, საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანია „იტერა" იმედოვნებს, რომ უკვე უახლოეს დროში ქართული მხარე ქმედით ნაბიჯებს გადადგამს დავალიანების პრობლემათა გადასაჭრელად.

# განცხადება

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში საქართველოს კანონით „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად შპს „გზაარამდენულის" მიერ წარმოდგენილია II კატეგორიის საქმიანობაზე:

ქვიშის (არმაბის) ქვიშა-ღორღის საბადოს დამუშავების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების პროექტი.

საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია ა. წ. 14 იანვრამდე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს პრესცენტრში, თბილისი, კოსტავას № 68 ა, VI სართული და გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტში, თბილისი, ფალიაშვილის № 87, ტ: 25-02-19.

საჯარო განხილვა შედგება 2003 წლის 14 იანვარს, 12.00 საათზე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში.

**გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი.**

## საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადება

თანახმად, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 26-ე მუხლისა, ვაქვეყნებთ ერთ პირთან მოლაპარაკების მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ თავდაცვის სამინისტროს მიერ ა. წ. 01 ნოემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებას:

| № ხელშეკრულების № და გაფორმების თარიღი | პროდუქციის დასახელება | საერთო ღირებულება ლარებში |
|---|---|---|
| № 02/11; 01.11.02 წ. | დიზელის საწვავი | 148 000 |

## იმედი

ცეცხლის სვეტი

ისტორიკოსმა, არქეოლოგმა და ეთნოგრაფმა, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, დიმიტრი ბაქრაძემ (1826-1890) საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ისტორიის დამხმარე დარგს — პალეოგრაფიას.

* * *

ერაყი (ძველად მესოპოტამია) არაბულად იწოდება, როგორც — ირაქი, და დაბლობს, „ვაკეს" ნიშნავს.

გრეიპფრუტი (გრაპეფრუტი) ბერძნული სიტყვაა. გრაპეფრუტი — მაგიდაა, ე. ი. მაგიდისთვის. ქალაქი მისრონულ ადგილზე მდებარეობს.

* * *

საშანიძე შემდგომ და სათანადო წესით გამზრდელ კოლექციას — პერგამინუმის (ბერძ. პერგა-ბალახა) მექნას XVI საუკუნეში ჩაუყარა საფუძველი.

* * *

მზის სისტემის მეშვიდე პლანეტა, ურანი 1781 წელს აღმოაჩინა ინგლისელმა ასტრონომმა და ოპტიკოსმა უილიამ ჰერშელმა (1738-1822).

* * *

მეხუთრე შესასწავლად ფოტოგრაფიის მეთოდი ამერიკელმა ასტრონომმა ჰარლოუ შეპლიმ შექმნა (1885-1972).

* * *

ექიმმა თერაპევტმა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ (1865-1939) პირველმა ამოიკვლია სამეცნიერო მეთოდი ტუბერკულოზით დაავადებულთა ხელოვნური პნევმოთორაქსით მკურნალობის მეთოდი.

### ბიზნესმენთა ახალი თაობა

„ბიზნეს-მენეჯმენტის კოლეჯის" გამგეობა „ჯავახიშვილის ბიზნესის სკოლის" დასაწყებად II ფორუმი.

ფორუმის მიზანია ერთობლივი სწავლების მეშვეობით და მომავლისათვის სათანადო მენეჯერების მომზადება. სხვადასხვა ფირმებთან და კომპანიებთან „ჯავახიშვილის ბიზნესის სკოლის" თანამშრომლობა.

ფორუმში, რომელიც გახსნა „ვბს" ლექტორმა ბატონმა ბოლოკიშვილმა, ესწრებოდა ქართული ბიზნესის სფეროს, უცხოელი ფირმებისა და კომპანიების, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, პრესა.

— თბილისი მომავალია თანამედროვე ბიზნესის, უმაღლესი განათლების ახალი თაობის პროფესიონალთა აღზრდის დაწყება.

— კონსულტაციები არ გაყვიან ბიზნესში სკოლიდან და ამ დონეს აჩვენებს რა დონეზე მიმდინარეობს, — აღნიშნა თავის გამოსვლაში ბიზნესის სკოლის რამდენიმე წარმომადგენელმა.

„ჯავახიშვილის ბიზნესის სკოლა" თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტისა და საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური კურსის სახელმწიფო უნივერსიტეტის გვერდით სწავლობენ, ჰქონდათ საშუალება და მოთხოვნა და პირველი წლის სტუდენტთა პროგრამა, ლიდერობის და ბიზნესის სკოლაზე. სხვადასხვა ფირმის საქმიანობის, სამეცნიერო გამოცდილების მიღება, „კავკასიის" ბიზნესის სკოლის სახელი და „ფორუმი" ექვსი ფორმის ამერიკული ბიზნეს-სკოლების მიერ გამოცდილი და მსოფლიოს ბიზნესის დონეზე.

„ჯავახიშვილის ბიზნესის სკოლა", რომელიც იქ...

**ია კალანდარიშვილი.**

## ძალოსნობა

# „ვერცხლი" მცირე „ოქროსთან" ერთად



**რამდენიმე დღეა, მიმდინარეობს პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში მსოფლიო ჩემპიონატი ძალოსნობაში. ქართველ გულშემატკივართა განსაკუთრებული ყურადღება ამ შეჯიბრებისადმი შაბათს იყო მიპყრობილი, რადგან ვარშავის ფიცარნაგზე 85 კგ წონაში შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონატების სამგზის გამარჯვებული გიორგი ასანიძე გამოვიდა.** მართალია, მისი უმთავრესი მეტოქე — ბერძენი დიმასი ჩემპიონატში არ მონაწილეობდა, მაგრამ ორგზის მსოფლიო (1997-98 წ. წ.) და სამგზის ევროპის ჩემპიონი ბულგარელი ზლატო ვანევის სახით მას საკმაოდ ძლიერი მოწინააღმდეგე ჰყავდა. არც სხვები იყვნენ ჯაბანნი. თუმცა, რაც შაბათს ვარშავაში მოხდა, ამას ვერავინ წარმოიდგენდა. 27 წლის ქართველმა სპორტსმენმა შეჯიბრება უიღბლოდ დაიწყო — 172,5-კილოგრამიანი შტანგა მხოლოდ მეორე ცდაზე აიტაცა.

საგულისხმოა, რომ ორჭიდში წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა პოლონელმა მარიუშ რუდკოვსკიმ ამ წონით კონტინენტის პირველობაზე მცირე ოქროს მედალი დაიმსახურა, ამჯერად კი „ბრინჯაო" საკუთარი წონით დათმო 23 წლის ბელორუს რუსლან ნოვიკოვთან. მეორე იყო ალბანელი ილიიან სური (175 კგ). პირველ ადგილზე კი გიორგი ასანიძე გავიდა, რომელმაც მესამე ცდაზე შტანგა ერთბაშად 5 კილოგრამით (177,5) დაამძიმა.

ტრაგიკულად წარიმართა პაექრობები აკვრაში. საწყისი წონა (202,5 კგ) ვერ ასწია და შეჯიბრება დატოვა წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა რუსეთელმა ასლანბეკ ედიევმა. იგივე წონა მართალია, გიორგი ასანიძემ დაძლია, მაგრამ შტანგა მარჯვნივ გაექცა და მარცხენა მხარიც იტკინა. სამწუხაროდ, გვერდითმა მსაჯებმა გარჯა არ შეუფასეს ქართველ ათლეტს, რამაც ძალიან გაამწარა იგი. რომ ფიქრობდნენ, შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი ბრძოლას შეწყვეტდა, სწორედ მაშინ გამოვიდა ფიცარნაგზე და მეორე-მესამე ცდებზე, შესაბამისად, 205 და 207,5- კილოგრამიანი შტანგები დაიმორჩილა, ორჭიდის ჯამში 385 კილოგრამი მოაგროვა და რომ გვეგონა, გიორგის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა გარანტირებული ჰქონდა, სწორედ მაშინ გამოიჩინა თავი ბულგარელმა ვანევმა, რომელიც ატაცის შემდეგ 167,5 კილოგრამით მხოლოდ მეცხრე იყო. პირველ ცდაზე მან 212,5 კილოგრამი აჰკრა, მეორედ — ხუთი კილოგრამით მეტი, ორჭიდის ჯამში მანაც 385 კილოგრამი მოაგროვა და მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა — პირადი ნაკლები წონით აჯობა ქართველ ძალოსანს.

პირადი წონის გამო ასანიძე აკვრაში უმედლოდ დარჩა: მართალია, ნოვიკოვმა და რუმინელმა ვალერი კალანსიამაც 207,5 კილოგრამი ასწიეს, თუმცა, ასანიძეზე მსუბუქნი აღმოჩნდნენ და, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს.

პირადმა წონამ გადაწყვიტა ორჭიდის ჯამში ბრინჯაოს მედლის ბედიც. აქ 380 კილოგრამით მესამე ადგილზე ბელორუსი ნოვიკოვი გავიდა, ხოლო მეოთხეზე ალბანელი სური.

**ვაჟა დანელია.**

## რაგბი

# ფრანგული ბარიერი

**კვირას ბათუმში აჭარის მორაგბეთა ნაკრებმა ევროპის რეგიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალში პროვანსის (საფრანგეთი) გუნდს უმასპინძლა.** ანგარიში სტუმრებმა გახსნეს მე-6 წუთზე ტექსერას ზუსტი საჯარიმო დარტყმით. ზღვისპირელებმა მალევე აღადგინეს წონასწორობა, მე-15 წუთზე კი 10:3 დაწინაურდნენ. ეტყობა, მასპინძლებმა ნაადრევად ირწმუნეს წარმატება და დაისაჯნენ კიდეც. პირველი ტაიმის ბოლომდე უპირატესობას ფრანგები დაეუფლნენ და მონაგარი 19 ქულით გაიმდიდრეს. 13:22 — ასეთი ანგარიშით წავიდნენ მეტოქეები შესვენებაზე. მეორე ტაიმში სტუმარ-მასპინძლებმა მხოლოდ 3-3 ქულის მოპოვება შეძლეს. გაიმარჯვეს ფრანგებმა 25:16 და ფინალში გავიდნენ.

**მინდია ჟინჟარაული.**

## კრივი

# ქართველები — პროფესიულ რინგზე

**ფოთელმა მოკრივემ კობა გოგოლაძემ ორი წლის წინათ პროფესიულ რინგზე ხელი დაიზიანა და ოპერაცია გაიკეთა. დიდი ხნის შესვენების შემდეგ იგი კვლავ დაუბრუნდა სარბიელს და ამას წინათ ფილადელფიაში ამერიკელ ჯეიმს ედვარდს მე-6 რაუნდში სძლია.**

მოყვარულთა შორის მსოფლიო და ევროპის ჩემპიონმა რამაზ ფალიანმა და მისმა ძმამ შალვამ პროფესიულ რინგზე შარშან გადაინაცვლეს. ათი დღის წინათ რამაზს პირველი მეტოქე ჩრდილოეთ კაროლინას შტატში მცხოვრები კალავან შეპარდი არ გამოუცხადდა საბრძოლველად. ქართველ მოკრივეს იოლად მოპოვებული გამარჯვება არ ესიამოვნა და სხვასთან დაპირისპირება მოითხოვა. 28 წლის პენსილვანიელი რობერტ სორესი გამოუძებნეს. რამაზმა მას თავ-ბედი აწყევლინა და პირველ დამსახურებულ წარმატებასაც მიაღწია. რაც შეეხება შალვას, პროფესიული რინგის გემოს ისიც ნოემბრის ბოლოს დააჭაშნიკებს. გიორგი კანდელაკი კი 21 დეკემბერს უკვე სანკტ-პეტერბურგში მსოფლიო ჩემპიონობისთვის იბრძოლებს.

## ფეხბურთი

# შინ და გარეთ

**ფეხბურთელთა XIV ეროვნული ჩემპიონატის XVIII ტურში ლიდერებმა მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს, თუმცა ერთპიროვნულ „ყოჩს" — თბილისის „დინამოს" საამისოდ გვარიანი ოფლისღვრა დასჭირდა.**

ივო შუმაკის გუნდი რუსთავში მე-14 წუთზე 0:2 აგებდა „გორდასთან" (ჯელაძე, ჩოხელი). საბედნიეროდ, ფავორიტი მალევე მოეგო გონს და პირველი საპასუხო გოლის გატანა სამიოდე წუთში მოახერხა (ამისულაშვილი), შესვენების შემდეგ კი უკვე სიძე-ცოლისძმის — დარასელიასა და ანჩაბაძის ჯერი დადგა — 3:2.

გიორგობადღეს გამართული დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: „ტორპედო" — „მილანი" 5:0, „სიონი" — „ლოკომოტივი" 0:1, „ვიტ ჯორჯია" — „დილა" 2:0, „მეტალურგი" — „ბათუმი" 0:1.

სადღეისოდ სატურნირო ცხრილის სათავეში ასეთი მდგომარეობაა: „დინამო" — 46, „ტორპედო" — 44, „ვიტ ჯორჯია", „ლოკომოტივი" — 40-40 ქულა.

ხვალ XIX ტურში ითამაშებენ „დინამო" — „ტორპედო" (!), „ლოკომოტივი" — „გორდა", „სიონი" — „ვიტ ჯორჯია", „მილანი" — „მერანი", „კოლხეთი" — „ბათუმი", „მეტალურგი" — „დილა".

* * *

იტალია. XI ტური. „მილანი" — „ინტერი" 1:0, „იუვენტუსი" — „ბოლონია" 1:1, „ლაციო" — „მოდენა" 4:0, „კიევო" — „ემპოლი" 1:0.

**„მილანი", „იუვენტუსი" — 25-25, „ლაციო" — 24, „ინტერი" — 23, „კიევო" — 21 ქულა.**

ესპანეთი. XI ტური. „რაიო ვალეკანო" — „სოსიედადი" 0:0, „მალიორკა" — „ვილიარეალი" 1:1, „ვალენსია" — „ვალიადოლიდი" 2:0.

**„სოსიედადი" — 23, „მალიორკა" — 22, „ვალენსია" — 21 ქულა. 18-18 ქულა მოაგროვეს „რეალმა", „ატლეტიკომ", „სელტამ" და „დეპორტივომ".**

ინგლისი. XV ტური. „საუთჰემპტონი" — „არსენალი" 3:2, „ფულჰემი" — „ლივერპული" 3:2, „ევერტონი" — „ვესტ ბრომვიჩი" 1:0, „ბოლტონი" — „ჩელსი" 1:1, „მანჩესტერი" — „ნიუკასლი" 5:3.

**„არსენალი" — 32, „ლივერპული" — 31, „ევერტონი" — 29, „ჩელსი" — 27, „მანჩესტერი" — 26 ქულა.**

გერმანია. XIV ტური. „კაიზერსლაუტერნი" — „ბაიერნი" 0:2, „ჰერტა" — „ვერდერი" 0:1, „შტუტგარტი" — „ჰანოვერი" 3:0, „ვოლფსბურგი" — „ბორუსია" 2:0, „შალკე" — „ჰანზა" 2:2.

**„ბაიერნი" — 32, „ვერდერი" — 26, „შტუტგარტი", „ბორუსია" — 24-24, „შალკე" — 23 ქულა.**

საფრანგეთი. XVI ტური. „ნიცა" — „რენი" 0:0, „ლილი" — „ლიონი" 2:1, „მარსელი" — „ლანსი" 1:0, „გენგამი" — „სოშო" 2:0, „სტრასბური" — „მონაკო" 1:0.

**„ნიცა" — 30, „ლიონი", „მარსელი" — 28-28, „გენგამი", „სტრასბური" — 25-25 ქულა.**

შოტლანდია. XVI ტური. „ლივინგსტონი" — „სელტიკი" 0:2, „რეინჯერსი" — „დანფერმლაინი" 3:0 (მესამე გოლი შოთა არველაძემ გაიტანა).



**სურათზე: ივო შუმაკი რუსთავში ანერვიულებს.**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## კალათბურთი

# დასასრული ყველაფერს აქვს



**კალათბურთელ ვაჟთა XII ეროვნული ჩემპიონატის II წრის სტარტი თბილისის „დინამოს" პირველი მარცხით აღინიშნა. გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა ბექანიშვილისა და ფეხმოტეხილი ბერიშვილის არყოფნაში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდთან წააგო თამაში — 77:78.**

სტუდენტებმა წარმატებას საფუძველი დებიუტშივე ჩაუყარეს, როცა ტუღუშისა და ტუჯანის წინამძღოლობით სოლიდური უპირატესობით დაწინაურდნენ — 6:0, 9:2. მართალია, მეტოქემ შეხვედრის განმავლობაში რამდენჯერმე მოახერხა წინ გასვლა, მაგრამ ეს ის „დინამო" არ იყო, პირველ წრეში ყველასთან მრისხანე ძალად რომ გაოიყურებოდა — ეტყობა, ლევან მოსეშვილის შეგირდებს დათვური სამსახური გაუწია მეტისმეტმა ქებამ, რაც მატჩის შემდეგ დაადასტურა კიდეც გამოცდილმა სპეციალისტმა.

კიდევ ერთხელ განგვაცვიფრა ბავშვთა საკალათბურთო აკადემიის მოზარდთა კრებულმა, რომელიც ცინცაძის, ლექავასა და ბექაურის თავკაცობით უკანასკნელ წამამდე ვაჟკაცურად უმკლავდებოდა რუსთავის „აზოტს" და ახალგაზრდა მსაჯების — ანდრიაძისა და ქაჯაიას რამდენიმე სადავო გადაწყვეტილების შედეგად დაისაჯა — 77:78. გამარჯვებულთაგან გოგობერიშვილთან ერთად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს დებიუტანტის — ტყეშელაშვილის თამაში, რომელიც თანდათან დამკვიდრდა ძირითად ბირთვში და ალბათ, მალე საიმედო ოსტატად ჩამოყალიბდება.

არანაკლებ მოულოდნელობად შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნის სამგზის ჩემპიონის — ბათუმის „ბასკოს" საშინაო მარცხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან — 73:84. დავძენთ, რომ ხანმოკლე ბიოგრაფიის მქონე ზღვისპირელებმა ეროვნული ჩემპიონატის შეხვედრა საკუთარ სარბიელზე პირველად დათმეს, რაც, უპირველესად, ქარაბაკის (26 ქულა) დამსახურებაა.

გაუწყებთ ამ დღეებში გამართული დანარჩენი მატჩების შედეგებსაც: „დინამო" — აკადემია 122:96, სტუ-სსუ 111-72, „აზოტი" — „მაქაბი" 106:87, სსუ — „მაქაბი" 107:74, თსუ-ქუთაისი 80:65.

ლიდერთა ჯგუფი: „დინამო" — 1, სტუ, „ბასკო" — 2-2 წაგება.

30 ნოემბერს ვერის ბაღში ითამაშებენ „მაქაბი" — ქუთაისი (11 საათზე), აკადემია — „ბასკო" (12 საათსა და 45 წუთზე), „დინამო" — სსუ (14 საათსა და 30 წუთზე) და თსუ-სტუ (16 საათსა და 15 წუთზე).

**გია პლატონიშვილი.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

## ჭადრაკი

# მონაგარი ელადიდან

**კრეტაში (საბერძნეთი) დამთავრდა ათიდან 18 წლამდე მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობა, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.** შარშან ანალოგიურ შეჯიბრებაზე ჩვენმა ოთხმა მოჭადრაკემ ჩემპიონობა მოიპოვა, წლეულს კი მხოლო ერთი „ოქროს" ამარა ბრუნდებიან. თექვსმეტწლიანთა პაექრობაში თბილისელმა ლევან ფანცულაიამ 8,5 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით ვერცხლის მედალი ისრაელის წარმომადგენელს ლეონიდ გერშოის ხვდა.

კოეფიციენტმა გადაწყვიტა პირველი-მეორე ადგილების ბედი ამავე ასაკში გოგონათა შორისაც. სამწუხაროდ, ფორტუნამ ამჯერად მეტოქეს გაუღიმა. 13 წლის ქუთაისელმა ნანა ძაგნიძემ 9 ქულა მოაგროვა და „ვერცხლს" დასჯერდა. „ოქრო" ტამარა ჩისტიაკოვამ დაიმსახურა.

საქართველოს სპორტულ დელეგაციას 8,5 ქულით მეორე ვერცხლის მედალი 18 წლის თბილისელმა თამარ წერეთელმა მოუტანა. მას ნახევარი ქულით გერმანელმა ელიზაბეტ პიტციმ გაუსწრო.

კარგად იასპარეზა სამტრედიელმა დავით ჯოჯუამ თოთხმეტწლიანთა შორის. მან თერთმეტი შესაძლებლიდან 8 ქულა მოაგროვა და მესამე ადგილი დაიკავა.

**გიორგი გაგუა.**

## ყოველი მხრიდან

### სამპრას-უმცროსი აგასი-უმცროსის წინააღმდეგ?

**სახელგანთქმული ამერიკელი ჩოგბურთელი პიტ სამპრასი მამა გახდა. მისმა ცოლმა — ცნობილმა მსახიობმა ბრიჯიტ უილსონმა კვირას, 24 ნოემბერს ვაჟი გააჩინა.**

ამით პიტი დაეწია არანაკლებ გამოჩენილ თანამემამულესა და კორტებზე უშუალო მეტოქეს ანდრე აგასის, რომელსაც საჩოგბურთო ელიტის ყოფილ ლიდერთან შტეფი გრაფთან ასევე ვაჟიშვილი ჰყავს.

ჟურნალისტები რას არ გამოიგონებენ და სამპრას-უმცროსის დაბადებისთანავე ისინი ალაპარაკდნენ გამოჩენილ ჩოგბურთელთა ვაჟიშვილების მომავალ მეტოქეობაზე.

მთავარი ისაა, რომ სამპრასმა ორიოდე კვირის წინათ ერთ-ერთ ინტერვიუში პირდაპირ განაცხადა, რომ ამ დღეებში გადაწყვეტს თავისი შემდგომი კარიერის ბედს, ცნობილია, რომ 31 წლის ჩოგბურთელი, რომელიც დიდი ხანია არ ასპარეზობს, ბოლოს ამერიკის ღია ჩემპიონატში მონაწილეობდა, რომელიც მოიგო კიდეც.

### ფეხბურთი იტალიისთვის მარტო თამაში როდია

**თავიანთი საყვარელი კლუბელისათვის ტიფოზები რაღას არ აკეთებენ. ამაში გუშინ ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ იტალიის დედაქალაქის მცხოვრებნი. „რომას" ასობით გაშმაგებული გულშემატკივარი მონაწილეობდა მიტინგში, რომელიც იტალიის ფეხბურთის ფედერაციის შტაბ-ბინის წინ გაიმართა.** ისინი წყევლა-კრულვას უთვლიდნენ საფეხბურთო ჩინოვნიკებსა და მოჰქონდათ შესაბამისი შინაარსის ტრანსპარანტები. ამის გამო რომის ცენტრში მოძრაობა რამდენიმე საათით გადაიკეტა.

„რომას" ქომაგებს მიაჩნიათ, რომ მათ კლუბს სჩაგრავენ. მოთმინების ფიალის უკანასკნელი წვეთი იყო გუნდის ფრანგი მცველის ჯონათან ზებინას დისკვალიფიკაცია შაბათის მატჩის შემდეგ „ინტერის" მოთამაშეებთან ჩხუბში მონაწილეობისათვის.

შეგახსენებთ, რომ წლეულს იტალიელი გულშემატკივრები ადრეც გამოვიდნენ ქუჩებში პროტესტის აქციებში მონაწილეობისათვის: მაგალითად, „ფიორენტინას" თაყვანისმცემლები თავს დაესხნენ კლუბის გამაკოტრებელ ჩევი გორის ვილას, ხოლო „ლაციოს" გულშემატკივრებმა ალყაში მოაქციეს სერჯიო კრანიოტის ადგილ-მამული.



АР

### ბაჰრეინი მსოფლიო ავტოსპორტს უერთდება

**სპარსეთის ყურის პატარა საამირო ბაჰრეინი მსოფლიო ავტოსპორტის მოყვარულთა ყურადღების ცენტრში მოექცა. აქ დაიწყო ავტორბოლის „ფორმულა-1" ტრასის მშენებლობა.**

მართალია, ბაჰრეინის მთავრობისა და ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის შეთანხმების შესახებ 8 ოქტომბერს განაცხადა მემკვიდრე პრინცმა ალ ჰალიფმა, მაგრამ ამ მცირე დროშიც კი შესაძლებელი გახდა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა და გუშინ მძლავრმა ექსკავატორებმა უკვე „დატორეს" მომავალი ტრასის ადგილი. ამ დიდმნიშვნელოვან ცერემონიას ესწრებოდნენ ქვეყნის ხელმძღვანელობის წარმომადგენლები და სპორტის თავკაცები.

მშენებლობა 2004 წლისათვის უნდა დამთავრდეს და სპარსეთის ყურის სანაპიროზე გაიმართება პირველი „გრან-პრის" გათამაშება.

## ცინცხალი ამბები



ლეგენდარული შაკილ ონილი ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ გამოვიდა მოედანზე „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" რიგებში და თავის გუნდს 24 ქულით გამარჯვება მოუტანა „მიულოკის" წინააღმდეგ.



„ფორმულა-1"-ის ყოფილმა პილოტმა, ამჟამად „იაგუარის" გუნდის წევრმა მარკ უებერმა უპირატესობით ჩამოიტოვა ისეთი ცნობილი ავტომბროლელები, როგორებიც არიან ფელიპ მასუ, ალან მაკნიშა და ტაკუმუ სატო.

**სპორტის რედაქცია**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ირაკლი ხუნდაძის ოჯახი. მარცხნიდან — შვილები ნინო, ბაბუცა გაბუნია (ცოლის ძმისშვილი), გიორგი, გედევანი, მამა ირაკლი, დგას ტროფიმე, ზის სიმონი.

ფოტო მოგვაწოდა ირაკლი (კაკო) ხუნდაძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა.
ტელ: 99-66-10.

## მილოცვა



გურნის წმიდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი ექვთიმე ჩივაძე მრევლით, გელა ჩივაძე ვულოცავთ საქართველოს პარლამენტის დეპუტატს ბატონ რევაზ (სოსო) ყიფიანს იუბილეს და ვუსურვებთ ქველმოქმედ ოჯახის წევრებთან ერთად ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს მარადჟამს.

გაიხარეთ ორთავე სოფელსა შინა!

## მილოცვა

ისანი-სამგორის რაიონის ვეტერანთა საბჭოს სახელით ვულოცავთ საიუბილეო თარიღს — დაბადების 80 წელს, რესპუბლიკის ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, აკადემიკოსს, სამამულო ომის და შრომის ვეტერანს, ღირსეულ მამულიშვილს, ბატონ გიორგი ციციშვილს, რომლის მიერ განვლილი ცხოვრების გზა სამაგალითო და მისაბაძია ყველა ქართველისათვის.

ბატონო გიორგი! გისურვებთ დიდხანს ჯანმრთელ და ბედნიერ სიცოცხლეს ოჯახთან ერთად.

ვ. სეფიაშვილი, ჯ. ნიქარაძე, შ. ხახანაშვილი, ა. ზუმბერიძე, ლ. სურმავა, გ. ჩილაჩავა, ა. წილოსანი, რ. კანდელაკი.

**მანანა მოსიძე-მიქაძეს**

ჩვენო მანანა,

მხურვალედ გილოცავთ დაბადების დღეს, იხარე, იბედნიერე შენს ძვირფას ოჯახთან ერთად.

თქვენი ალეკო კაკულია, ნინო ბეჟიტაშვილი.

## ღიმილის დღეა



ქალბატონი დარეჯანი პოლიკლინიკაში მივიდა. იგი ძალზე ახალგაზრდა, დამწყებ ექიმთან მოხვდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ქალი წივილ-კივილით გამოვარდა კაბინეტიდან და დერეფანში გაიქცა. წინ ხანდაზმული ექიმი შემოეყარა. რომელმაც ქალი შეაჩერა და ჰკითხა აღშფოთების მიზეზი, შემდეგ კი ახალგაზრდა კოლეგის კაბინეტში შევიდა.

— ყმაწვილო, აბა რას კადრულობ? ქალბატონი დარეჯანი 56 წლისაა, უკვე შვილიშვილები ჰყავანან შენ კი ფეხმძიმედა ხარო, ეუბნები.

ახალგაზრდა ექიმმა წერა განაგრძო და ისე უპასუხა:

— სამაგიეროდ, სლოკინმა ხომ გაუარა.

* * *

— ჩემი ცოლი ოჯახს სტრიპტიზით ინახავს. ჯერ 50 დოლარს უხდიდნენ, ახლა კიდევ — 100-ს, ოღონდ არ გაიხადოს.

* * *

სიდედრის ქელეხზე სიძე წამდაუწუმ ჩურჩულებს: „დღეს მიწა რომ დაეყარა, ბუმბულივით ყოფილიყოს!" ამხანაგი დაინტერესდა:

— რა თავს იკლავ, აკი არ გიყვარდა?

— რომ იცოდე, ბუმბულზე რა ალერგია ჰქონდა, მაგას აღარ იტყოდი!

* * *

— ვასია, ვასო!

— რა გინდა?

— ქალი რომ იყო, „პლეიბოისთვის" შიშველი სურათს გადაიღებდი?

— გააჩნია, რამდენს გადამიხდიდნენ?

— ფუ, ძუკნა! ეგეთები ხართ ქალები!

* * *

— ბოლოს და ბოლოს მივაგენი ჯოკონდას ღიმილის საიდუმლოს, — სიხარულით განაცხადა ხელოვნებათმცოდნემ.

— რას ბრძანებთ?

— უთუოდ შიშველი იყო, როცა ხატავდა.

— ვინ, ჯოკონდა?

— არა, მხატვარი! სწორედ მხატვრის შესახედაობამ გამოიწვია მენატურე ქალის საიდუმლოებით მოცული ღიმილი!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

## პროკურატურა

(ᲐᲠᲔᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

შორიდან ცქერა არ გამოდგება. 21 ნოემბერს საქართველოს გენერალური პროკურატურის კოლეგია ბატონ ბადრი ბიწაძის ხელმძღვანელობით ზუგდიდში ჩავიდა. სპეციალური სხდომა გამართა, რეგიონის კრიმინოგენური სიტუაცია შეაფასა და მისი მოწესრიგების გზებიც დასახა. აუცილებლად უნდა შესრულდეს საქართველოს პრეზიდენტის ის მითითებები, რომლებიც მან გამოთქვა სამეგრელოს მხარეში წვევის მოსმენისას და სიმშვიდის დასამკვიდრებლად!

მსგავს სიტუაციაში ყოველთვის დგება საკითხი, — ვისი ბრალია სიტუაციის გამძაფრება? ვინ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა? ძალზე საინტერესოა, რომ პროკურატურამ არ დაიწყო შემდეგ საბუთების გადაბარება. კერძოდ, მან უყოყმანოდ განაცხადა, რომ სამეგრელოს საჯარო ცხოვრებაში წლების მანძილზე ბატონობს კრიმინალი, ... 

მაულის მრდის პარალელურად გახსნის მაჩვენებელი, მარშანცლედ ამავე პერიოდში 91,5 პროცენტიდან წლევანდელ 9 თვეში 86,2 პროცენტამდე დაეცა. რაც გაიხსნა და სასამართლოში წავიდა, ამ საქმეებიდან განაჩენი გამოტანეს 677 პირზე, თავისუფლების აღკვეთა კი მიესაჯა მხოლოდ 107-ს, ანუ 15,8 პროცენტს. ქვეყანაში ეს მაჩვენებელი ბევრად 29,4 პროცენტს. აი, რა ამკვიდრებს დაუსჯელობის სი...

# მილიონებს ჭამენ და მეისრეებს იჭერენ

...ნდრომს, რომელიც მერე ბუმერანგივით უბრუნდება ადგილობრივ მოსახლეობას.

მხარეში გავრცელდა კორუფციული ხასიათის დანაშაული ...

...

გენერალური პროკურატურის სამმართველოს უფროსმა თემურ მონიავამ ზუგდიდში გააკეთა საკმაოდ მწვავე მოხსენება, რომელსაც კოლეგიის წევრმა ნუგზარ ქავთარაძემ საბრალდებო დასკვნა უწოდა. თავად განსაჯეთ: დანა... ...ელემენტი. და ეს მაშინ, როცა ავაური კონტრაბანდა თბილისამდეც კი აღწევს.

მექრთამეობის სამი დანაშაულია. ერთ-ერთი ეხება პოლიციის სამი მუშაკის მიერ 2500 დოლარის გამოძალვას. თუ მიუკერძოებლად ვიტყვით, ასეთი ოდენობის ქრთამის ...არ ღდება. ...რატომ? ყველა შეაზანზარა მხარის გუბერნატორის ბონდო ჯიქიას განცხადებამ, — მსგავს დანაშაულობებში გარეული არიან თვით სამართალდამცავი სტრუქტურებიცო. სხვათა შორის, დამსწრეთაგან ეს განცხადება არავის უარუყვია. როგორც ...მოიტანა. იმედია, სიტუაცია სამეგრელო-ზემო სვანეთშიც სასიკეთოდ შეიცვლება. უბრალოდ, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება აღარც მუშაობისა და აღარც ცხოვრებისა!

ბონდო გულიაშვილი.

## სულიერება

# ღვთისმშობლის სახელობისა

**23 ნოემბერს ჯოყოლოში ქართული ეკლესია ამოქმედდა**

ოდითგან პანკისის ხეობაში უამრავი ქრისტიანული ტაძარი არსებობდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი — ჯოყოლოს ღვთისმშობლის ეკლესია გახლდათ. ტაძარი 1888 წელს აიგო. ამ პერიოდში სოფელში დიდი იყო ქრისტიანული რელიგიის ზეგავლენა. ტაძარი მრავალრიცხოვანი მრევლით გამოირჩეოდა, ქრისტიანულ სარწმუნოებას სოფელში მცხოვრები ქისტებიც მისდევდნენ.

ტაძრის მშენებლობაში დიდი წვლილი შეიტანა მეცნიერმა და ეთნოგრაფმა მათე ალბუთაშვილმა, შემორჩენილია მისი გამოკვლევები, რომლებიც ვაინახი ხალხის ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებისთვის საუკეთესო მასალაა.

ხეობაში ქრისტიანული რელიგიის მიმართ ასეთი დამოკიდებულება კარგა ხანს გაგრძელდა. შემდეგ ჩრდილო კავკასიასთან, ჩეჩნეთთან ინტენსიურმა ურთიერთობამ, მაჰმადიანური რელიგიის გაძლიერებამ განაპირობა ის, რომ მუსლიმანურმა რელიგიამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა პანკისელების ცხოვრებაში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ტაძარი საწყობად, ბოლოს აბანოდაც კი გამოიყენეს.

დღეს სიმშვიდეა პანკისის ხეობაში, ჯოყოლოს ღვთისმშობლის ეკლესიამ გიორგობის დღესასწაულზე თავისი დანიშნულება შეასრულა.

23 ნოემბერს სოფელში დილიდანვე უამრავმა სტუმარმა მოიყარა თავი, მეზობელი სოფლებიდან მოვიდნენ ოსები, ფშავლები, ტაძრის შემოგარენში ადგილობრივი ქისტი მოსახლეობა ტრიალებდა, ისინი ქართველებთან ერთად პირველი ქრისტიანული ცერემონიალის მონაწილენი გახდნენ.

წირვა-ლოცვა მამა ნიკოლოზმა აღავლინა. შემდეგ ჯოყოლოს ღვთისმშობლის ეკლესიაში პირველი ნათლობაც შედგა: მოინათლა ახმეტის რაიონის გამგებლის ნუკრი ალავიძის უმცროსი ვაჟი დავით ალავიძე.

მამა ნიკოლოზმა წირვა-ლოცვა ქართულ სოფელ საკობიანოს ახლადაღდგენილ ტაძარშიც აღავლინა. იქვე რამდენიმე წყვილმა ჯვარი დაიწერა.

იგრძნობოდა მოსახლეობის საოცარი კეთილგანწყობა, საერთო აზრიც ჩამოყალიბდა იმის შესახებ, რომ უნდა იყოს სხვადასხვა რელიგიების მშვიდობიანი თანაარსებობის პირობები.

ამის დადასტურება იყო ის, რომ მამა ნიკოლოზი სტუმრებთან ერთად მახლობლად მდებარე მეჩეთს ეწვია. მათ უდიდესი მოკრძალება და პატივისცემა გამოხატეს ამ რელიგიური ადგილისადმი. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში პატივს სცემენ ყველა იმ ხალხის კულტურას და სულიერ საგანძურს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობს.

ზაურ გუმაშვილი,
კახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე.

## პოეტი

# ვიწრო ბილიკით მოსული



ადამ ალვანელის (ბობღიაშვილის) სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა იმ დროს დაემთხვა, როცა მისი სამშობლო — საქართველო საბედისწეროდ იყო გახლართული ულმობელი იმპერიის ჭიდილში.

— მისი სახელი XX საუკუნის ოცდაათიანი წლების მიწურულს გამოჩნდა ჟურნალ „ჩვენი თაობის" ფურცლებზე და მალევე დაედო ტაბუ, რადგანაც მკვეთრად დაუპირისპირდა საბჭოურ რეჟიმს. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე მან თანამზრახველებთან ერთად თუშეთში ჩამოაყალიბა პოლიტიკური ორგანიზაცია „სამანი" — საქართველოს აყვავებისათვის მებრძოლი ახალგაზრდა ნაციონალისტების ჯგუფი. იგი 1912 წლის 28 მაისს პატრიოტი თუშის იასონ ბობღიაშვილის ოჯახში დაიბადა. ყრმობიდანვე ჰქონდა შესისხლხორცებული სამშობლოს სიყვარული. „სამანელთა" წევრები იმისათვის იბრძოდნენ, რომ საქართველო ორი იმპერიის ბრძოლის არენად არ გადაქცეულიყო.

ადამი, 1943 წლის 23 მაისს თორღვას აბანოს ხევში „ჩეკას" მიერ მოსყიდულმა პირებმა ღალატით, ვერაგულად მოკლეს, გაანადგურეს „სამანის" ბირთვი, მოკლულ ადამს თავი მოჰკვეთეს და თან წამოიღეს. მისი ნაწერებიდან არაერთი ლექსი თუ მოთხრობა გაანადგურეს, რომანიდან მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები გადარჩა.

ადამ ალვანელის სახელი მის სიცოცხლეშივე შეიმოსა რომანტიკული ელფერით. როგორც ამბობენ, იგი მოთვალთვალე მტერს გამუდმებით უსხლტებოდა დაკლაკნილი თუშეთის ბილიკებით ფრიალოებზე ცხენის თავგამეტებული ჭენებით, კლდიდან კლდეზე გადაფრენით, ტყვიის ტყვიაში ჩაჭედების უნარით, ალყიდან თავის დაღწევის იშვიათი ალღოთი, მდევრებს ისე უსხლტებოდა და ფანტავდა, რომ კაცის ცოდვა არ დაუდია, არავინ მოუკლავს. მან სიცოცხლე არ დაიშურა თავისი ზნეობრივი იდეალებისა და პრინციპების გადასარჩენად.

თუშები ადამის მუხანათური მკვლელობის შემზარავი სურათების ფრაგმენტებს ხმით ნატირალით და მის ლექსებზე შექმნილი სიმღერებით გამოხატავდნენ და გადასცემდნენ ახალ თაობას.

ადამის დედას საკუთარ ეზოში, წნორის ძირას, ბნელ ღამეში დაუმარხავს შვილის თავი. მოგვიანებით კი მისი ნეშტი სოფლის სასაფლაოზე გადაუტანიათ.

ამ ოციოდე წლის წინათ ზემო ალვანში მოვინახულე ადამ ბობღიაშვილის ნათესაობა და ის სახლი, სადაც პოეტი დაიბადა და ბავშვობა გაატარა. ფიცრული ორსართულიანი სახლი აღმოსავლეთისკენ იყო პირით მიქცეული და მზის პირველი სხივები ამ დიდი პატრიოტისა და ეროვნული მოღვაწის სევდიან სახლ-კარს ეფინებოდა. ცოტა მოგვიანებით, იმ ორღობეში კიდევ მომიწია მისვლა, მაგრამ სადღა იყო ადამის სახლი. დასანანია, რომ იგი გაუყიდიათ და სულ სხვა გვარის მობინადრეებს იმავე ადგილზე ახალი აუშენებიათ. რაოდენ გასახარი იქნებოდა შემორჩენილიყო პოეტის სახლი, რომელიც მის ნივთებთან ერთად სახლ-მუზეუმის კუთვნილება გახდებოდა.

იზა ჯაჭვაძე.

### ადამ ბობღიაშვილი

**ჩემი მემკვიდრეობა (შემოკლებით)**

ვიწრო ბილიკით მოველ ბარიდან,
გადმოვიარე სამრულის წყალი,
ახლა აღმართზე მოვიჩქარი და
გასდევს ხეობებს მშიერი თვალი.
მოდის ბღავილი საჯიხვე მთიდან,
ქედებს ახურავთ მწვანე საბანი,
ჯანღი მოცურავს, ბამბაზე წმინდა
დილის ცრემლებით გადანაბანი.
......
— ფრიალოებო, მიამბეთ რამე,
ჯიხვთა ბილიკებს თუ გადავურჩი,
ნაბდად დამხურეთ თუშეთის ღამე,
ქვეშ დამიფინეთ ცვრიანი ქუჩი.

1939 წელი, მარტი.

* * *

სულ ეთრი წუთით მოვითხოვ სიჩუმეს,
დაღესტნის მთებიდან მოსული, ასკეტი,
ნიავო-შეჩერდი, გრიგალო იუჩე,
კლდეებო დასხედით:

**ისევ მარტო ვარ (ლიზას)**

დააგვიანა მეტეხიდან მთვარემ ამოსვლა,
სივრცე ოქროსფერ შადრევნებით ვეღარ დატოვა,
ცას გადაეკრა შავი ნისლი ამ საღამოსაც,
ამ საღამოსაც დემონივით ისევ მარტო ვარ.
ჩემი ნაბიჯი წინაპართა ნაბიჯებს ასცდა
და მივემსგავსე უდაბნოში მავალ მათხოვარს,
ადრე ჩამიქრა ჭაბუკურად მღელვარე განცდა,
ქრიან დღეები და მე მაინც ისევ მარტო ვარ.

ბევრი დაადნა სანთელივით თბილისის ქუჩებს,
ბევრმა მათგანმა ვაჟკაცური კვალი დატოვა,
მე კი გავქრები სამზეოდან ჩრდილივით უცებ,
რადგან სიცოცხლის მიწურულშიც ისევ მარტო ვარ.
რად მინდა ლექსი, ჟამთა ქროლვას თუ ვერ გადვურჩი,
თუ არ მიმიღებს მომავალი, როგორც სახსოვარს,
ცა დამეღრუბლა, ცას სადარო ჰირი არ უჩანს
და ამ საღამოს სიჩუმეშიც ისევ მარტო ვარ.

1942 წელი, 22 მაისი, თბილისი.

## გვწერენ

# „რომ დაირწეს მომავალშიც"...

პატივცემულო რედაქცია, ეს ბარათი, ჩემი გულის ეს ამოძახილი, ახლა არ დამიწერია. იგი ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, ჩემი ღრმა რწმენით, უბადლო პოლიტიკოსსა და უანგარო, ჭეშმარიტ სახელმწიფო მოღვაწეს, ამ ორი წლის წინათ, 2000 წლის აგვისტოში ვუძღვენი. მხოლოდ, ცხადია, მარტო ჩემს გულში. მისი გამოქვეყნება არც მიფიქრია, მაგრამ ახლა, ნატოს პრაღის სამიტის შემდეგ, როდესაც თვალნათლივ ვხედავ, ბატონი ედუარდის წყალობით და თავკაცობით რაოდენ მტკიცე და საიმედო საძირკველი ეყრება ჩემი სამშობლოს ჭეშმარიტ დამოუკიდებლობა-უსაფრთხოებას, გადავწყვიტე, თქვენთვის მეთხოვა მისი გამოქვეყნება.

ამ ბარათით, აი, რა მინდა ვთქვა ზოგიერთი „ქართველის" ხასიათის გათვალისწინებით:

ვთქვათ და, მკვდრეთით წამოვაყენეთ დიდი დავითის მეფობის დროს მცხოვრები „ადამიანი", ოღონდ, დღევანდელი მენტალიტეტით და ვკითხეთ: როგორ წარმოუდგენია მას დავითის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა. დარწმუნებული იყავით, არა აღმაშენებლის, არამედ დამანგრეველის სახელით შერაცხავს იგი მის ნათელ ხსოვნას.

ასევეა დღესაც. იგივე შეფასებას აძლევენ ბატონ ედუარდ შევარდნაძის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას „ადამიანები". მაგრამ გაივლის დრო და ედუარდ შევარდნაძის კი არა, გიორგი აღმაშენებლის სახელით იქნება მოხსენიებული იგი საქართველოს ისტორიის მატიანეში.

კვლავ ხმა მივცეთ, ავირჩიოთ,
მტრის დამლეწი, მკვეთელი,
ვინც ერს გვერდით უდგას მტკიცედ,
როგორც რკინის კედელი.
ვინც სამშობლოს ოფლს აწვიმებს,
და ვინც აგებს ხარაჩოს,
ვინც აშენებს ხვალინდელ დღეს,
ვინც ქვეყანას დარაჯობს.
ის, ვინც იღვწის, რომ სამშობლოს
ჰქონდეს თავის სამკალი,
რომ დაირწეს მომავალშიც
საქართველოს აკვანი.

რუზგენ გოგოხია.

---

მეუღლე ელგუჯა ბადრიძე, შვილები მარეხი, გია, დათო, ძმა მალხაზ ბაძაღუა, სიძე როინ თვალაბეიშვილი, რძლები მარიკა ბარამიძე, მაია ბუბუტეიშვილი, ეკა ხაჩიძე, შვილიშვილები თამუნა, ლეილა, ელგუჯა, ნიკუშა, თორნიკე, ლეილა, გოგი, ძმისწულები მედიკო, მიხეილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლეილა ბადრიძე

პანაშვიდი 26, 27 XI, 4 სთ. გამოსვენება 28 XI, 2 სთ. ბოგდან ხმელნიცკის №103, მე-5 კორპუსი, I სადარბაზო, მე-6 სართული.

---

რუსლან რუსია ოჯახით თანაუგრძნობს ბატონ მალხაზ ბაძაღუას დის

ლეილა ბადრიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

თენგიზ ქავთარაძე და ზაურ ფხალაძე სამძიმარს უცხადებენ მალხაზ და მარიკა ბაძაღუებს დის და მულის

ლეილა ვლადიმერის ასულ ბაძაღუა-ბადრიძის

გარდაცვალების გამო.

---

შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის მთავარი სამმართველო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის, პოლიციის პოლკოვნიკ მალხაზ ბაძაღუას დის

ლეილა ბადრიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ შსს კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს, პოლიციის პოლკოვნიკ ბატონ მალხაზ ბაძაღუას გარდაეცვალა და

ლეილა ბაძაღუა-ბადრიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

გივი და მანანა მაისურაძეები ოჯახით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

დათო ჯაფარიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებული ოჯახის წევრებს.

---

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად, ავტოავარიაში დაიღუპა ახალგაზრდა მხატვარი

დავით ჯაფარიძე

და სამძიმარს უცხადებს თენგიზ ჯაფარიძის ოჯახს.

---



დედა ჩიტო, მამა ლევანი, მეუღლე მარინე მამალაძე, ძმები ვაჟა, ავთო, შვილები ქრისტინე, ვიტალი დარასელიები, სიძე გიორგი ანჩაბაძე, რძალი ეკა ოდიშარია, შვილიშვილები სანდრო, ნინო ანჩაბაძეები, ლიზა დარასელია, ძმისწული ანა ბოჭორიშვილი, რძალი ირინე, დეიდები ლიანა ნიჟარაძე, ლეილა ხელაია, დეიდაშვილები დათო ხელაია, ნუგზარ, თენგო, ბესო ნიჟარაძეები, ბიძაშვილები თამილა, ოლიკო იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

რეზო ლევანის ძე ბოჭორიშვილი

პანაშვიდი 26, 27 XI, 4 სთ. დაკრძალვა 28.XI. 2 სთ. ანტონოვსკაიას ქ. №9 ბ (საბურთალო).

---

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა თბილისის „დინამოს" ყველა დროის ერთ-ერთი გამოჩენილი ფეხბურთელი, შესანიშნავი პიროვნება

კახი ასათიანი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებული ოჯახს, ახლობლებსა და ნათესავებს.

---

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ლეგენდარული ფეხბურთელის, სპორტის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის, ღირსეული მამულიშვილის

კახი ასათიანის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

---

საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობა ღრმა მწუხარებას გამოხატავს გამოჩენილი ქართველი სპორტსმენის, ღირსეული მოქალაქისა და ჭეშმარიტი მამულიშვილის

კახი ასათიანის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

შპს „ორთაჭალენერჯის" კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე საზოგადოების თანამშრომელი

გურამ რეხვიაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

შპს „ქინერის" კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კეთილშობილი მოქალაქე და საუკეთესო პიროვნება

გურამ რეხვიაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე ნელი ჯუღელი, შვილები თამუნა, ხათუნა იოსელიანები, შვილიშვილი ნუცა სულუხია, და მერი, ძმა მერაბი, რძალი ლუდა იოსელიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვიქტორ ვლადიმერის ძე იოსელიანი

დაკრძალვა წყალტუბოში 28. XI. 3 საათზე.

---

საქართველოს პარლამენტი იუწყება, რომ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ გრიგოლ (გოჩა) პაიჭაძეს გარდაეცვალა სიძე

თენგიზ ნოდია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები ზაირა, ნაზი, სიძეები კოტე მორჩილაძე, ანდრო დანილოვი, მძახალი დუშა ჩაჩავა, შვილიშვილები ლალი, ლევანი, ხათუნა, კობა, შვილთაშვილი ლაშა, ვახტანგ ნასარაია ოჯახით, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ტატიანა კონსტანტინეს ასული ხოჭოლავა-ნასარაია

პანაშიდი 26, 27 XI, 4 სთ. გამოსვენება 28 XI, 3 სთ. ნუცუბიძის IV პლატო, V კორპ. IV სად.

---

გიორგი თვალავაძე ოჯახით თანაუგრძნობს შოთა ასათიანს

დედის

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ „კრიმინალური ქრონიკის" რედაქცია თანაუგრძნობს საქართველოს შს მინისტრის მოადგილეს გენერალ-მაიორ შოთა ასათიანს დედის

ნელი ბაბრიჩიძე-ასათიანის

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე მარგარიტა, შვილები ნატა, მედიკო, სიძე მიხეილ ღლიღვაშვილი, შვილიშვილები დიმიტრი, თორნიკე, რძალი თამარი, ძმისწულები ნინო, ლადო მორჩილაძეები, დისწული ლევან მიროტაძე ოჯახებით, მძახლები ნორა, გურამ ღლიღვაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სპარტაკ ლავრენტის ძე მორჩილაძე

გამოსვენება 26 XI, 2 სთ. პასტერის ქ. №5.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის პროფ. ვ. თევზაძის ძმის

ოთარ ისმაილის ძე თევზაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს და ყველა ჭირისუფალს.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი ბექა ჭედია.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა —
PRESS—98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი 20.